ქართული ონლაინ ჯგუფების
ულტრანაციონალისტური ნარატივი



ქართული ონლაინ ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივი

2019

კვლევა გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

მკვლევარები/ავტორები:
ქეთი სართანია, ალექსანდრე წურქავა

მიმების თემატური სიახლოვისა და კონტენტ ანალიზის განხორციელებაში მხარდაჭერა თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (CAQDA):
თემურ გუგუშვილი

კვლევის ასისტენტი:
ანა მიქაძე

კვლევის ხელმძღვანელი და რედაქტორი:
ეკატერინე ჭითანავა

სტილის რედაქტორი:
ზაალ ჩხეიძე

დიზაინი:
თორნიკე ლორთქიფანიძე

სარჩევი

წინასიტყვა 7
ინსპირაცია 8
კონცეპტუალიზაცია და აქტუალობა 8
კვლევის მიზანი 13
ტერმინების შესახებ 14
ტერმინოლოგიური დილემა 16
კვლევის ძირითადი მიგნებები 18
მეთოდოლოგია 21
მონაცემთა შეგროვება 21
მონაცემების კატეგორიზება 22
ანალიტიკური კატეგორიზება 25
ვიზუალური მასალის ანალიზის მეთოდოლოგია 26
ინფორმაციის შეგროვება და შერჩევის მეთოდი 26
მონაცემთა ანალიზის მეთოდი 26
ექსპერტთა გამოკითხვა 27
კვლევის შეზღუდულობა 28
ჯგუფების ონლაინ ნარატივის აღწერა, მათი ფეისბუკ გვერდების მონაცემების მიხედვით .. 29
ბერგმანი 29
ეროვნული ფრონტი 30
ქართული იდეა 31
რელიგია და სახელმწიფო 31
ანტილიბერალური განწყობები, მოწოდება, მობილიზაცია 32
მიგრაცია/უცხოელები 32
საგარეო პოლიტიკა, რუსული ნარატივი 33
ქართული მარში 33
მიგრაცია/უცხოელები 36
ლგბტ საკითხები 37
რელიგია 39
მოწოდება 40
ქართული ძალა 41
ქალთა საკითხები/ფემინიზმი 42
უახლესი ისტორია, გმირები და კოლექტიური მეხსირება 43
მსოფლიო ისტორია, ფაშისტურ გერმანიასთან დამოკიდებულება 45
მსოფლიო ისტორია და საქართველოს კონტექსტი: სტალინი vs ჰიტლერი 45
მიგრაცია/უცხოელთა უფლებები 46
რელიგია 47
ნაციონალისტები 47
მიგრაცია 48
ნაციონალური იდენტობა 48

ლგბტ საკითხები 49
ეთნიკური უმცირესობები 49
მოწოდება 50
ლექსიკონი 51
კალენდარი 53
ინტერნეტკულტურა და მიმები 58
რა არის მიმი? 58
მიმები - „ქართული ძალის“ მაგალითი 59
მიმების ანალიზი 60
„ისტორიული რემიქსი“ 62
ქართველთა გარეგნობა 64
ბუნება და ცხოველები 66
სხვა მიმები 66
რასიზმი 67
ანტისაიმიგრაციო ნარატივი 68
დასკვნა 69
ინტერპრეტაცია - ანალიზი 70
თეორიული ჩარჩო 70
იდენტობა 71
დისკურსი, ენა, ნარატივი და იდეოლოგია 74
კატეგორიზების ანალიზი 75
თემატური კატეგორიების ინტერპრეტაცია და დასკვნა 76
გამოყენებული ლიტერატურა 79

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია".

ილია ჭავჭავაძე
1872

წინასიტყვა

წინამდებარე კვლევის ანგარიში დაიწერა 2019 წლის ივლისში. ტექსტის მიზანია, აღვწეროთ და გავიგოთ ინტერნეტ-ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივ(ებ)ი.

კვლევის ავტორები, ერთდროულად ვართ როგორც დამკვირვებლები (კვლევის მიზნიდან გამომდინარე), ისე პროცესის მონაწილეები, შესაბამისად, მიმდინარე მოვლენებისა და საკვლევი პროცესისგან სრული დისტანცირება შეუძლებელია. კვლევის პროცესში შეგროვებული მონაცემებისა და ინფორმაციის სიჭარბემ გაართულა ერთ ტექსტში ყველა საკითხის თავმოყრა. შევეცადეთ, წინამდებარე ნაშრომში წარმოგვეჩინა რამდენიმე საკითხი და ამგვარად ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ ჯგუფების დისკურსის შესწავლის პროცესში.

წინამდებარე კვლევა სხვა მსგავსი კვლევებისგან იმით განსხვავდება, რომ საკვლევ გარემოდ იყენებს ინტერნეტს, რომელიც მუდმივად და სწრაფად ცვალებადი სივრცეა. კვლევაში შევეცადეთ, ამ ცვალებადობაში მოგვეხელთებინა შედარებით მყარი და სტაბილური ფრაგმენტები, რათა ისინი შემდგომი მსჯელობის საგანი გახდეს.

ინსპირაცია

ამ კვლევის ერთ-ერთ ინსპირაციად იქცა ახალგაზრდა ბიჭის ისტორია, რომელიც მემარცხენე ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი იყო. ერთ-ერთი ჯგუფური დისკუსიის ფარგლებში მკვლევარმა მასთან ინტერვიუ ჩაწერა. მოგვიანებით ეს ბიჭი ნეოფაშისტური მოძრაობის რიგებში აღმოჩნდა.

აღნიშნულმა შემთხვევამ ბევრი კითხვა გააჩინა. რა მოხდა? როდის და რატომ ვიცვლით სოციალურ ჯგუფს? რატომ შეიცვალა ამ ადამიანის პოლიტიკური შეხედულებები? რა ახდენს გავლენას ჯგუფისადმი მიკუთვნებულობაზე? ან რამდენჯერ შეიძლება ამგვარი იდენტობის შეცვლა?

კონცეპტუალიზაცია და აქტუალობა

კვლევა აღწერს ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ ქართულ ინტერნეტში შექმნილი დისკურსის ფორმასა და შინაარსს.

საქართველოში ინტერნეტი და სოციალური ქსელი, ფეისბუკი, მიმდინარე მოვლენებზე დასაკვირვებლად კომფორტულ გარემოს ქმნის. ფოტო, ვიდეო და ტექსტური მასალის თავმოყრით იქმნება მონაცემთა ბაზა, რომლის ყოველდღიური განახლება, მიმდინარე პროცესებზე შემქმნელებისა თუ მონაწილეების რეაქციები, ქმნის ან გარდაქმნის მოვლენას ერთიან ამბად, ისტორიად და კონტექსტად. იგი ხშირად ახდენს გავლენას ინტერნეტის გარეთ მიმდინარე მოვლენებსა თუ რეალური ადამიანების ცხოვრებაზე.

ულტრანაციონალისტური განწყობების არსებობა და მათი გამხმოვანებელი ჯგუფების აქტიურობა საქართველოს ისტორიაში სიახლეს არ წარმოადგენს[1]. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რელიგიური ექსტრემისტების გამოსვლები კულტურისა თუ მედიის სფეროში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასა და რელიგიური უმცირესობების საკითხებს უკავშირდებოდა.

ამ დროიდან მოყოლებული, საქართველო რთული ისტორიული გამოწვევების წინაშე დგას. დამოუკიდებლობის აღდგენა, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, სამოქალაქო თუ ტერიტორიული კონფლიქტები წარმოაჩენს იდენტობის იმ კომპონენტს, რომელსაც ვამიკ ვოლკანი „შერჩეულ ტრავმას“ (chosen trauma) უწოდებს. „შერჩეული ტრავმა“ ეხმიანება ჯგუფის, ერის თუ მოქალაქეების მეხსიერებასა და ისტორიაში არსებულ ეპიზოდებს, სადაც წინაპრები მუდმივ განსაცდელსა და ბრძოლაში იყვნენ მტრებთან. საქართველოს შემთხვევაში, ტრავმა შეიძლება დავიყვანოთ ისეთ განსაზღვრებამდე, როგორიც არის „ბრძოლა“ და „გადარჩენა“. ნებისმიერი ისტორიული თუ რელიგიური ადგილობრივი ნარატივი, საბოლოო ჯამში ბრძოლისა და გადარჩენის ეპიზოდებს შეიცავს. შესაბამისად, იგი აგებულია საგმირო, პატრიოტული თავგანწირვის მაგალითებსა და ამ პროცესში ღვთიური ძალის მნიშვნელობაზე. „რომის იმპერია განადგურდა,

1 Public Space: Battleground in the Revanchist City, Eka Chitanava; Katie Sartania – The rise of illiberal civil society in the former Soviet Union? 2018; გვ.22 https://bit.ly/2p0FO4b

მაგრამ საქართველო (პატარა ქვეყანა) ჯერ კიდევ არსებობს[2]“ – ისტორიის ამგვარი აღქმა აძლიერებს განცდას, რომ ქვეყანას ზეციური ძალები უჭერენ მხარს, შესაბამისად, იგი უნიკალური და გამორჩეულია სხვებისგან – „გადავრჩით, რადგან ღვთისგან დავიმსახურეთ“. დავიმსახურეთ, რადგან ვიბრძოლეთ და მსხვერპლი გავიღეთ. ამგვარი მისტიფიკაცია საკრალურს ხდის იდენტობის ფორმირების პროცესს და თავად იდენტობასაც. ტრავმა აშუშებს, გამართლებას უძებნის წარუმატებლობის ისტორიებს, მარცხს, დანაკარგს, თუმცა ქმნის ფიზიკური გადარჩენის იმედს, რომელშიც ,,ღვთიური ძალები“ მონაწილეობენ. ასეთი თვითიდენტიფიკაცია და იდენტობა საჭიროებს ნაკლებ ძალისხმევას აწმყოში ორიენტაციისა თუ ცხოვრებისთვის.

საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფის იდენტიფიკაციის პროცესი წარმოადგენს. ამ დროს ჩამოყალიბებული ყველა ჯგუფი და ნარატივი ერთიანი პროცესისა და სივრცის ნაწილია, თუმცა კვლევაში ვკონცენტრირდებით კონკრეტულ ჯგუფებსა და სივრცეებზე.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესმა განვითარების მრავალი საფეხური განვლო[3]. როცა ქართულ იდენტობაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ მსჯელობის უსასრულო პროცესს. ტრანზიციაში მყოფი ქართული საზოგადოება[4] სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეძებს საკუთარ იდენტობას: პოსტსაბჭოთა, პოსტსოციალისტური, დამოუკიდებელი, პროდასავლური, რეგიონის ლიდერი[5], პროევროპული[6] – საქართველოს შესახებ კვლევებსა თუ გამოცემებში საქართველოს მისწრაფებების შესახებ არსებული დისკურსი[7] ასეთი ეპითეტებით არის დახასიათებული. ჩამოთვლილი ტერმინები მოიცავს ბრძოლის ეპიზოდებს – ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, ბრძოლა პროდასავლურობისთვის, ბრძოლა ლიდერობისთვის და ა.შ. ქართული იდენტობის ძიების პროცესი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ტერმინს იტევს და ამავდროულად, არის ყველა მათგანის უარყოფის მცდელობაც. ტერმინები არ არის ურთიერთგამომრიცხავი, თუმცა, პოლიტიკური პროცესების ცვლილებასთან ერთად, მათი გამოყენება და, შესაბამისად, მნიშვნელობა იცვლება.

ბოლო წლებში სხვადასხვა ულტრანაციონალისტური ჯგუფის საჯარო სივრცეში გააქტიურება ემთხვევა 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებასა და 2013 წლის 17 მაისის მოვლენებს („IDAHO“-ს აღნიშვნა და ლგბტ თემის რეპრესიები)[8].

2013 წელს რუსთაველის გამზირზე ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად აქციის მონაწილეებზე სასულიერო პირების ნაწილისა და მათი მხარდამ-

---

2 ტაბიძე, გალაკტიონ.“,მშობლიურო ჩემო მიწავ“. ლექსების კრებული

3 ქოიავა, რ., „ქართული ნაციონალური ნარატივები კონფლიქტებთან მიმართებაში: 1991-2012 წლები“; თბილისი: „კავკასიური სახლი“; 2016 https://bit.ly/2wo898a

4 Sopho Omanadze et al., Generation in Transition: Youth Study 2016 (Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2017) https://bit.ly/2kwwDIx

5 Readout of Vice President Biden’s Call with Prime Minister Giorgi Kvirikashvili of Georgia (November 4) – https://bit.ly/2KcjtfN

6 საქართველოს კონსტიტუცია, თავი მეთერთმეტე, მუხლი 78: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია; საქართველოს კონსტიტუცია; https://bit.ly/2Ru6neg

7 Frankel, Jeremy., „Keep the Republic of Georgia a Pro-Western Democracy“. The American Spectator, November 26, 2018. https://bit.ly/2JJAtdN

8 რადიო „თავისუფლება“, „დაპირისპირება ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღისადმი მიძღვნილ აქციაზე“ [ბოლო ნახვა 16/01/2019] https://bit.ly/2QxkwYK

ჭერების თავდასხმამ[9] გააძლიერა ის თემები, რომლებსაც ჯგუფები დღემდე იყენებენ, როგორც მობილიზაციის ნეგატიურ (ანტი) შინაარსს. ამავე წელს ულტრანაციონალისტური თვითიდენტობის მქონე მომხმარებლები ჩნდებიან ინტერნეტ სივრცეში – ქმნიან გვერდებს და ჯგუფებს, მართავენ მცირემასშტაბიან საპროტესტო გამოსვლებს და გაცნობითი ხასიათის მსვლელობებს, თუმცა ისინი 2015 წლამდე საზოგადოების უმრავლესობისათვის შეუმჩნეველი რჩებიან[10].

გლობალურ დონეზე ულტრანაციონალისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივის გაძლიერება უკავშირდება 2015 წელს ლტოლვილების/მიგრანტების[11] კრიზისის სახელით ცნობილ მოვლენას. ერთი შეხედვით, ეს განსხვავებული ადგილობრივი და გლობალური კონტექსტები ქმნის ქართული ულტრანაციონალისტური, ანტილიბერალური დისკურსის ძირითად თემებსა და შინაარსს: ანტიმიგრაციული და ანტიმუსლიმური განწყობები, ლგბტ თემი, ლიბერალური იდეოლოგია, რომლის ზოგად სახესაც არასამთავრობო ორგანიზაციები, ღია საზოგადოების ფონდი („სოროსი“) და ფემინისტები წარმოადგენენ. აღნიშნულის შეპირისპირება ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელ სიმბოლოებთან და განწყობებთან ქმნის „ლიბერალურ-კონსერვატიულ“ ანტითეზას, რომლის მიხედვითაც „ლიბერალური“ ნიშნავს „უცხოს“, ხოლო „კონსერვატიული“ – „ავთენტურს“, „უბრალო ხალხის“ ინტერესებს.

აღნიშნული ნარატივი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა ფეისბუკში. ინტერნეტში დისკუსიების დროს გაჩნდა სხვადასხვა გვერდი, ისინი ამ ნარატივის მეშვეობით ქმნიან იდენტობებს (პოლიტიკურს, კულტურულს, სოციალურს) და მხარდამჭერებს მოიპოვებენ. 2017 წლის ივლისში „ქართველთა მარშის“[12] მსვლელობის მობილიზება სწორედ ფეისბუკის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (*OSCE/ODIHR*) მონაცემების[13] მიხედვით, საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკა მოცემულია 2014 წლიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის, ასევე იუსტიციის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და უზენაესი სასამართლოს მიერ შეგროვებული მონაცემების მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკა მზარდ ტენდენციას აჩვენებს. სახელმწიფო უწყებების მიერ შეგროვებული მონაცემები შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ აჩვენებს დანაშაულის რამდენიმე ძირითად მოტივაციას: გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია, რელიგიური იდენტობა, რასიზმი და ქსენოფობია. აღნიშნული კატეგორიები ემთხვევა კვლევის პროცესში კვლევაში აღწერილი ჯგუფების ნარატივში გამოკვეთილ ძირითად კატეგორიებს (რელიგია, გენდერული ჯგუფები და სხვა). დანაშაულის აღრიცხვის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მნიშვნელოვანი პრობლემაა. რასობრივი შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის ნიშნით ძალადობის საფრთხე მწვავედ გამოჩნდა 2018 წელს, როდესაც საქართველოს მოქალაქე, 25 წლის უფლებადამცველი, ვიტალი საფაროვი ცივი იარაღით მოკლეს. სავარაუდოდ, ეს საქართველოში ეთნიკური და რასობრივი შეუწყნარებლობის

9 რადიო „თავისუფლება“, „ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია ჩაიშალა“, 17 მაისი, 2013 – https://bit.ly/2Kcwohy

10 ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, განცხადება რასისტული დაჯგუფების მიერ გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით, 22 სექტემბერი, 2015 https://bit.ly/2HIuHqI

11 The UN Refugee Agency, 2015: The year of Europe’s refugee crisis; 8 December, 2015 https://bit.ly/2I7PrH4

12 ელენე ხაჭაპურიძე, „ქართველთა მარში“ – თბილისში ქსენოფობიური მსვლელობა იმართება“, ნეტგაზეთი, 14 ივლისი, 2017 https://bit.ly/2WarIQs

13 OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Hate Crime Reporting- Georgia; (Warsaw: OSCE, 2017) https://bit.ly/2HJGODV

საფუძველზე ჩადენილი პირველი მკვლელობაა. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში დანაშაულის თვითმხილველმა და მოწმემ აღნიშნა, საფაროვს დანა იმიტომ დაარტყეს, რომ იგი „ებრაელი იყო და დამცინავად ლაპარაკობდა“[14].

ონლაინ სოციალური მოძრაობები ინტერნეტ კულტურის ერთ-ერთი ნაწილია. ახალი სოციალური ჯგუფებისა და მოძრაობებისთვის სოციალური მედია გახდა პლატფორმა, ორგანიზებისა და მობილიზების მთავარი სივრცე (Dolata, 2017). ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ჯგუფებს საშუალებას აძლევს განახორციელონ „დამაკავშირებელი ქმედება“ (connective action) (Bennett, Segerberg 2012, 2013), რაც სოციალურ მედიაში იდეების მობილიზებას, პროტესტის კოლექტიურ და სინქრონულ გამოხატვას გულისხმობს. ინტერნეტის მოხმარების ზრდამ და მისმა მუდმივად განახლებადმა ფუნქციებმა ონლაინ სივრცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა (Facebook, Youtube)[15]. საქართველოში ეს სივრცე აზრების გაცვლის, დისკუსიის, პოლიტიკური განცხადებების პლატფორმად იქცა და შეიძლება ითქვას, საჯარო სივრცის ფუნქციაც შეითავსა.

ამავე დროს, ჯგუფების აქტივობა არ არის დაცლილი პოლიტიკური თუ ორგანიზაციული საქმიანობისგან, რაც ვლინდება სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის საკანონმდებლო ინიციატივებსა[16] და პარტიულ, პოლიტიკურ საქმიანობაში[17].

მაგალითად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ („სპა“) პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელსაც ქსენოფობიური, პოპულისტური ნარატივი ახასიათებს. „სპა“ 2012 წლის 19 დეკემბერს დაფუძნდა. ის წარმოადგენს კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიას,[18] რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 5%-იანი ბარიერის გადალახვის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას. 2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსი“ წარმოდგენილია შვიდი დეპუტატით. გაერთიანება, საკუთარი პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, თავს უწოდებს მემარჯვენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ პარტიას, რომლის მიზანია, „საზოგადოებაში ზომიერი კონსერვატიული იდეოლოგიის, ქართული სულისკვეთების, კულტურისა და ტრადიციების, ასევე დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება“[19]. პარტიის ლიდერები წარმოადგენენ „მედია კავშირ ობიექტივის“ ყოფილ წევრებს და იდეური კავშირი აქვთ ტელეარხ „ობიექტივთან“, რომელსაც საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად თუ საპროტესტო აქციებში მხარდამჭერების მობილიზებისთვის იყენებენ.

2017 წლის 14 ივლისს, „ქართველთა მარშის“ მსვლელობამდე, გავრცელდა ინფორმაცია ირანის მოქალაქის მიერ ქართველი ბიჭის გაუპატიურების შესახებ. აქცია თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ორი მთავარი მოთხოვნით გაიმართა: *1. „ყველა არალეგალმა უცხოელმა (ირანელები, არაბები, აფრიკელები და ა.შ.) დატოვოს საქართველოს ტერიტორია!!!“ 2. „ჩვენ*

14 ეკა ქევანიშვილი, „საფაროვის მკვლელობის საქმე, მთავარი მოწმის მონათხრობი“, რადიო თავისუფლება, 14 მაისი, 2019 https://bit.ly/2Edoocf

15 Zviadadze, Sophie. I ‘like’ my Patriarch. Religion on Facebook. New Forms of Religiosity in Contemporary Georgia. Heidelberg Journal of Religions on the Internet, Vol 6, Page 164, 2014, DOI: https://doi.org/10.11588/rel.2014.0.17365 https://bit.ly/2JK2WQC

16 ზვიად ტომარაძის საკანონმდებლო ინიციატივები https://www.ifact.ge/tomaradze/ [ბოლო ნახვა 09/06/2019]

17 საქართველოს პატრიოტთა ალიანსი http://patriots.ge/about-temp/

18 საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ – https://bit.ly/2wpDdEB

19 http://patriots.ge/about-temp/

გავწმინდავთ ჩვენს ქუჩებს უცხოელი კრიმინალებისგან!!! ქართული საქართველოსთვის!!![20]*“.* მსვლელობაში სხვებთან ერთად პოლიტიკოსები, პარლამენტის ყოფილი წევრები და „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ[21]. გარდა პოლიტიკური ლიდერებისა, აქციას არაფორმალური, ულტრამემარჯვენეებად თვითიდენტიფიცირებული ჯგუფებიც შეუერთდნენ. ივლისის მსვლელობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა; გაჩნდა კითხვები ჯგუფების პოლიტიკური იდეოლოგიის, წარმომავლობისა და დაფინანსების შესახებ.

არაფორმალური გაერთიანებები და პოლიტიკური ჯგუფები ინტერნეტ სივრცისა თუ ტელევიზიის მეშვეობით ლიბერალური „მეინსტრიმისგან“ განსხვავებული ალტერნატიული სივრცის შექმნას ცდილობენ. ისინი რელიგიურ, ეთნიკურ, პოლიტიკურ სიმბოლოებსა და ახალი მედიის გამომსახველობით საშუალებებს (ფოტო და ვიდეო მონტაჟი) იყენებენ. ამგვარი ნარატივისთვის დამახასიათებელია ანტილიბერალური, ანტიგლობალური შინაარსი და ანტიიმიგრაციული, ისლამოფობიური, ნეიტივისტური[22], ანტიგენდერული განწყობები.

სწორედ ამგვარი ალტერნატიული სივრცე არის წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი. იგი მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ განზომილებას. ამ კონტექსტში, ალტერნატიული სივრცე განიმარტება, როგორც ჯგუფების მიერ შექმნილი ტრადიციული მედიისგან განსხვავებული ფორმისა და შინაარსის მქონე ველი. სოციალური ქსელისთვის დამახასიათებელმა ანონიმურობამ და რეგულაციების ნაკლებობამ ხელი შეუწყო არამეინსტრიმული სოციალური ჯგუფების ზრდას. თუკი რამდენიმე წლის წინ რადიკალური ჯგუფების საქმიანობას ნაკლებად არეგულირებდა ფეისბუკი, 2019 წლიდან ამ ჯგუფებისათვის შეზღუდვები წესდება. [23]

რაზე საუბრობენ ონლაინ ჯგუფები? რას ეხება ძირითადი ნარატივი? როგორია მათი იდენტობა (ფეისბუკის ჯგუფების მიხედვით)? რა ფორმებს იყენებენ ამისთვის? ვის წინააღმდეგ არიან ისინი? როგორია მათი ენა? და ბოლოს, რა ტიპის კონტექსტს ქმნის ასეთი აქტივობა? კვლევის მიზანია აღწეროს მოცემული ნარატივი, გამოკვეთოს მთავარი თემები და ყურადღება გაამახვილოს იმ გამომსახველობით ფორმებზე, რომელიც ქართულ ინტერნეტ თუ ფიზიკურ სივრცეში ყოველ წელს უფრო მეტი წარმატებით ახერხებს საკუთარი იდენტობის გაძლიერებას.

---

20 გ. ცხადაია, „ქართველთა მარშის“ შესახებ. რადიო თავისუფლება, 19 ივლისი, 2017 https://bit.ly/2YXePGj

21 Who was in and who was out in Tbilisi’s far-right March of Georgians [Analysis], OC Media, 17 July, 2017 https://bit.ly/2HH0mIN

22 პოლიტოლოგ კას მუდეს ანალიზის მიხედვით (Mudde, Cas. (2016). On Extremism and Democracy in Europe), ნეიტივიზმი, ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის ერთგვარი კომბინაციაა. ამ იდეოლოგიის თანახმად, ერ-სახელმწიფოში უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობა (რომელიც წარმოადგენს ნაციას), უცხო ადამიანები და იდეები კი ერი-სახელმწიფოს ჰომოგენურ ერთობას საფრთხეს უქმნიან. ნეიტივიზმი ეძებს როგორც შიდა, ასევე გარე მტრებს. მას დასავლეთში განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. სახელდება გაჩნდა 1840-იან წლებში აშშ-ის „არაფრისმცოდნეთა“ (Know Nothing party, the Native American Party) პარტიასთან კავშირში. ნეიტივისტურ მოძრაობებს აერთიანებთ უარყოფითი განწყობები განსხვავებული რასისა და რელიგიის მიგრანტების მიმართ. ქსენოფობიისგან განსხვავებით, ნეიტივიზმი უცხოს ხატს ევგენიკური პერსპექტივით ქმნის (სისხლი, დაბადების ადგილი, სიჯანსაღე). ევროპაში ნეიტივისტური განწყობები ხშირია ლტოლვილებისა და შრომითი მიგრანტების, ასევე ადგილობრივი უმცირესობებისადმი (მაგ. ბოშები უნგრეთში). ნეიტივიზმს აქვს ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური განზომილება (შენიშვნა: ეკა ჭითანავა).

23 Cox, Joseph and Koebler, Jason „Facebook Bans White Nationalism and White Separatism“. Vice, March 27, 2019 – https://bit.ly/2HRi11b

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული აქტიური, პოპულარული და გავრცელებული ჯგუფების ულტრანაციონალისტური ონლაინ ნარატივის აღწერა მათი ფეისბუკ გვერდების მონაცემების (ტექსტების, ფოტო და ვიდეო მასალის) გამოყენებით.

კვლევა ფეისბუკ გვერდებსა და მის მომხმარებლებს განიხილავს არა როგორც ცალკეული ინდივიდების შეხედულებებს ან მათი აქტივობის შედეგს, არამედ, როგორც კონკრეტული პოლიტიკური იდეოლოგიის დისკურსის ნაწილს. ხსენებული არგუმენტი ეყრდნობა დაშვებას, რომ დისკურსის წარმოების სივრცეში, საზღვრები მის მწარმოებელსა და უნიკალურ აუდიენციას შორის არ არის მკაფიო. ფეისბუკი არ წარმოადგენს იდენტიფიკაციის გარანტს – ერთი მომხმარებელი არ აღნიშნავს ერთ ადამიანს, შესაბამისად, კვლევა „მომხმარებელში“ გულისხმობს ფეისბუკის პროფილს და არა ავთენტურ პიროვნებას.

კვლევა არ პასუხობს შეკითხვებს არც გვერდის მფლობელებისა და მათი მომხმარებლების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული მიკუთვნებულობის და არც ჯგუფების ფინანსური წყაროების შესახებ.

ტერმინების შესახებ

იდეოლოგია შედგება იდეისა და მისი მატარებელი ინდივიდის/ჯგუფისგან.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებული განსაზღვრება, ულტრანაციონალიზმი არის ქოლგა ტერმინი, რომელშიც მოიაზრება რადიკალური და ულტრამემარჯვენე, ექსტრემისტული იდეოლოგია. ტერმინი გაჯერებულია სხვადასხვა კლასიკური იდეოლოგიის მრავალფეროვანი სპექტრით (მათ შორის, ნაციონალ-სოციალიზმით, ფაშიზმით), რომელშიც კომბინირებული და რეინტერპრეტირებულია სხვადასხვა ეპოქის ისტორიული კონტექსტები და შეზავებულია ანტილიბერალურ, ანტისემიტურ, პრორუსულ, ზოგჯერ ანტირუსულ განწყობებთან.

ულტრამემარჯვენე ნაციონალიზმის გამოხატული ასპექტებია რასიზმი, ქსენოფობია, ეთნონაციონალიზმი, კონსერვატიზმის სხვადასხვა ფორმა, რელიგიური და გენდერული განზომილებები[24]. ულტრანაციონალიზმი აგებულია არსებული პოლიტიკური სისტემების მიმართ უკმაყოფილების, უიმედობისა და უნდობლობის განცდებზე, რომელიც ნასაზრდოებია მარცხის, შიშის, საშინაო თუ საგარეო საფრთხეების (მათ შორის ფიზიკური) შეგრძნებებით. მთავარი მოთხოვნა ძლიერი სახელმწიფოს შექმნაა, რომელსაც შეუძლია მიმდინარე საფრთხეებზე რეაგირება და მათი გადაწყვეტა. ტერმინი სხვადასხვა სპეციფიკას იძენს ლოკალურად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტრული მოვლენების გავლენით, რაც ასევე დამოკიდებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და მის საშინაო ინტერპრეტაციაზე, კონფლიქტებსა და ისტორიულ გამოცდილებაზე.

ევროკავშირის რადიკალიზაციაზე ცნობიერების ამაღლების ქსელის (Radicalisation Awareness Network, RAN) 2019 წლის ანგარიშის[25] მიხედვით რადიკალური ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის (Far-Right) მხარდამჭერები ეყრდნობიან აზრის გამოხატვის თავისუფლებას. მხარდამჭერები იყოფიან რამდენიმე ჯგუფად მათი მოტივების მიხედვით:

რევოლუციონერები, რომლებსაც ამოძრავებთ თავგადასავლის ინტერესი, ერთვებიან ადგილობრივ სკინჰედურ ან ნეო-ნაცისტურ ჯგუფებში. მათი ასაკი საშუალოდ 12-16 წლამდე მერყეობს. გამოირჩევნიან ანტი-სოციალური ან პროვოკაციული ქცევით.

მოხეტიალეები (Wanderers) – მხარდაჭერის მაძიებლები, რომლებსაც თავი მხსნელებად წარმოუდგენიათ და იცავენ ერს.

მოქცეულები (Converts) – გაიზარდნენ დაუცველ გარემოში, თავს გრძნობენ სახელმწიფოსგან მიტოვებულად, მათ გამოცდილებაშია ყოველდღიური ბრძოლა და გადაულახავი პრობლემები, მატერიალური წინაღობები.

კონფორმისტები – აქტიური წევრები, რომლებიც სოციალური წრის გავლენით მოხვდნენ ჯგუფში, არ ახასიათებთ იდეოლოგიური მოტივაცია.

---

24 Vieten, M. Ulrike, Poyinting Scott „Contemporary Far-Right Racist Populism in Europe“ Journal of Intellectual Studies, 2016; https://bit.ly/2lsKzou

25 Sterkenburg, Nikki., Gssime, Yasmine., Meines, Marije. Local-level management of far right extremism. RAN Centre of Excellence (RAN CoE). Rotterdam, Netherlands. January 23-24 EX POST PAPER RAN LOCAL – FRE 23-24 January 2019 https://bit.ly/2k047QQ

მარტოსულები – ინტერნეტის გავლენით ხდებიან იდეის მატარებლები, მანამდე სანამ ფიზიკურ სივრცეში შეხვდებიან თანამოაზრეებს.

RAN-ის მიერ შემუშავებული აღწერაც კონკრეტული დროისა და კონკრეტული კონტექსტის გამოცდილებას ეყრდნობა, შესაძლებელია მისი ყველა ასპექტი არ ვრცელდებოდეს სხვა კონტექსტებზე, ქვეყნებსა და კულტურაზე, თუმცა, ფორმით ან მახასიათებლებით მაინც გვხვდება მათი სახეცვლილი ვერსიები, მათ შორის საქართველოში.

საქართველოს კონტექსტის სპეციფიკურობას ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება და ქვეყნის მიერ ამ დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული ხედვა განაპირობებს მომავლის საქართველოს ან საქართველოს, როგორც იდეის შესახებ. ამასთან, ტერმინების აღწერა რთულია იმიტომაც, რომ რის შესახებაც ვსაუბრობთ, მიმდინარე, შესაბამისად დაუსრულებელი პროცესია. ყოველ ახალ დღეს, ახალ პოლიტიკურ ვითარებას, გარემოებების ცვლილებას დამატებითი ასპექტები და მნიშვნელობები შეაქვს როგორც ტერმინში, ისე მის გაგებასა და ინტერპრეტაციაში.

წინამდებარე ტექსტის მთავარი ფოკუსი ულტრანაციონალისტური ნარატივის აღწერა და გაგებაა. ის არ ეხება ჯგუფების სოციალური პროფილების შექმნას ან მათ პოლიტიკურ შეფასებას. მაგალითად, იმის დადგენას, ეს ჯგუფები ფინანსდებიან თუ არა მეზობელი სახელმწიფოების (მაგალითად, რუსეთის მიერ). მკვლევრების მთავარ კითხვას წარმოადგენდა, რას ნიშნავს ულტრანაციონალისტური ნარატივი დღეს? რა სიმბოლოებითა და კულტურული სახე-ხატებით არის გამოხატული ულტრანაციონალიზმი თანამედროვე საქართველოში? რესურსების შეზღუდულობის გამო, კვლევის მიღმა დავტოვეთ შემდეგი საკითხები: *ვინ საუბრობს და როგორია მოსაუბრეთა ურთიერთმიმართება ქვეყნის გარეთ არსებულ სხვა ჯგუფებთან თუ პოლიტიკურ სუბიექტებთან ან მათი დაფინანსების წყაროები.*

კვლევას, ასევე აქვს სპეციფიკური საკვლევი სივრცე – სოციალური მედია, სადაც ხდება ულტრანაციონალისტური განწყობების მობილიზება, შესაბამისი ნარატივის შექმნა და მათი ჩამოყალიბება ისეთ მარტივ ფორმებად, როგორიც არის მესიჯი, სიმბოლო, მიმი, იმიჯი, ფოტო. ამგვარად, უწყვეტ რეჟიმში, ერთდროულად მიმდინარეობს იდენტობისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლების აღმოჩენა, ფორმირება და გავრცელება ინტერნეტიდან ფიზიკურ სივრცეში და პირიქით.

ქართული ულტრანაციონალისტური კონტექსტის უნიკალურ მხარეს წარმოადგენს თარგმანი, კერძოდ, გლობალური, საერთაშორისო, ევროპული თუ დასავლური ულტრანაციონალისტური, ფაშისტური თუ ანტისემიტური მოძრაობების მიერ წარმოებული ნარატივის (სიმბლოებისა და მესიჯების) ქართულ ისტორიულ თუ თანამედროვე კონტექსტზე ადაპტირება, თარგმნა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ულტრანაციონალისტური ნარატივი გამოირჩევა ეროვნულ სიმბოლოებსა და ცნებებზე აპელირებით, ანტიგლობალური მესიჯებითა და განწყობებით, ის გლობალური ულტრამემარჯვენე ნარატივითაც არის ნასაზრდოები.

ტერმინის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, რომლებიც მიმოიხილავენ კონტინენტებისა თუ ქვეყნების, პარტიებისა თუ ჯგუფების, ორგანიზაციების მიხედვით და ცდილობენ ჩამოაყალიბონ ტერმინის ერთი, მეტ-ნაკლებად ყველასთვის საზიარო განმარტება. თავისთავად ამგვარი მიდგომა პრობლემურია, თუნდაც იმის გამო, რომ პოლიტიკური პროცესების პარალელურად, კონკრეტული ქვეყნის შიგნით ულტრანაციონალიზმიც კარგავს ან იძენს მახასიათებლებს და ერთ

ქვეყანაში იმავე სახელწოდების იდეოლოგია თუ ნარატივი არ ემთხვევა სხვა ქვეყანაში არსებულს. მაგალითად, თუ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ულტრანაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული ანტი-ლგბტ განწყობები, ზოგ ქვეყანაში სწორედ ანტი-ლგბტ განწყობები წარმართავს ულტრამემარჯვენე რიტორიკას. საქართველოს კონტექსტში, მნიშვნელოვანია, უახლესი ისტორიის გათვალისწინება. თუკი 2000-იან წლებში ქართული ექსტრემისტული პოლიტიკური ველი გამოირჩეოდა არადომინანტ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებზე ღია, ვერბალური და მათ შორის, ფიზიკური თავდასხმებით, 2010 წლიდან ეს განწყობა მკვეთრად ანტი-ლგბტ, ანტიგენდერული ხდება.

ჰადერსფილდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ტექსტში „ულტრამემარჯვენეობა ევროპაში: ენციკლოპედია“[26], ერთ-ერთი ყურადსაღები ეპიზოდია გათვალისიწინებული: „ულტრამემარჯვენეობა გულისხმობს პოსტ-ომის ეპოქას“, რომელშიც მეორე მსოფლიო ომი და 1945 წლის შემდეგი ეპოქა იგულისხმება. ავტორს მოჰყავს მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ ევროპაში შექმნილი ფაშისტური ან ნაციონალისტური პოლიტიკური პარტიები[27]. საქართველოსთვის ტერმინის განსაზღვრისთვის პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიების კვლევა არარელევანტურია საბჭოთა პერიოდის გამო. თუმცა, ბერგმანის ბატალიონის ქართულ ულტრანაციონალისტურ კონტექსტში გაცოცხლება და რეინტერპრეტაცია, ამ ეპოქას გარკვეულ მნიშვნელობას სძენს.

ნაშრომში „ულტრამემარჯვენეობა ევროპაში[28]“ ავტორებიც შენიშნავენ, რომ ევროპული ულტრანაციონალიზმის შინაარსთან დაკავშირებით, ზოგად განმარტებაზე არსებობს გარკვეული თანხმობა, თუმცა მკვლევრები ეყრდნობიან დასავლეთ ევროპის გამოცდილებას და გამოტოვებულია აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-სოციალისტური ქვეყნები, სადაც 1989 წლის მოვლენების, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩენილმა მოძრაობებმა განსხვავებული სფეციფიკა შესძინა ტერმინის სამეცნიერო გაგებას.

ტერმინოლოგიური დილემა

ულტრანაციონალიზმი, ულტრამემარჯენე რადიკალიზმი, ნაციზმი, ნეონაციზმი, ფაშიზმი, ნეოფაშიზმი, ულტრაკონსერვატიზმი ზეპირ ან მედია წყაროებში სინონიმებადაც გამოიყენება. პოსტ-სოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში კონტექსტის სპეციფიკურობისა და მწირი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების გამო, მკვლევრებისთვის დგება დილემა, როდესაც არსებულ ტერმინებთან მორგება არის ერთ-ერთი გამოსავალი კვლევის პროცესში ცნებების ოპერაციონალიზაციისას, ამასთან ტერმინების ბუნდოვანი ან არაზუსტი თარგმანი იწვევს გაუგებრობასა და უნდობლობას კვლევის მიმართ.

გავრცელებული პრაქტიკით, მკვლევრები იყენებენ პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიებს, მათ ისტორიულ წარმომავლობას, წინასაარჩევნო პროგრამებს, ძირითად ღირებულებებს, სამიზნე აუდიტორიას და სხვა მახასიათებლებს განსაზღვრების საკვლევად. საბჭოთა გამოცდილებისა

26 Davies, Peter J. and Jackson, Paul. The far right in Europe: an encyclopedia; University of Huddersfield Repository. Greenwood, Oxford. ISBN 9781846450037 https://bit.ly/2lv5VS7

27 Henley, John. „How populism emerged as an electoral force in Europe“. The Guardian, November 2018. https://bit.ly/2RYhsoh

28 Davies, Peter J. and Jackson, Paul. *The far right in Europe: an encyclopedia.* University of Huddersfield Repository. Greenwood, Oxford. ISBN 978-1-84645-003-7

და დამოუკიდებლობის შემდეგ პარტიების მიერ იდეოლოგიური ბუნდოვანებისა თუ სხვა მიზეზთა გამო, ქართულ სივრცეში ამგვარი მონაცემები არ არის რელევანტური. შესაბამისად, წინამდებარე ტექსტში ქართული ულტრანაციონალიზმის განმარტება მომდინარეობს ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფების/ორგანიზაციების მიერ სოციალურ მედიაში წარმოებული ნარატივიდან. ავტორები ეყრდნობიან რა ორ მთავარ მახასიათებელს: ჯგუფების თვითიდენტიფიცირებას (1), ანუ როგორც ისინი თავად მოიხსენებენ საკუთარ თავს და მათ მიერ, საკუთარი სოციალური მედიას პლატფორმებზე გავრცელებულ ნარატივს (2), ულტრანაციონალისტური ნარატივის სამუშაო გაგებას აყალიბებენ: ისტორიული კონტექსტების რეინტერპრეტაცია, ოჯახის, ტრადიციის, გენდერული როლების, რელიგიის, მიწის, სისხლის, ბრძოლის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პოზიტიური ნარატივის აგება ანტილიბერალური, ანტიგენდერული, ანტიისლამური, ანტისემიტური, ანტიმიგრანტული განწყობების გაღვივებით. განმარტება არამყარია, მიმდინარე პოლიტიკური გარემოს შესაბამისად განიცდის ადაპტაციას, წინ წამოსწევს ან უკანა პლანზე გადააქვს ჩამოთვლილთაგან რომელიმე. ამგვარი მიდგომით კი, ულტრანაციონალისტური ნარატივი საუბრობს ერის სახელით, აცხადებს მონოპოლიას ეროვნული იდენტობის განსაზღვრასა და სოციალური ნორმების წარმოებაზე ლიბერალურ დემოკრატიასთან და არადომინანტ ჯგუფებთან დაპირისპირებაში.

კვლევის ძირითადი მიგნებები

შესწავლილი ონლაინ ნარატივში იკვეთება შემდეგი შინაარსობრივი ურთიერთმიმართებები ჯგუფების მიზანს, დასახულ საფრთხეებსა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის სტრატეგიებს შორის:

ქართული იდეა

რას/ვის იცავენ? – მონარქიული სახელმწიფო წყობა; მესიანისტური, იზოლაციონისტური მართლმადიდებლობის ნარატივი; პრორუსული განწყობები: რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე, ისტორიულ მეგობარ სახელმწიფოსთან სიახლოვე.

საფრთხე – დასავლეთი (ევროკავშირი, ლიბერალური ღირებულებები), როგორც გარყვნილების „დამკანონებელი“ (მაგ. „ანტიდისკრიმინაციული კანონი“); მიგრაციიდან გამომდინარე დემოგრაფიული საფრთხე (ეთნიკური ქართველები შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდნენ).

სტრატეგია: სოციალური ქსელი (ფეისბუკი); არქაული ენა, ნაწყვეტები საეკლესიო ლიტერატურიდან, მათ შორის, დიდწილად რუსული ან არაიდენტიფიცირებული წყაროებიდან და რუსი სასულიერო პირების/წმინდანების გამონათქვამები.

ქართული ძალა

რას/ვის იცავენ? – ტრადიციული გენდერული როლები (ძლიერი მამაკაცი და სუსტი ქალი) და ოჯახის ინსტიტუტი; ქართველი ქალი სინაზის, სათნოების, ბრძოლის, თავგანწირვის, სიწმინდის, ფიზიკური და სულიერი სილამაზის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს, ხოლო მამაკაცი – ფიზიკური სიჯანსაღისა და ძლიერების სიმბოლოს.

საფრთხე – ლგბტ ჯგუფი; ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია; მიგრანტები (აზია-აფრიკა); ისლამი (ტერორიზმთან გაიგივებული); მულტიკულტურალიზმი; ფემინისტები.

სტრატეგია: სოციალური ქსელი (ფეისბუკი); ცინიკური, ირონიული, არანორმატიული ენა; ვიზუალური გამომსახველობითი საშუალებები: შარჟი/კარიკატურა/მიმი.

ქართული მარში

რას/ვის იცავენ? – ჯგუფის წევრები გამოდიან ეთნიკურად ქართველების დაცვის მოწოდებებით (ამავე დროს, ფიზიკურ და ონლაინ სივრცეში თავს ესხმიან ეთნიკურად ქართველ საჯარო პირებს); დავით აღმაშენებლის, ზვიად გამსახურდიასა და სხვა ისტორიული ფიგურების ჰეროიზაცია – ისტორიული მეხსიერებით მანიპულაცია.

საფრთხე – არასამთავრობო ორგანიზაციები (განსაკუთრებით, „სოროსის ფონდი“); ლგბტ თემი; მიგრანტები (აზია-აფრიკიდან).

სტრატეგია: აქციები, განცხადებები, საპროტესტო მსვლელობები, სოციალური ქსელი (ფეისბუკი); რადიკალური, ისტერიული ენა („სასიკვდილო შიმშილობა“); პერსონიფიცირებული ვიზუალური მასალა (ჯგუფის წევრების ფოტოები).

ნაციონალისტები

რას/ვის იცავენ? – გვერდი აცხადებს, რომ მის მიზანს წარმოადგენს ქართული კულტურის, ღირებულებების და იდენტობის დაცვა, თუმცა ამ კონცეფციების მიღმა კონკრეტული შინაარსი არ იკითხება.

საფრთხე – ლიბერალიზმი, მიგრანტები (აზია-აფრიკიდან), ლგბტ თემი, ეთნიკური უმცირესობები.

სტრატეგია – სხვა ფეისბუკ გვერდების მიერ გამოქვეყნებული მულტიმედიური მასალის გაზიარება მცირე კომენტარით; ჰეროიკული ბალადები; ისტორიები ქართველების გმირობის შესახებ.

- ჯგუფების/მოძრაობების შექმნის ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენს ლიბერალური მეინსტრიმ მედიისგან განსხვავებული, ალტერნატიული სივრცის შექმნა.

- ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მათი ორგანიზაციული მოწყობისა და მიზნების მიხედვით: პოლიტიკური პარტია; არასამთავრობო ორგანიზაცია; ახალგაზრდული მოძრაობა.

- ჯგუფები იყენებენ ონლაინ მედიას: მათი ნარატივის, იდეოლოგიისა და შეხედულებების გასავრცელებლად; მიმდინარე მოვლენებზე კომენტირებისთვის; მხარდაჭერების შესანარჩუნებლად და მოსაპოვებლად; საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად; „ტროლინგისთვის“.

- ჯგუფების მიერ გამოყენებულ ნარატივში გაერთიანებულია პოზიტიური და ნეგატიური შინაარსები. პოზიტიურ შინაარსს მიეკუთვნება: „ბრძოლისა“ და „გადარჩენის ნარატივი“, ისტორიის ჰეროიზაცია, ყურადღების გამახვილება რელიგიის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე, ტრადიციებსა და კულტურის უნიკალურობაზე. ნეგატიური შინაარსი კი გულისხმობს ანტი-ლიბერალურ, ანტი-დასავლურ (დასავლეთი, როგორც ევროკავშირისა ლიბერალური ჯგუფების აღმნიშვნელი) განწყობებს, ხოლო დასავლეთის სახეს ადგილობრივ კონტექსტში წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები, ღია საზოგადოების ფონდი („სოროსის ფონდი“), პოლიტიკური პარტიები, ლიბერალური მეინსტრიმ მედია, ბიზნეს, კულტურული თუ ინტელექტუალური ელიტა.

- ჯგუფების ნარატივი აგებულია საერთაშორისო პოლიტიკის ადგილობრივ ინტერპრეტაციაზე: დასავლეთის ულტრამემარჯვენე, პოპულისტური პოლიტიკური პარტიების, აშშ პრეზიდენტის, დონალდ ტრამპისა და ლიბერალური პარტიების, ევროკავშირის დაპირისპირების კონტექსტში.

- ჯგუფები იყენებენ ისტორიულ და კულტურულ სიმბოლურ მახასიათებლებს საკუთარი პოზიტიური ნარატივის გადმოსაცემად. ხოლო ნეგატიური ნარატივისთვის ლიბერალური, ლგბტ და ფემინისტური ჯგუფების კარიკატურული, გაშარჟებული ვიზუალური მასალა გამოიყენება.

- ჯგუფების ნაწილი მხარს უჭერს რელიგიური, თუ სხვა არგუმენტებით რუსეთთან სიახლოვეს და პრორუსულ პოლიტიკას, ჯგუფების ნაწილი კი ანტირუსულ განწყობებს გამოხატავს.

- ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფების ნაწილის ნარატივში ღიად შეიძლება არ ჩანდეს რუსული პოლიტიკის მხარდამჭერი განცხადებები, ეს ჯგუფები ირიბად მაინც იზიარებენ ,,რუსულ ნარატივს“[29].

- იმის გამო, რომ საქართველოში შეიძლება ღიად პრორუსული განწყობები მხარდამჭერების მობილიზაციისთვის წარუმატებელი იყოს, ჯგუფები საკუთარი იდენტობის ლეგიტიმაციისა და მისი არაპრორუსულობის დასამტკიცებლად ორ ძირითად ფორმულირებას იყენებს: 1) „ევროპაშიც არიან მსგავსი ჯგუფები“; „როგორც სხვა ევროპელი ულტრამემარჯვენეები“; 2) არაპროდასავლური ან პრორუსული, არამედ „ეროვნული ნარატივი“.

29 OC Media, Analysis | Georgia’s far right are anti-Russian but share Russian narratives, 2 April, 2019. https://oc-media.org/analysis-georgia-s-far-right-are-anti-russian-but-share-russian-narratives/?fb_comment_id=2269447133078155_2471824486173751

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. მონაცემების აღსაწერად გამოიყო საკვლევი საგნის შესახებ არსებული რაოდენობრივი მონაცემები, ხოლო მონაცემების ანალიზისთვის გამოვიყენეთ კრიტიკული დისკურს ანალიზი (ნორმან ფერკლოუ, თიონ ვან დაიკი). ონლაინ ულტრანაციონალისტური ნარატივის აღსაწერად შეირჩა 4 ძირითადი ფეისბუკ გვერდი: „ქართული იდეა“, „ქართული ძალა“, „ქართული მარში“ და „ნაციონალისტები“.

შერჩევის კრიტერიუმები:

1. გვერდის მოწონების რაოდენობა.
2. ცნობადობა/მედია დაფარვა, აქცია/მსვლელობა საჯარო სივრცეში.
3. აქტიურობა („პოსტინგი“), მონაცემების გამოქვეყნების სიხშირე.

გვერდი	მოწონებების რაოდენობა	მოპოვებული აქტივობა	ყოველდღიური აქტივობა	სიტყვები თითოეულ პოსტში
ქართული იდეა	61837	1541	6.6	137
ქართული ძალა	25454	704		37
ქართული მარში	17525	1212	3.4	54
ნაციონალისტები	5375	560		27

მითითებული მონაცემების მოპოვების თარიღია: 10/06/2019

მონაცემთა შეგროვება

კვლევა ეყრდნობა ფეისბუკ გვერდების მონაცემებს, შესაბამისად, კვლევის ამოცანებისა და საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო იყო ტექსტური და ვიზუალური მასალის შეგროვება, მისი ტექსტად ქცევა შემდგომი ანალიზისათვის.

მონაცემთა მოპოვების ინსტრუმენტად შეირჩა პითონის (python) ენაზე დაწერილი ღია პროგრამული უზრუნველყოფის მქონე (OpenSource) კოდი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში შეაგროვებდა კონკრეტული ჯგუფების მიერ გამოქვეყნებულ პოსტებს (სტატუსებს) და გვერდის მომხმარებლების მიერ მათზე გაკეთებულ კომენტარებს. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის მიზანი ქართულ ენაზე შექმნილი ტექსტის აღწერაა, საჭირო გახდა მოპოვებული კოდის რედაქტირება: უნიკოდის utf-8-sig ფორმატის ინტეგრირება და კვლევის მიზნებზე ადაპტირება. ფეისბუკის აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისიის (API) ხსენებული ინსტრუმენტის გამოყენებით, შევაგროვეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალა. შერჩეული ჯგუფების მიერ გამოქვეყნებული პოსტების და კომენტარების შეგროვების შემდეგ ისინი CSV ფორმატში გადავიყვანეთ და მოვამზადეთ შემდგომი ანალიზისათვის.

მონაცემების კატეგორიზება

შერჩეული ოფიციალური ფეისბუკ გვერდებიდან ავიღეთ ყველა პოსტი, გვერდების პირველი საჯარო აქტივობიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით. 5 ივნისი არის პირობითი თარიღი, როდესაც მკვლევრებმა დაასრულეს მონაცემების შეგროვება. მონაცემების ერთიან სისტემაში მოქცევის შემდეგ, მოვახდინეთ მათი თემატური კატეგორიზება გამოკვეთილი შინაარსების მიხედვით. ოთხივე ფეისბუკ გვერდისთვის მეტ-ნაკლებად საერთო თემატური კატეგორიები შეირჩა.

შეგროვებული ხელმისაწვდომი მონაცემების კატეგორიზება ორ ეტაპად იყოფა: ავტომატური კატეგორიზება, რომლის ფარგლებშიც საკვლევი მონაცემები განირჩევა ერთმანეთისგან, განიმარტება, გაიგება და დაჯგუფდება კვლევის მიზნიდან გამომდინარე. ამ მიდგომაში მნიშვნელოვანია დიდი რაოდენობის მასალისთვის კონტექსტის დადგენა და მომზადება შემდეგი ეტაპისთვის. ამ მხრივ კვლევის სირთულეს წარმოადგენდა რიგი პოსტების მრავალკატეგორიულობა, ანუ ერთი პოსტი ხშირად რამდენიმე ფართო კატეგორიას მოიცავდა. ამ შემთხვევაში, პოსტი ხვდებოდა მკვლევრების მიერ მიჩნეულ მთავარ კატეგორიაში. მონაცემების ამ სახით დამუშავების შედეგად, ჩამოყალიბდა ოცამდე ძირითადი კატეგორია, რომელიც, სხვადასხვა ინტენსივობით, თუმცა მეტ-ნაკლებად საერთო აღმოჩნდა ყველა ჯგუფისთვის. ამ პროცესის შემდეგი ეტაპი იყო ანალიტიკური კატეგორიზება – კატეგორიზებულ მონაცემებში დომინანტი ნარატივების გამოყოფა თითოეული გვერდის მიხედვით. მიღებული კატეგორიებიდან გამოიყო მთავარი შინაარსი, აღიწერა, დაჯგუფდა და ჩამოყალიბებულ კატეგორიების აღსაწერად შეიქმნა ერთიანი ტექსტი.

საბოლოოდ, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი კატეგორიები: ქალთა საკითხები (ფემინიზმი), ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხები, რელიგია, საქართველოს ისტორია (ძველი/უახლესი), მსოფლიო ისტორია, ადგილობრივი საინფორმაციო სიახლეები, რასიალიზმი, ეთნოსი, კულტურა, მიგრანტები, ევროპა, აშშ, რუსეთი, თურქეთი, სამხედრო-მილიტარისტული შინაარსი, ნარკოპოლიტიკა, იდენტობა და მოწოდება.

1. **ლგბტ თემი** – დემოგრაფიის საფრთხის, ქართველთა „გადაგვარების“, ტრადიციების დაკარგვის, ფემინურობის, დასავლეთის ნეგატიური პროპაგანდის, ანტირელიგიურობის, ანტიქართულის ერთგვარი სინონიმი და, შესაბამისად, საფრთხე. თემა უკავშირდება დასავლეთს, ევროპას, ევროკავშირში ინტეგრაციასა და ქართული იდენტობის დავიწყება/დაკარგვას.

2. **ქალთა საკითხები (ფემინიზმი)** – ქალების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, შეფასებები. შეხედულებები ქალთა გარეგნობაზე, მათ პოლიტიკასა თუ სოციალურ საკითხებში ჩართულობაზე. შეურაცხმყოფელი რეპლიკები, ფოტო თუ ვიდეომონტაჟი, რომლის ძირითადი გზავნილები უკავშირდება ლიბერალურ იდეოლოგიას, ევროინტეგრაციის პროცესს, აბორტს, ოჯახის ინსტიტუტს, გლობალიზაციას, რელიგიასა და სქესობრივ განათლებას.

3. **რელიგია** – განსხვავებული რელიგიური იდენტობებიდან ძირითადი აქცენტი კეთდება ისლამზე. მუსლიმები წარმოჩენილი არიან როგორც ქრისტიანული ევროპისა და „მართლმადიდებელი საქართველოს“ გამუსლიმანების საფრთხე. ისლამი კი მიიჩნევა ტერორიზმისა და მიგრაციის გამომწვევ იდეოლოგიად. კატეგორიაში იშვიათად, მაგრამ მაინც ხვდებიან სხვა რელიგიური უმცირესობებიც. რელიგიის კატეგორიის დიდი ნაწილი მოიცავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაულებს, ისტორიულ ამონარიდებსა და წმინდანების

ფოტოებს. მათი შინაარსი არის საქართველოს ისტორიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი და ქართველთა იდენტობის შენარჩუნება არაქრისტიანი ისტორიული დამპყრობლების მხრიდან თავდასხმების დროს.

4. **მიგრანტები –** აღნიშნული კატეგორია აზია-აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელი მიგრანტების, მუსლიმებისა და ადგილობრივი, არაქართველი ბიზნესმენებისა თუ სხვა სფეროში დასაქმებულთა თემასთან კავშირში განიხილება. აქტუალურია თბილისის კონკრეტულ უბნებში გახსნილი ბარების, კლუბებისა და კაფეების უცხოელი მფლობელების წარმომავლობა და პროსტიტუციის, გაუპატიურების, არალეგალური მიგრაციის, მიწის უცხოელებზე გასხვისების კონტექსტი. ვხვდებით ქართულ ენაზე ევროპაში მიგრანტების მიერ ჩადენილი კრიმინალის გაშუქებას. ქართველი ემიგრანტები წარმოჩენილი არიან ადამიანთა კეთილშობილ ჯგუფად, რომელიც სამშობლოს დატოვების ფასად, საკუთარი შრომით საზღვარგარეთიდან ცდილობს საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის გადარჩენას.

5. **რასიალიზმი** – ფიზიკური მახასიათებლების, ეთნიკურობისა თუ რელიგიის ერთობლიობა არის მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრება „განსხვავებული რასის“ მქონე ჯგუფი. ძირითადი აქცენტი კეთდება ნაკლებად ცივილიზებულობასა და ეთნოცენტრულ წარმოდგენებზე, სადაც ბიოლოგიური და კულტურული რასიზმი სხვადასხვა ჯგუფის დისკრედიტაციისთვის გამოიყენება. არათეთრკანიანი ან არაქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდისადმი შიში საბუთდება დემოგრაფიული საფრთხით. აღნიშნულ კატეგორიაში გენდერისა და შერეული ოჯახების თემა წამყვანი ფაქტორია ნეგატიური კონოტაციების ჩამოსაყალიბებლად (როდესაც თეთრკანიანი ქალი (ან კაცი) ოჯახის პარტნიორად ირჩევს არათეთრკანიანს ან მუსლიმს, მსგავსი ფაქტები ააქტიურებს თემას).

6. **საქართველოს ისტორია (ძველი და უახლესი)** – გვხვდება ისტორიული ფიგურები, მეფეები და წმინდანები, ბრძოლის თარიღები, ჰეროიკული ნარატივები, მოკლე ისტორიული ექსკურსი, როგორ იმარჯვებს საქართველო მტერზე ან კონკრეტული ისტორიული პერსონაჟი თავს სწირავს სამშობლოსთვის. კატეგორია შესაძლოა შეიცავდეს მონარქიის რომანტიზებას, სენტიმენტებს ბაგრატიონების საგვარეულოს კეთილშობილებასა და მის „ღვთაებრივ წარმომავლობაზე“. მოყვანილია წყაროები, სადაც ასაბუთებენ მონარქიის, როგორც ქართული კულტურისათვის მისაღები სახელმწიფო მოწყობის, აღდგენას. უახლესი ისტორია მოიცავს 1990-იანი წლებიდან დღემდე პერიოდს. ვხვდებით თანამედროვე საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკის განხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდს. კატეგორია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა „მრგვალი მაგიდის“ საქმიანობა, 9 აპრილის ტრაგედია, „ვარდების რევოლუცია“, 2008 წლის აგვისტოს ომი, აფხაზეთის ომში დაღუპული ჯარისკაცების ფოტო და ვიდეო მასალა (ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად). ხშირად ვრცელდება ინფორმაცია მოწინააღმდეგეების (შიდა მტრებისა და მოღალატეების) შესახებ, რომელთა გამოც ისტორია „არასწორად“ განვითარდა.

7. **მსოფლიო ისტორია** – გვხვდებიან მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის იტალიისა და გერმანიის პოლიტიკოსები, სამხედრო თუ სახელმწიფო მეთაურები, პირველი და მეორე მსოფლიო ომის შესახებ ისტორიული მასალის ვიზუალიზაცია; ბენიტო მუსოლინის, ჰიტლერის, სტალინისა და სხვა სამხედრო მეთაურების ციტატები; გეოსტრატეგიული მიმოხილვა და ისტორიული

პერსონაჟების ბიოგრაფიების აქტუალიზება. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შესახებ სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული ცნობები ხშირად პირველწყაროს მითითების გარეშე ვრცელდება. მსოფლიო ისტორია ომის ისტორიის შინაარსზე არის აგებული.

8. **ნარკოპოლიტიკა** – ნარკოპოლიტიკის რეფორმა აღქმულია ნარკოტიკების პროპაგანდად და საფრთხედ დემოგრაფიის, ქართული გენისა და საზოგადოების ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის.

9. **კულტურა** – ლექსები, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ფრაგმენტები, მწერლების, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას, სხვა საზოგადო მოღვაწეთა უკონტექსტო ციტატები, სხვადასხვა ვიზუალური მასალა და სიმღერები, სამშობლოს, ნაციონალიზმის, რელიგიის, ერის, ქალის შესახებ.

10. **ევროპა** – კატეგორიაში ვხვდებით რიტორიკას ევროპული ცივილიზაციის დასასრულზე, ლიბერალიზმთან მებრძოლი ევროპული ულტრაკონსერვატიული ჯგუფების გულშემატკივრობას; ევროკავშირის ლიბერალური პოლიტიკის, ლგბტ თემის, უკონტროლო მიგრაციისა და რელიგიის თავისუფლების გამო, ევროპის კონტინენტის და ევროკავშირის პოლიტიკის დემონიზაციას. ამ კონტექსტში საქართველო წარმოჩნდება გადაგვარების საფრთხის წინაშე მყოფ ერად, რომელსაც ევროკავშირში გაწევრიანება კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქადის.

11. **რუსეთი** – ძირითადად მოიცავს ორ პერსპექტივას: რელიგიურ კონტექსტში ყურადღება მახვილდება კულტურულ სიახლოვეზე რუსეთთან, როგორც მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან; გვხვდება რუსი სასულიერო პირების ფრაზები, ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში რუსეთს ძირითადად აღიქვამს ოკუპანტად და აგრესორად.

12. **თურქეთი** – განიხილება, როგორც ოსმალური იმპერიის მემკვიდრე სახელმწიფო. მიმდინარეობს დისკუსია საქართველოში მის რელიგიურ, კულტურულ და ეკონომიკურ ექსპანსიაზე. არგუმენტები თურქეთიდან მომავალ საფრთხეზე, ძირითადად ეფუძნება ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებულ ისტორიულ გამოცდილებას და ეკონომიკურ ინტერესებს აჭარაში (თურქული რესტორნები, კაფეები და სავაჭრო დაწესებულებები).

13. **ამერიკის შეერთებული შტატები** – დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებისა და მისი პოლიტიკის გამო, ამერიკის იმიჯი პოზიტიური შინაარსისაა. უკონტროლო მიგრაცია ამ შემთხვევაშიც ისეთივე პრობლემური საკითხია, როგორც ევროპაში, თუმცა, ევროკავშირისგან განსხვავებით, ამერიკას „ძლიერი ხელი“ მართავს, შესაბამისად, საფრთხეც ნაკლებია.

14. **ადგილობრივი საინფორმაციო სიახლეები** – ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მასალების ძირითადი ნაწილი სხვა საინფორმაციო საშუალებებს ეყრდნობა, თუმცა ხდება მათი კონტექსტუალიზაცია კონკრეტული გვერდების იმიჯთან შესაბამისად. ასევე, არსებობს ალტერნატიული საინფორმაციო წყაროები, მათი მიზანი კონკრეტულ ჯგუფებში შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაა. ამ კატეგორიის გამოკვეთილი მახასიათებელია მეინსტრიმ მედიისგან განსხვავებული ალტერნატიული საინფორმაციო ნარატივის შექმნა.

15. გლობალური საინფორმაციო სიახლეები – ფრაგმენტული ინფორმაცია, ძირითადად, მიგრანტთა, მუსლიმთა, ფემინისტური ჯგუფებისა და ლგბტ თემის საკითხებზე, რომელიც დასავლეთს წარმოაჩენს მხოლოდ ამ თემების გარშემო მობილიზებული საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ერთობად. თუმცა, ამგვარი ინფორმაციის გვერდით, ასევე არსებობს გლობალური საინფორმაციო ნარატივის ალტერნატივა აშშ პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანისა და იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის, ულტრა-მემარჯვენე პარტიის, „ჩრდილოეთის ლიგის“ ლიდერის, მატეო სალვინის სახით. ადგილობრივი ულტრანაციონალისტური ფეისბუკ გვერდების საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ევროპის/საერთაშორისო წესრიგის ალტერნატივას, რომელმაც საქართველოშიც უნდა „ჩამოაღწიოს“.

16. მოწოდება – ჯგუფებს სურთ, რომ ვირტუალური აქტივობა გადაიტანონ რეალურ სივრცეში: რაც გულისხმობს, აქციების დაანონსებას, მხარდამჭერთა მობილიზებას, მონაცემების გაზიარებასა და მოწონების ან დაბლოკვისკენ მოწოდებას.

ანალიტიკური კატეგორიზება

ამგვარი მიდგომით შესაძლებელია მონაცემებში გამოხატულ სუბიექტებსა და ობიექტებს შორის მიმართებების დადგენა, იერარქიების გამოყოფა და მათი ურთიერთგავლენის ან ურთიერთკავშირის განსაზღვრა. ანალიტიკური კატეგორიზების დროს გამოვიყენეთ ლატენტური სემანტიკის ინდექსიზაციის მეთოდი, რომელიც მიემართება სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებულ ერთსა და იმავე სიტყვებს. მათ სხვადასხვა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვთ და კონტექსტი განსაზღვრავს მათ შინაარსს. ყველაზე ხშირად ვხვდებით ევროპას, როგორც პოლისემიის მაგალითს: ერთ შემთხვევაში, ევროპა არის ლიბერალური და კარგავს ტრადიციულ ღირებულებებს, შესაბამისად, საფრთხის შემცველია საქართველოსთვის, ხოლო მეორე შემთხვევაში, ევროპა არის ქრისტიანული, ნაციონალისტური და ანტიისლამური" შესაბამისად, სასურველი და იმედისმომცემი.

მაგალითები:

„გერმანია (ქალაქი ესენი), მაროკოელი მიგრანტი აფურთხებს ქუჩაში გამვლელ მოქალაქეს. ეს უკვე ზედმეტია აი ამის მსგავსი დამცირების და თუნდაც ბევრად უფრო მწვავე ძალადობის ფაქტები ამ დამპლების მხრიდან გერმანიისთვის და ევროპის სხვა ქვეყნებისთვის, ლიბერალური სამიგრაციო პოლიტიკის წყალობით, უკვე ყოველდღიურობაა! ვულოცავ ევროპას დემოკრატიის ასეთ მაღალ საფეხურზე გადასვლას“ [2018-04-24 10:57:23, „ნაციონალისტები“];

„ათასობით პოლონელმა ქრისტიანმა ქვეყნის საზღვარზე ცოცხალი ჯაჭვი შეკრა და ევროპის ისლამიზაციის წინააღმდეგ ილოცა“. [2017-10-11 9:51:28, „ნაციონალისტები“];

„უნგრეთსა და მაკედონიაში მოეწყო სახალხო ნაციონალისტური მსვლელობა ჯორჯ სოროსის მოღვაწეობის წინააღმდეგ, რასაც მაკედონიაში სოროსის ფონდის დარბევა მოყვა !!!“ [2018-02-15 7:12:43, „ქართული მარში“].

ვიზუალური მასალის ანალიზის მეთოდოლოგია

საკვლევი საგნისთვის შერჩეული ფეისბუკ გვერდების რეპრეზენტაციის დიდი ნაწილი დამოკიდებულია ვიზუალურ მონაცემებზე, რომლებშიც სიმბოლიზებულია ყველა ის ემოცია, განწყობა და სათქმელი, რომელსაც გვერდები ყოველდღიურად, თანმიმდევრულად ავრცელებენ. ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფეისბუკ გვერდებზე გამოქვეყნებული მიმების ანალიზი წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. მიმების ანალიზის მიზანია, შეისწავლოს, აღნიშნული ფეისბუკ გვერდები რომელ თემებს, სიმბოლოებს, მეტაფორებსა და გამოხატვის ტექნიკას იყენებენ ძირითადი იდეების გასავრცელებლად.

ვიზუალური მონაცემების ანალიზი კონტენტ ანალიზის მეთოდისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ინფორმაციის შეგროვება და შერჩევის მეთოდი

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია 140 მიმი, რომელიც Facebook გვერდზე, ქართული ძალა / Georgian Power, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით გამოქვეყნდა (იხ. დიაგრამა #1). აღსანიშნავია, რომ ვიზუალურ ინფორმაციასთან ერთად მონაცემთა ანალიზის პროცესში ინტეგრირდა მიმების რაოდენობრივი მახასიათებლები: კომენტარების, გაზიარებისა და ემოციების რაოდენობა თითოეული „მიმი პოსტისათვის“. დიაგრამა აჩვენებს, რომ „ქართული ძალის“ გვერდის მიხედვით, იზრდება მიმების გამოყენების სიხშირე.

დიაგრამა #1. მიმების რაოდენობა გამოქვეყნების თარიღის მიხედვით



მონაცემთა ანალიზის მეთოდი

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა კონტენტ ანალიზის „მიმართული მიდგომის“ (directed approach) (Hsieh & Shannon, 2005) გამოყენებით. „მიმართული მიდგომის“ ერთ-ერთი ძირი-

თადი მახასიათებელია მონაცემთა კოდირების პროცესისათვის კონცეპტუალური კატეგორიების ჩამოყალიბება თეორიასა ან სხვა მონაცემებზე/ კვლევაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი მიმების ანალიზისთვის გამოყენებულია ამავე თემაზე ტექსტური ინფორმაციის დამუშავების შედეგად მიღებული კატეგორიები. კოდირების პროცესის დაწყებამდე, იმის გათვალისწინებით, რომ ანალიზისთვის გამოყენებულია მხოლოდ ვიზუალური მონაცემები, კოდირების ერთეულად განისაზღვრა მიმის შემადგენელი კომპონენტი (მაგ. ტექსტი, კონკრეტული სიმბოლო, სიმბოლოს ნაწილი და ა.შ.).

კონცეპტუალურ კატეგორიებზე დაყრდნობით განისაზღვრა თემატური კოდები. აღსანიშნავია, რომ შეფასებითი ანალიზის პრინციპის (Kuckartz, 2014) გათვალისწინებით, თემატურ კოდებთან ერთად გამოიყო კოდი – „კოდირებული ნაწილი“, რომლის მეშვეობითაც დადგინდა მიმის კოდირებული ნაწილის „დაფარვის“ ხარისხი. კოდის „კოდირებული ნაწილი“ კლასიფიკაცია ეყრდნობა კოდირებული ნაწილის „დაფარვის“ პროცენტულ მნიშვნელობას.

- მცირე დაფარვა 1% – 33 %;
- საშუალო დაფარვა 34 % – 37 %;
- დიდი დაფარვა – 68 % – 100%.

ზემოთ აღწერილი კოდების/კატეგორიების მიხედვით, მკვლევრებმა მოახდინეს 140 მიმის კოდირება. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ შეიქმნა კოდების სისტემა/კონცეპტუალური კატეგორიები, კოდირების პროცესში გამოიკვეთა ახალი კოდები, გაერთიანდა უკვე არსებული ორი ან რამდენიმე კოდი. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ განსხვავებული მიდგომების გამოყენებით ჩატარდა კოდირებული მიმების ანალიზი.

ქვემოთ წარმოდგენილია კოდირებული ინფორმაციის ანალიზი შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- თემატური კოდების სიხშირეები, პროცენტული განაწილება;
- კროს-ტაბულაციები, რომელშიც ერთი ცვლადი თემატური კოდია, მეორე კი მიმის მახასიათებელი ან შეფასებითი კოდია;

- თემატური სიახლოვის ანალიზისთვის (Thematic Proximity analysis) გამოყენებულია განსხვავებული მიდგომები, მათ შორის, t კოეფიციენტი (Friese, 2014), c კოეფიციენტი (Armborst, 2017), მრავალგანზომილებიანი სკალირება (multidimensional scaling) (Verbi, 2018).

ექსპერტთა გამოკითხვა

კვლევის ერთ-ერთ ეტაპზე ჩატარდა „ექსპერტთა გამოკითხვა“ წინასწარ მომზადებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კვლევის ამ ეტაპმა მოიცვა ოცამდე რესპონდენტი: თეოლოგები, ანთროპოლოგი, კულტურის მკვლევარები, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტოლოგიისა და სხვა სოციალური მეცნიერების ექსპერტები. შესრულდა ჩატარებული ინტერვიუების ტრანსკრიპტები და მიღებული ინფორმაცია კვლევის პროცესში გამოკვეთილი კატეგორიების უკეთ გასაცნობად იქნა გამოყენებული.

კვლევის შეზღუდულობა

არსებული რესურსებიდან და კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დასაკვირვებელ ობიექტად იქცა მხოლოდ დისკურსი. კვლევის პროცესში არ მომხდარა გვერდების ადმინისტრაციის და მათი აუდიტორიის დემოგრაფიული ხასიათის ანალიზი, ყურადღება არ გაგვიმახვილებია დისკურსის მწარმოებელ აქტორთა მახასიათებლებზე, მათ ინდივიდუალურ საქმიანობაზე, სოციალურ სტატუსსა და კვლევისათვის შეუსაბამო შეხედულებებზე. საკითხი მოიცავს მრავალ შრეს, რომელთა დეტალური დაფარვა ერთ კვლევაში შეუძლებელი იქნებოდა.

კვლევაში შესწავლილია შერჩეული ჯგუფების მიერ სპონტანურად, მკვლევრების ჩართულობის გარეშე შექმნილი ნარატივები. ჯგუფის წევრებმა არ იცოდნენ, რომ მიმდინარეობდა კვლევა მათი ნარატივის შესახებ.

სოციალური ქსელის მონაცემები სწრაფად ცვალებადია. კვლევის მიმდინარეობის პროცესში გვერდების ნაწილი პერიოდულად მიუწვდომელი იყო ან იქმნებოდა ახალი გვერდები და ახალი მონაცემები. საკვლევი სივრცის სწრაფი და მუდმივი ცვალებადობის გამო კვლევის მთავარი აქცენტი ჯგუფების ნარატივზე გაკეთდა.

ჯგუფების ონლაინ ნარატივის აღწერა, მათი ფეისბუკ გვერდების მონაცემების მიხედვით

ჯგუფის სტრუქტურა განისაზღვრება მისი მოწყობის მიხედვით. ეს არის ჯგუფის წევრების როლების, ნორმების, სტატუსის, პოზიციების, მხარდამჭერების რაოდენობის, გავლენისა და აქტიურობის კომბინაცია.

ონლაინ ჯგუფების შემთხვევაში, ჯგუფის აღწერა ემთხვევა სოციალური ჯგუფის მახასიათებლებს, თუმცა არ იზიარებს მის ყველა სტანდარტულ თვისებას. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მიზნიდან და მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ჯგუფის ცნების განმსაზღვრელი კონკრეტული მახასიათებლები: ჯგუფის დაარსების დრო, გავლენიანი, ცნობილი წევრები, ონლაინ პლატფორმის აღწერა, სიმბოლური ნიშნების აღწერა, „პოსტინგის“ ენის დახასიათება, სავარაუდო მოწინააღმდეგე და მომხრე ჯგუფების მიმოხილვა, საჯარო პოზიციები, სამომავლო გეგმები ჯგუფის სტრუქტურის შესახებ და მათი მიმდინარე სოციალური კავშირები.

აღნიშნული ჯგუფების ციფრული ალტერნატიული სივრცე შედგება ფეისბუკის გვერდებისა და იუთუბის ანგარიშებისგან. ამ ანგარიშების ეთნოგრაფიულ აღწერაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტში ისინი, დაახლოებით, 2013-2015 წლიდან ჩნდებიან. ჯგუფები ყურადღებას იქცევდნენ მათი სიმბოლური, ვიზუალური და რადიკალური ენობრივი მახასიათებლებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფები ერთ იდეოლოგიურ ფლანგზე იმყოფებიან და ულტრანაციონალისტებად იდენტიფიცირდებიან, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. ინტერაქციის გარკვეულმა გამოცდილებამ და გაცხადებული, საერთო იდეოლოგიური მოწინააღმდეგის, ლიბერალური ფრთის არსებობამ, განაპირობა ჯგუფური საკომუნიკაციო ქსელის განვითარება. სწორედ ამ ქსელის მეშვეობით, ისინი კრიტიკულ მომენტებში წარმოჩნდებიან როგორც ჰომოგენური ჯგუფი, რადგან ერთიანდებიან საერთო მტრის წინააღმდეგ. კრიტიკულ განსხვავებებში იგულისხმება ჯგუფებს შორის არსებული დემოგრაფიული, ღირებულებითი და მიზნობრივი სხვაობები: საგარეო პოლიტიკის, რელიგიისა და საიმიგრაციო პოლიტიკის საკითხები. შესაბამისად, 2013-2015 წლებიდან საჯარო სივრცეში გამოვლენილი ულტრანაციონალისტებად თუ ულტრამემარჯვენეებად თვითიდენტიფიცირებული ჯგუფების ფართო დიაპაზონი არსებობს.

ბერგმანი

2014-2015 წლებში, მიწისქვეშა გადასასვლელებში თუ ქუჩებში, კედლებზე პულივიზატორით დაწერილი BERGMAN რამდენიმე ადგილას გაჩნდა. ასევე, ინტერნეტში ამავე სახელწოდების ფეისბუკ გვერდი და იუთუბ არხი შეიქმნა. ფეისბუკ გვერდზე ძირითადად ჯგუფის წევრების შეკრებების, გასვლებისა და აქტივიზმის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია. 2015 წლის 21 სექტემბერს ფეისბუკ გვერდზე, სახელწოდებით Georgian Ultras, გამოქვეყნდა ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც ასახული იყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ თბილისის ქუჩებში მშვიდობიან ადამიანებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ორი ეპიზოდი. ვიდეოს ახლდა აღწერა: „ბერგმანი ზანგების წინააღმდეგ[30]“.

30 Reg TV, „ბერგმანი“ ზანგების წინააღმდეგ – რასობრივი დისკრიმინაცია თბილისში“ , Posted [September 2015] https://bit.ly/2YR550v [Reg TV – ბოლო ნახვა 4/10/2019]

ჯგუფის ორმა წევრმა ნიგერიის მოქალაქეს და მის თანმხლებ პირს მიაყენა ფიზიკური და სიტ-ყვიერი შეურაცხყოფა და ადგილიდან მიიმალა[31]. ამ შემთხვევამ დისკუსია გამოიწვია საზოგა-დოებაში, თუმცა ჯგუფმა სათანადო ყურადღება ვერ მიიქცია. „ბერგმანი“ ასეთი ვიდეოებისა და ფოტოების დოკუმენტირებით ერთგვარი ისტორიის შექმნას და მხარდამჭერების მობილიზებას ცდილობდა. მომხდარის შემდეგ „ბერგმანის“ ფეისბუკ გვერდი რამდენჯერმე დარეპორტდა ორ-განიზებული ჯგუფებისა თუ ცალკეული ინდივიდების მიერ, შესაბამისად, გვერდი პერიოდულად, დროებით ქრებოდა ფეისბუკიდან. სავარაუდოდ, სწორედ ამ გამოცდილებას ეფუძნება ბევრი ან-გარიშის შექმნის სტრატეგია. „ბერგმანის“ სახელწოდების ჯგუფი ფეისბუკ გვერდებითა თუ იუთუ-ბის არხებით ავრცელებდა ვარჯიშის, ფიზიკური მომზადების, ძალოსნობის, კრივის ვიდეოებსაც. ეს ვიდეო თუ ფოტომასალა ასევე შეიცავს ძალადობის ეპიზოდებს. ამგვარად, იუთუბის მცირე არხებზე ჯგუფის წევრები ქმნიდნენ საკუთარ იდენტობას და მოიპოვებდნენ მხარდამჭერებს.

როცა ჯგუფი საჯარო სივრცეში გამოჩნდა, საზოგადოებამ მიიჩნია, რომ შავკანიანების მიმართ ნეგატიურად განწყობილ რამდენიმე ახლაგაზრდას გაუგებრობის გამო მოუვიდა შელაპარაკება. თუმცა ჯგუფის სახელისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ჯგუფ „ბერგმანის“ სახელი მე-20 სა-უკუნეში არსებული სპეციალური დანიშნულების ბატალიონის სახელს უკავშირდება. „ბერგმანი“ გერმანული სიტყვაა და ქართულად „მთის კაცს“ ნიშნავს. არსებული ინფორმაციის მიხედვით[32], ისტორიული ბატალიონი „ბერგმანი“, იგივე „მთიელი“, 1942 წელს ქალაქ ნოიჰამერში, კენიგს-ბერგის პროფესორის, აბვერის პოლკოვნიკ ტეოდორ ობერლენდერის ინიციატივითა და თაოსნო-ბით 130-მა ქართველმა მიგრანტმა დააფუძნა. ობერლენდერი კავკასილოგი იყო (თავისუფლად საუბრობდა ქართულად, ჩეჩნურად, აზერბაიჯანულად) და კარგად იცნობდა რეგიონს. ისტორი-ული კონტექსტის გამო, დღევანდელი „ბერგმანი“ ფაშისტური იდეოლოგიის სამხედრო ბატა-ლიონ „ბერგმანთან“ პოულობს კავშირს. ჯგუფი ეხმიანება მეორე მსოფლიო ომის, კავკასიისა და თანამედროვე საქართველოს გამოწვევებს. 2019 წლის სექტემბერში, „ბერგმანის“ ფეისბუკ გვერდი გამქრალია ან დროებით არ იძებნება.

ეროვნული ფრონტი

„ეროვნული ფრონტის“ ინტერნეტ არხი და ვიდეოები 2013 წლით, ერთ-ერთი ყველაზე ძველი თარი-ღით იძებნება. პირველი ვიდეო 21-ე საუკუნეში საქართველოს რუკასა და მის ტერიტორიულ ცვლი-ლებებს ასახავს. ამის საპირისპიროდ, ნაჩვენებია საქართველოში ადამიანის უფლებათა დამცველე-ბის, ლგბტ ჯგუფისა და მათი მხარდამჭერების აქციები პარლამენტის შენობის წინ. საზოგადოებრივ პრობლემებთან (ნარკომანია, ეკოლოგიური პრობლემები, სიღატაკე, ალკოჰოლიზმი, მატყუარა პო-ლიტიკოსები და „ეროვნულ უმცირესობად ქცევის საფრთხე საკუთარ ქვეყანაში“) კონტრასტულად წარმოჩნდება ლგბტ თემის გამოსვლები. ვიდეოს მეორე ნაწილში ისახება ალტერნატივა „ეროვნუ-ლი ფრონტის“ სახით და ჩანს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ფოტო. „ეროვნული ფრონტის“ ვიდეოებში ასევე ჩანს ამჟამად მონარქიული მისწრაფებების მქონე პოლიტი-კური პარტია „ქართული იდეის“ წევრი გეგა ხვედელიძე. 2013 წლის ვიდეო ეძღვნება 27 იანვარს ვაკის პარკში გამართულ აქციას „ქართული მიწის“ უცხოელებზე გაყიდვის შეწყვეტის შესახებ, ლო-ზუნგით, „ქართული მიწა ქართულ სოფელს! შეწყდეს ქართული მიწა-წყლის გასხვისება“. კადრებში

31 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, განცხადება რასისტული დაჯგუფების მიერ გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით, 22 სექტემბერი, 2015 https://bit.ly/2HIuHqI

32 Georgische Legion (1941–45); https://bit.ly/2Y1HVHT

გვხვდება საქართველოს სამფეროვანი დროშა, ახალი სახელმწიფო დროშა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს წამებით მოკლული გიორგი ანწუხელიძის, მეფე დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მერაბ კოსტავას, წმინდა გიორგის ფოტოები. ვიდეო სრულდება მოწოდებით, „გადავარჩინოთ საქართველო, სისხლი და ღირსება“.

ქართული იდეა

„ქართული იდეა“ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2014 წლის 6 ნოემბერს იურიდიულად დარეგისტრირდა[33]. გაერთიანების ლიდერი, ლევან ჩაჩუა, 2013 წელს პოლიტ-პატიმრის სტატუსით გათავისუფლდა.[34] ლევან ჩაჩუა პატიმრობაში იმყოფებოდა 2010 წლიდან, როდესაც ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ჩხუბის მონაწილე შვიდი პირი დააკავეს. ტელევიზიაში ჩაჩუა ექსტრემისტული ორგანიზაციის, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრის სტატუსით იყო მიწვეული[35]. დაკავებულთა შორის იყო ამავე ინციდენტში მონაწილე ზვიად ბლიაძე. იგი, საჯარო რეესტრის მონაცემებით, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეის“ თანადამფუძნებელია. „ქართული იდეის“ ფეისბუკ გვერდზე პირველი აქტივობა ჩანს 2013 წლის 25 დეკემბერს. ამ დროს გამოქვეყნდა პირველი პოსტი, გაბრიელ ბერის ციტატა, რომელიც საქართველოში მონარქიის აღდგენას ეხმიანება. ჯგუფი ფეისბუკ გვერდზე, საშუალოდ, ყოველდღიურად ექვს პოსტს აქვეყნებს. კვლევაში შესწავლილი სხვა გვერდებისგან განსხვავებით, შინაარსი მოცულობითია, თითოეული პოსტი, საშუალოდ, 137 სიტყვას შეიცავს.

„ახლა პატრიარქის ჯვარი დამძიმდა. თავისი და მეფის ჯვარიც მაგას მიაქვსო. სანამ მეფე არ იქნება, საქართველოს არაფერი ეშველება. როგორ? სკიპტრა არ უნდა ჰქონდეს ერს? ამოვთხაროთ საფლავიდან თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი – მაშინ არ ყოფილან ისინი საჭირო!“ ღირსი მამა გაბრიელი (ურგებაძე) [2013-12-25 10:44:45]

შესწავლილი ტექსტის მიხედვით, „ქართული იდეა“ გვევლინება, როგორც ონლაინ სივრცეში მოქმედი ჯგუფი და პოლიტიკური ორგანიზაცია. „ქართული იდეა“ ფეისბუკ გვერდს იყენებს ორგანიზაციის პოლიტიკური იდეოლოგიისა და შეხედულებების გასავრცელებლად. ტექსტობრივი (პოსტები) თუ ვიზუალური მონაცემები (ფოტოები) თემატურად დაჯგუფდა და გამოიყო რამდენიმე დომინანტი კატეგორია: მოწოდება, რელიგია, გენდერული კატეგორიები (ფემინიზმი; ლგბტ), მიგრაცია, საგარეო პოლიტიკა და მონარქია.

რელიგია და სახელმწიფო

„ქართული იდეა“ რელიგიური ტექსტების სიუხვით გამოირჩევა. ხშირად ვხვდებით არქაულ ენას, ნაწყვეტებს საეკლესიო (ძირითადად რუსული) ლიტერატურიდან ან არაიდენტიფიცირებული წყაროებიდან და სასულიერო პირების გამონათქვამებს, რომელთაც ახლავს მოწოდების ან ლოზუნგის შემცველი კომენტარები.

33 საიდენტიფიკაციო ნომერი: 205315844

34 მითების დეტექტორი, ქართული იდეა https://bit.ly/2wqr6qD

35 „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებულ შვიდ პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. civil.ge, 10 მაისი, 2010https://bit.ly/30Pspxo

„რუს წმინდანთაგან, ალბათ, ისე არავინ უყვარს საქართველოს, როგორც – სერაფიმე საროველი... შესაძლოა, იმიტომ, რომ ისიც იმ იდუმალი მიწის მუშაკია, ღვთისმშობელმა თავის მეოთხე წილხვედრად, მეოთხე ბაღად რომ გამოირჩია, ან იმ სიტყვისთვის, საკუთარ სამშობლოს რომ დაუბარა: – «არასოდეს ეომოთ ივერიას, რადგან ამით ღვთისმშობელს შეებრძოლებით... ამ მიწაზე მზაკვარი ანტიქრისტე ვერ გამეფდება და უკანსაკნელ ჟამს საუფლო ტრაპეზზე ღვინო ივერიიდან მოვაო..“. [2017-01-14 15:37:44]

ანტილიბერალური განწყობები, მოწოდება, მობილიზაცია

ჯგუფისთვის მიუღებელია ლიბერალური ღირებულებები და რელიგიისგან გამიჯნული, კონსტიტუციური სეკულარობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფოს იდეა. ლიბერალური პოლიტიკა „ნეო-ლიბერალურ დიქტატურად“ მოიხსენება, მასში მონაწილე სუბიექტები კი „ნეო-ბოლშევიკი ლიბერალები“ არიან. ვხვდებით ნარატივს ქართული ღირებულებების, ეროვნული კულტურის გაუფასურების საშიშროებასა და ამ კუთხით საქართველოში არსებული საგანგაშო ვითარების შესახებ, რომელიც მკითხველს ამცნობს მისი სამოქალაქო ჩართულობის აუცილებლობას. ხშირია მოწოდება გამოფხიზლების, მოქმედების, პროაქტიურობისა და ვირტუალური სივრციდან გამოსვლისკენ. იკვეთება პარტნიორი ჯგუფების მოძიებისა და მობილიზების მცდელობა.

„მძიმე ჟამი უდგას საქართველოს. ახალი დროის ბოლშევიკი ათეისტები უზნეოთა რევოლიციას ამზადებენ საქართველოში. მათი მიზანია, რომ ქართველმა დაკარგოს ეროვნული სიამაყე, ზნეობა და უფლის რწმენა. მათ უნდათ, რომ წახდეს და წაიქცეს ის ყველაფერი რაზეც იდგა და დგას ქართული სახელმწიფო“. [2018-05-13 14:35:38]

„თქვენ გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს! დაიცავით საკუთარი შვილების მომავალი და პედოფილების გარემოს ნუ შეუქმნით მათ!.. დროა ვირტუალურ საზღვრებს გასცდეს ქართველი „პატრიოტების პათეტიკა“ და რეალური ქმედებებით წერტილი დავუსვათ სოდომისტების ლიბერალურ ტირანიას საქართველოში!“ [2018-05-07 4:21:36]

„ჩვენ ეს შევძელით, მტკივნულად, მაგრამ დავაკანონეთ (ანტიდისკრიმინაციული კანონი)... მისტიური შინაარსით ეს სულის გაყიდვაა, ამქვეყნიური კომფორტის მისაღებად! (თუ საერთოდ არის ეს კომფორტი...)“. [2017-02-04 8:51:24]

მიგრაცია/უცხოელები

ტექსტების შინაარსი ეწინააღმდეგება უცხოელებზე მიწის გასხვისებას, ID ბარათებსა და კანაფის ლეგალიზებას. როგორც წესი, მოწოდებათა ადრესატი არ არის ერთი გამოკვეთილი აქტორი, გვხვდება ყოფილი მმართველი პოლიტიკური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკაც, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებით გამოწვეული იმედგაცრუებაცა და „ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ დაარსების სურვილიც. პარტია მიიჩნევს, რომ უმთავრესი ღირებულება არის არა ადამიანის უფლებები, არამედ „ღმერთი, სამშობლო, ოჯახი, ზნეობა“; რომ საქართველოს სჭირდება ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნება, „ტრადიციების, სულიერების და ცნობიერების“ გაძლიერება, „ეროვნული ეკონომიკის“ განვითარება, რათა ქვეყანაში ქართველები არ ჩაანაცვლონ უცხოელებმა.

საგარეო პოლიტიკა, რუსული ნარატივი

პარტიის საგარეო პოლიტიკური ხედვა ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციის პროცესს და ენდობა რუსული დღის წესრიგს. რუსეთთან კავშირი გამართლებულია მესიანისტური ნარატივით, ერთ-მორწმუნეობის, კულტურული სიახლოვის მითებითა და ანტიდასავლური განწყობებით.

„...აუცილებელია რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი პოლიტიკური დიალოგის გააქტიურება იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს აღელვებს. მით უმეტეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ და პირადად პრეზიდენტმა პუტინმა ქართულ მხარეს ამისკენ რამდენჯერმე მოუწოდეს. ამ დიალოგისკენ ჩვენ მოგვიწოდებდნენ და მოგვიწოდებენ ასევე ჩვენი დასავლელი პარტნიორები. რუსეთის ფედერაცია ჩვენი დიდი მეზობელია, რუსებს და ქართველებს ერთმორწმუნეობა (რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია), კეთილმეზობლობა და საბ-ჭოთა კავშირის არსებობის წლებში განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება გვაკავშირებდა. ჩვე-ნი წინაპრები ერთად იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში და მსოფლიოს ფაშიზმისგან ათავისუფლებ-დნენ. საუკუნეების განმავლობაში ქართველები და რუსები ასევე გვერდი–გვერდ ომობდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ და არაერთხელ გაუთავისუფლებიათ ქართული მიწები დამყრობლებისგან. სამ-წუხაროდ, ჩვენს ურთიერთობებში იყო და არის სირთულეებიც, რაც არ შეესაბამებოდა და არც დღეს შეესაბამება ქართულ–რუსული ურთიერთობების ჭეშმარიტ სულისკვეთებას...“

„ჩვენ რუსეთთან მომავალში სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების მიმართულებით ვიმოძ-რავებთ. მით უმეტეს, რომ რუსეთი დიადი სახელმწიფოა და ჩვენ კი, ერთმორწმუნე – მართლ-მადიდებელ, მრავალკონფესიურ და მრავალეროვნულ ქვეყნებს წარმოვადგენთ. [...]

ჩვენ ძლიერ ვაფასებთ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია. ღმერთმა ქნას, რომ თქვენი უშუალო ძალისხმევის შედეგად ამე-რიკამ და რუსეთმა მიაღწიონ შემდგომ პროგრესს, მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის ჩვენ ქვეყანასთან მშვიდობისა და თანხმობის პირობებში“.

„ქართული იდეის“ მიმართვა ორი პრეზიდენტისადმი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზი-დენტს დონალდ ტრამპს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს“.

„ლევან ჩაჩუა – საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე, ყოფილი პოლიტპატიმარი; დავით კარტოზია – საერთაშორისო საკითხებში „ქართული იდეის“ პოლიტ-საბჭოს მრჩეველი» [2017-02-14 0:37:59]

„ცოდვა შევიწყნარეთ და დავაკანონეთ, რადგან გზა გაგვხსნოდა ევროპისკენ ანუ ჩვენ წარმო-სახვაში: „მატერიალური კეთილდღეობისა“ და „თავისუფლებისკენ“... სწორედ ესაა ე.წ. ანტიქ-რისტეს ბეჭდის სულიერი მნიშვნელობა – უარყო უფალი, შეიწყნარო ბოროტება და მიიღო ამქ-ვეყნიური კეთილდღეობა“.[2017-02-04 8:51:24]

ქართული მარში

ორგანიზაცია „ქართული მარში“ 2017 წელს დაარსდა. ინტერნეტ-გვერდზე ის დახასიათებულია, როგორც „რადიკალური, მემარჯვენე სახალხო ორგანიზაცია“. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა

ქუჩის აქციებს[36] უკავშირდება. თუმცა მისი ერთ-ერთი ლიდერის, სანდრო ბრეგაძის მიერ, პერიოდულად, არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გაკეთებული განცხადებები აჩვენებს ჯგუფის მისწრაფებას, საპარლამენტო თუ ინსტიტუციურ საქმიანობაშიც ჩაერთონ. ორგანიზაციის წარმოშობასა და მისწრაფებებზე საუბრისას იკვეთება რუსეთთან იდეოლოგიური კავშირები[37]. „ქართული მარში“ ფართო საზოგადოებისთვის 2017 წლის 14 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე გამართული მსვლელობით გახდა ცნობილი. აქციას წინ უძღოდა ირანის მოქალაქის მიერ ქართველი ბიჭის გაუპატიურების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. დემონსტრაციის მთავარი მოწოდება არალეგალურად მყოფი მიგრანტების ქვეყნიდან გაძევება და საიმიგრაციო პოლიტიის გამკაცრება იყო[38]. ჯგუფის მთავარ მოწოდებებად რჩება ანტიიმიგრაციული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კონკრეტული რეგიონის ქვეყნებისკენ და არ ვრცელდება

---

36 „ქართველთა მარშის“ შესახებ“; https://bit.ly/2YXePGj [ბოლო ნახვა: 5/25/2019]; „„ქართული მარშის“ წევრებმა „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისთან აქცია გამართეს“; https://bit.ly/2VXE0GT[ბოლო ნახვა: 25/05/2019]; „ქართული მარშის“ აქცია ფეხბურთის ფედერაციასთან დაკავებებით დასრულდა“; https://bit.ly/2VTBQIs [ბოლო ნახვა: 25/05?2019]

37 რუსეთთან ორგანიზაციულ კავშირებზე იხ. „ქართული ნეონაციზმის ანატომია“, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2018. https://bit.ly/2I3Z8qe [ბოლო ნახვა: 29.05.2019].
ევროპაში ულტრამემარჯვენე მოძრაოებების კრემლთან სიახლოვეზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სტრუქტურულ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ (ანტილიბერალური პოლიტიკა) კავშირებზე.
მაგალითად, მკვლევარი ანტონ შეხოვცოვი თავის წიგნში, „შავი ტანგო: რუსეთი და დასავლეთის ულტრამემარჯვენე ძალები“ (https://www.tango-noir.com/, 2017), აღწერს, რომ დასავლეთში საბჭოთა სენტიმენტები ნაციონალური ბოლშევიზმის, ოტო და გრეგორ შტრასერების მემარცხენე ნაციზმისა და პანევროპული ფაშიზმის მემკვიდრეობაზე აღმოცენდა. რუსეთსა და ევროპელ ულტრამემარჯვენე მოძრაობებს შორის იდეოლოგიური კავშირები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩნდება. ნაციონალისტური ბოლშევიზმი გერმანიაში იყო პირველი მნიშვნელოვანი მოძრაობა, რომელიც კაპიტალიზმისა და დასავლური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს ბუნებრივ მოკავშირეებად მიიჩნევდა. ნაციონალ-ბოლშევიკები უარყოფდნენ ვერსალის ზავს, რადგან მას გერმანიაზე დასავლეთის დომინაციად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობითა და კაპიტალიზმის დამხობით, გერმანიას შესაძლებლობა ექნებოდა გაეძლიერებინა Volk და საფრანგეთისა და ბრიტანეთის წნეხისგან თავი დაეღწია. მოგვიანებით, 1950-ინ წლებში, საბჭოთა რუსეთი აქტიურ სამხედრო ნეიტრალიტეტის, ანტი-NATO კამპანიას აწარმოებდა დასავლეთ გერმანიასა და ავსტრიაში.
ანტილიბერალური განწყობების გავრცელებასა და რუსეთ-დასავლეთის ულტრამემარჯვენე ალიანსის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვით პანევროპული ფაშიზმის ორ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, ამერიკელ ფილოსოფოსს ფრანსის პარკერ იოკისა და ბელგიელ რევოლუციონერ ჟან-ფრანსუა თირიარს. იოკი ერთმანეთისგან ასხვავებდა ორ რუსეთს: „ნამდვილ რუსეთსა“ და „ბოლშევიკურ სახელმწიფოს“. პირველი სპირიტუალური, პრიმიტიული და რელიგიურია. მას სძულს დასავლური კულტურა, ერები, ხელოვნება, იდეები, რელიგიები, ქალაქები და ტექნოლოგიები. ყველაფერი დასავლური მისთვის უცხო და მიუღებელია. მეორე, ბოლშევიკური რუსეთი კი გახსნილია დასავლური ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური მოდელებისადმი. იოკის აზრით, ევროპას უნდა მოეხდინა რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკუთარი იდეებით ინფილტრაცია, რასაც მოყვებოდა რუსეთის ევროპეიზაცია და გაჩნდებოდა ახალი სიმბიოზი: ევროპული იმპერიუმი. ჟან თირიარიც ევრო-საბჭოთა იმპერიის იდეას ავითარებდა, სწორედ ამ იმპერიას უნდა დაემარცხებინა ამერიკის ლიბერალიზმი.
შეხოვცოვის აზრით, 1920-1980 წლებში ნაწარმოები ეს კონცეფციები, არგუმენტები და ნარატივები დასავლეთის თანამედროვე ულტრამემარჯვენე აქტივისტებისთვის დღესაც მნიშვნელოვანი დასაყრდენია, გაამართლონ კავშირები და პარტნიორობა პუტინის რეჟიმთან.
საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველი მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარება რუსეთსა და ევროპის რადიკალურ მემარჯვენე თუ ნეო-ფაშისტურ მოძრაობებთან დაკავშირებულია კრემლის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგ, ალექსანდრე დუგინის სახელთან. 1990-იან წლებში დუგინის მიერ ჩამოყალიბებული ევრაზიული დოქტრინა მოიაზრებს პოსტაბჭოთა სივრცეს, მათ შორის, საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის კულტურებზე დამყარებულ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ბლოკს, რომელიც ევროატლანტიკური ალიანსის საპირწონე იქნება. ამ ბრძოლაში რუსეთის მოკავშირეები შეიძლება იყვნენ: მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ქვეყნები, გერმანია და იაპონია და აშშ-ის პოლიტიკური მტერი, ირანი. დუგინისთვის ევრაზია ასოცირდება ღირებულებითი სისტემების პლურალიზმთან, ტრადიციებთან, ეთნონაციონალიზმსა და ადამიანებს შორის სოლიდარობასთან, მაშინ როდესაც ევროატლანტიკურ სივრცეში დომინირებს ამერიკული ტიპის ლიბერალური ნაციონალიზმი, ხდება ტრადიციული საზოგადოებისა და კულტურების ჩაგვრა, ადამიანების ექსპლუატაცია და ხელოვნურ სოციალურ კონსტრუქტებში მათზე ჰეგემონიის დამყარება. ნეოევრაზიანიზმი საბოლოოდ დაამარცხებს მუდმივ მეტოქეებს, აშშ-სა და მის მოკავშირეებს და ლიბერალურ დემოკრატიაზე გამარჯვებას მოიპოვებს.
დუგინმა აიტაცა იულიუს ევოლას „იმპერიუმის“ იდეა და ის გარდაქმნა „ევრაზიულ იმპერიუმად“. 1990-იან წლებში დუგინი ნაციონალისტური ბოლშევიზმისა და პანევროპელი რევოლუციონერის, ჟან თირიარის იდეებით იყო შთაგონებული. 1995 წელს დუგინმა განაცხადა, რომ გერმანია და რუსეთი იქნებიან დუბლინიდან ვლადივოსტოკამდე გადაშლილი ევროპის უძლიერესი სახელმწიფოები და ამით გაიმეორა და განავითარა ჟან თირიარის აზრი.
ანტონ შეხოვცოვი დუგინის ნეოევრაზიანიზმს უწოდებს ფაშისტურ იდეოლოგიას, რომელიც თავისი არსით რევოლუციურია და მიზნად ისახავს რუსეთის მიერ ტოტალიტარული, ევრაზიული იმპერიის შექმნას.
შეხოვცოვის თქმით, საქართველოსთან აგვისტოს ომის შემდეგ, კრემლი დარწმუნდა, რომ დასავლეთის ულტრამემარჯვენე ძალებთან კავშირები გასაღრმავებელი იყო, რადგან რუსეთის მცდელობა, დასავლეთი დაერწმუნებინა სამხედრო აგრესიის საჭიროებაში, წარუმატებელი აღმოჩნდა (შენიშვნა: ეკატერინე ჭითანავა).

38 „გადაწყდა!!! ყველას!!! ყველას!!! ყველას!!! ვისაც სამშობლოსთვის გული გიძგერთ!!! ან ჩვენ ან ისინი!!! 14 ივლისს 20 საათზე აღმაშენებლის გამზირზე 24 სკოლიდან იწყება ქართველთა მარში!!! 14 ივლისამდე ულტიმატუმი რომ ყველა არალეგალმა უცხოელმა(ირანელები,არაბები,აფრიკელები და ა.შ.) დატოვოს საქართველოს ტერიტორია!!! ეს არის ჩვენი პასუხი იმაზე,რომ 51 წლის ირანელმა ქართველი ბავშვები (ბიჭები)გააუპატიურა!!! ჩვენ გავწმინდავთ ჩვენს ქუჩებს უცხოელი კრიმინალებისგან!!! ქართული საქართველოსთვის!!“ – „ქართული მარშის“ განცხადება, 2017 წელი.

ყველა მიგრანტზე[39]. ამ თვალსაზრისით, „მარშის“ რიტორიკაში ჭარბობს ქსენოფობიური და რასისტული ხასიათის განცხადებები, დიდი ნაწილი ეთმობა ლგბტ თემს, როგორც მტრის ხატის შესაქმნელად მნიშვნელოვან ჯგუფს. ჰომოგენური ერთობისკენ მოწოდება და იდეალიზებული წარსული კი წარმოადგენს იმ გამაერთიანებელ, პოზიტიურ ნარატივს, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს.

„ქართული მარშის“ ავანგარდს ყოფილი პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები წარმოადგენენ. ერთ-ერთი ლიდერი, სანდრო ბრეგაძე საზოგადოებრივი მოძრაობა „ეროვნულების“ დამფუძნებელი და პარტია „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილეა. მას ასევე ეკავა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის პოზიცია. ბრეგაძე იყო 1992-2004 წლებში მოქმედი „დემოკრატიული აღორძინების კავშირის[40]“ ერთ-ერთი ლიდერი. „ქართული მარშის“ აქტიური წევრები იყვნენ საზოგადოებრივი მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობის[41]“ დამფუძნებელი გია კორკოტაშვილი და საზოგადოებრივი მოძრაობა „მამული, ენა, სარწმუნოების“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი.

ორგანიზაციის პოლიტიკური პრეფერენციები არამყარია – ისინი ღიად უპირისპირდებიან პარტია „ერთიან ნაციონალური მოძრაობას“ და პერიოდულად გამოხატავენ უკმაყოფილებას მმართველი პარტია „ქართული ოცნებისადმი“. ორგანიზაციის ფეისბუკ გვერდის ტექსტი პოზიტიურ და ნეგატიურ ნარატივად იყოფა: მიგრაცია და უცხოელები, ლგბტ საკითხები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები ნეგატიური ნარატივის ნაწილია, ხოლო პოზიტიურ ნაწილს შეადგენს რელიგიური საკითხები, წარსულის მითოლოგიზება, ჰომოგენური ერთობისკენ სწრაფვა ერის დაცვის მოტივით და ისტორიული გმირების სახელის გამოყენება პოლიტიკური განცხადებებში.

„ქართული მარში“ საკუთარი პოზიციების ლეგიტიმაციისთვის ხშირად იყენებს მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და ისტორიულ მოვლენებს. სანდრო ბრეგაძემ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას. 2018 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის უნდა ყოფილიყო საპრეზიდენტო კანდიდატი[42], 2019 წელს კი „ქართულმა მარშმა“ და რამდენიმე სხვა ჯგუფმა 2020 წლის არჩევნებისთვის ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შექმნის შესახებ განაცხადა[43]. საარჩევნო კანდიდატის წარდგენის გარდა, ორგანიზაცია ცნობილია „სასიკვდილო შიმშილობების“ განცხადებებით[44]. თუმცა „ქართული მარშის“ ლიდერს არჩევნებში მონა-

39 „საპრეზიდენტო პროგრამის პრიორიტეტული საკითხები იქნება: „სამხედრო პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და ამ ნეიტრალიტეტზე დამყარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; აგრეთვე, იქნება მიგრაციის ტალღის შეჩერება; საემიგრაციო კანონის უკიდურესად გამწვავება და აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან მიგრანტების მიღების აკრძალვა; აგრეთვე, იქნება გარყვნილებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავი კანონების მიღება; აგრეთვე, საბანკო ტერორის შეჩერება ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე; ქართული მიწის გაყიდვის შეჩერება, ესეც საკანონმდებლო დონეზე და კიდევ საკმაოდ ვრცელი პროგრამა იქნება, რომელზე მუშაობასაც ჩვენი სპეციალისტები მალე დაიწყებენ“, – განუცხადა ბრეგაძემ „ლიბერალს“; http://liberali.ge/news/view/35831/bregadze-saprezidento-archevnebshi-iyris-kenchs-avkdzalav-afrikaaziidan-migrantebis-mighebas [ბოლო ნახვა 10/06/2019]

40 დემოკრატიული აღორძინების კავშირი — რეგიონალური პარტია საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი პარტია 1992-2004 წლებში.

41 მოქალაქეთა ღირსებისა და უფლებათათვის მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობა“ 2013 დაფუძნდა; https://bit.ly/2I3wW6M [ბოლო ნახვა 11/05/2019]

42 „ქართული მარში“ საპრეზიდენტო კანდიდატად სანდრო ბრეგაძეს წარადგენს“, https://bit.ly/2Qw44be;

43 fortuna.ge „სანდრო ბრეგაძე და მისი გუნდი პოლიტიკაში მოდის“, 5 აპრილი, 2019 https://bit.ly/30RoYWS

44 „„ეს არ იქნება წინა აქციებივით, რომლებიც უფრო დიეტას ჰგავდნენ. ეს იქნება 1981 წლის ირლანდიელი პატრიოტების მიერ დაწყებული აქციის მსგავსი – „სასიკვდილო შიმშილობა“, რომელსაც მაშინ სამწუხაროდ 10 ირლანდიელი პატრიოტი შეეწირა“ – თქვა სანდრო ბრეგაძემ“; https://bit.ly/2HmhaWc; [ბოლო ნახვა 13/05/2019]

წილეობა არ მიუღია და არც შიმშილობის აქცია მოუწყვია. შესაბამისად, ჯგუფი, ყალბი (fake), პოპულისტი, კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისა თუ ფინანსური ინტერესებისთის გაერთიანებული აქტორების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფეისბუკ გვერდზე გამოქვეყნებულია ლიდერების ფოტოები, მათ შესახებ განცხადებები[45] ან „მარშის“ მიერ ჩატარებულ აქციებზე დაკავებული მომხრეების შესახებ ინფორმაცია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „მარშის“ წევრები მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადობრივ პროცესებში აქტიურად მონაწილეობენ, ჰყავთ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები პარტიებისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების სახით. ამგვარად, „ქართული მარში“ ულტრანაციონალისტური, პოპულისტური ნარატივის გამოყენებით, საკუთარ თავს წარმოადგენს ისტორიის[46], სამშობლოს და მათ მიერ ინტერპრეტირებული ეროვნული ღირებულებების დამცველ ჯგუფად. თუმცა განცხადებების შინაარსი უმეტესად ჯგუფის წევრების აქტივობებს – აქციებზე მათ დაკავებას, ანტი-ლგბტ გამოსვლებს და სხვადასხვა ანონსს, მათ შორის, შიმშილობის დაწყებას ან არჩევნებში მონაწილეობას ეხება.

მიგრაცია/უცხოელები

2018 წლის 2 თებერვალს „ქართული მარშმა“ გაავრცელა განცხადებები „სახალხო პატრულის“ შექმნასთან დაკავშირებით, „პატრულის“ მთავარი მიზანი „საემიგრაციო პოლიციის დახმარება“ უნდა ყოფილიყო. „მარშის“ საემიგრაციო პოლიტიკა აზია-აფრიკის ქვეყნების მოქალაქეებს და მიგრანტებს ეხება. ბრეგაძე თავის განცხადებებში მათ კრიმინალურ, არალეგალურ და საფრთხის შემცველ ჯგუფად მოიხსენიებს.

„სახალხო პატრულის“ ინსტიტუტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს. მათი მთავარი საქმიანობა უკანონო მიგრაციის და კრიმინალ მიგრანტთა წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლებიც ევროპის ქუჩებში თარეშობენ. სამწუხაროდ, საქართველოშიც ანალოგიური პრობლემა გვაქვს და ჩვენ საემიგრაციო პოლიციის ნიშანთვისებებს შევითავსებთ[47]“.

„სახალხო პატრულის“ ძირითადი ფუნქცია უცხოელების მიერ კანონდარღვევის გამოვლენა და სამართალდამცველებისთვის გადაცემა იქნება. აქ ძირითადად საუბარია აფრიკელ მიგრანტებზე რომლებიც უკონტროლოდ შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე და არალეგალურად არიან საქარველოს ტერიტორიაზე“.

„ისინი კრიმინალურ საქმიანობას ეწევიან, ისეთს როგორიც არის ნარკოვაჭრობა, ტრეფიკინგი პროსტიტუცია. ჩვენს პატრულს ექნება დემონსტრაციული ფუნქცია, ეს იქნება პრევენციის ფუნქცია. ვთქვათ, აღმაშენებლის გამზირზე ივლის 30-40 ახალგაზრდა სპორტსმენი, კარგად შემოსილი, კულტურული, ზრდილობიანი ვაჟკაცი, ეს, რა თქმა უნდა, ყველა კრიმინალის მიმართ პრევენცია იქნება, რომლებიც საქართველოში არიან შემოსული და, რა თქმა უნდა, ისინი შეშინ-

45 „სანდრო ბრეგაძე: გილოცავთ!!! რუსთაველის გამზირი თავისუფალია!!!სოდომისტ-მამათმავალ-ბარიგები გაიქცნენ!!! 9 აპრილის მემორიალთან ხალხი ლოცულობს!!“; „სანდრო ბრეგაძე: გილოცავთ!!! რუსთაველის გამზირი თავისუფალია!!! სოდომისტ-მამათმავალ-ბარიგები გაიქცნენ!!! 9 აპრილის მემორიალთან ხალხი ლოცულობს!!“

46 „ისტორიიდან ყველას გვახსოვს და ეს მეხუთე კლასელმა ბავშვმაც შეიძლება იცოდეს, დამპყრობლების, ჩვენი მტერის მთავარი მიზანი იყო რომ ქართველებს აეჩეხათ ვაზი და მის ადგილას მოეყვანათა კანაფი და შემდგომში ამით გაბრუებულები, ქართველობა დაკარგული რაღაც კონგლომერატი, რაღაც მასა ყოფილიყო და ამითი აღარ არსებულიყო ქართველი ერი“; https://bit.ly/2J7nAIQ

47 https://bit.ly/326Zohh

დებიან და ან დატოვებენ ქვეყანას ან შეწყვეტენ კრიმინალურ სქმინობას“, – განაცხადა ბრეგაძემ“.

„ქართული მარშის“ ლიდერმა 2018 წლის აპრილში განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. მისი წინასაარჩევო პროგრამა უნდა დაფუძნებოდა ფრანგი ულტრამემარჯვენე პარტიის „ნაციონალური გაერთიანების“ ლიდერის მარინ ლე პენის მსგავს წინასაარჩევნო პროგრამას, თუმცა „ქართულ რეალობასთან მისადაგებული“ უნდა ყოფილიყო[48]: „პირველი და უმთავრესი იქნება ქვეყანაში არალეგალური მიგრაციის შეჩერება და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება“. თუმცა, ბრეგაძეს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

„ეს მოძრაობა იქნება მემარჯვენე ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელი და ერთგვარი გაგრძელება იმ ევროპული ნაციონალიზმისა, რომელიც არის მაგალითისთვის, იტალიაში ვიცეპრემიერის, ბატონო სოლვინის პარტია, ქალბატონი ლე პენის პარტიის მსგავსი საფრანგეთში. მონაწილეობას მივიღებთ აბსოლუტურად ყველა პოლიტიკურ პროცესში. არჩევნებშიც რა თქმა უნდა და დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ არჩევნებში მივაღწევთ წარმატებას“.[49]

ლგბტ საკითხები

„ქართული მარშის“ ფეისბუკ განცხადებები ლგბტ თემთან დაკავშირებით ეხება აქციის ორგანიზების, საჯარო სივრცის დაკავებისა და ნარკოპოლიტიკის საკითხებს. გვერდი ციტირებს ან სრულად აქვეყნებს სანდრო ბრეგაძის განცხადებებს. „ქართული მარშის“ ლგბტ თემთან დაპირისპირება საჯარო სივრცეს უკავშირდება და მნიშვნელოვან ისტორიულ კონტექსტზე მიანიშნებს.

„რუსთაველი ჩვენია, გეები აღლუმს ვერ ჩაატარებენო – მართლა ვერ ხვდებით, რა ხდება, თუ თავს ვიდებილებთ??? რა ოხრობა უნდათ რუსთაველზე???“[2018-05-16 7:11:43]

მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება 2018 წლის 16 მაისით თარიღდება,[50] მისი კონტექსტი განსაზღვრულია 1990-იანი წლების მოვლენებით და ამ დროს, რუსთაველის გამზირის, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის მიერ შეძენილი მნიშვნელობით. სწორედ ამ ადგილას მოხდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, 1991 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და უამრავი სხვა პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა ამ ადგილს უკავშირდება. ბრეგაძე პარლამენტის შენობას „მთავრობის სასახლეს“ უწოდებს. ტერმინს 1990-იანი წლებისა და რელიგიის კონტექსტი შემოაქვს:

„რუსთაველზე??? აგერ პარალერულად გიტარებენ აქციას იქვე, მთავრობის სახლთან, აქ ის კი არაა მთავარი, რუსთაველზე ვინ გაივლის, მთავარია, რომ ეკლესიის მიერ დაარსებულ ოჯახის დღეს საპირწონედ გეი-აქციას უდგამენ,ერთ სიბრტყეში აყენებენ [...]“ [2018-05-16 7:11:43]

48 www.metronome.ge “,სანდრო ბრეგაძე: „ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აიკრძალება“, 18 მარტი, 2019

49 ინტერპრესნიუსი, „სანდრო ბრეგაძე – შეიქმნება ახალი მოძრაობა, რომელიც აბსოლუტურად ყველა პოლიტიკურ პროცესში მიიღებს მონაწილეობას, 5 მარტი, 2019 https://bit.ly/2LB1xfd

50 ალია, „17 მაისს გეი-აქცია-აღლუმი ჩატარდება, ესაა მწარე რეალობა“, 16 მაისი, 2018. http://alia.ge/news/12880

2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, რუსთაველის გამზირზე, აქციის მონაწილეების ძალადობრივი დარბევიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით „ოჯახის სიწმინდის დღე“ დაარსდა. „ქართული მარშის“ მიერ 2018 წლის 16 მაისს გავრცელებული მიმართვის მთელი ტექსტი აგებულია ადგილის, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული მნიშვნელობის გახსენებით, რაც ავტორს ისტორიული მეხსირებით მანიპულაციის საშუალებას აძლევს. „მარშის“ წევრები თავს „ეროვნულ ლიდერებს“ უწოდებენ. ამგვარად, 1980-1990-იანი წლების დისიდენტურ და „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერებს მოიხსენიებენ. „ეროვნული მოძრაობა“ კი საქართველოს უახლეს ისტორიაში დამოუკიდებლობის აღდგენასა და თავისუფლებისთვის ბრძოლასთან ასოცირდება.

პოსტი სრულდება „თბილისის ცენტრის“ მნიშვნელობის ხაზგასმით:

„[…]გაივლიანჩოხოსნები,მედროშეები,ცხენოსნებიდაა.შ.რუსთაველზე,ავალთსამებაში,წავალთ სახლში,დავლევთ საქართველოს სადღეგრძელოებს და ამ დროს მამათმავლები დაიწყებენ გეი-ფართის თბილისის ცენტრში და ამითი მთელს საქართველოს სულში ჩააფურთხებენ.აი ესაა რეალობა!![…]!“

სიტყვები, „ჩოხოსნები“, „მედროშეები“, „ცხენოსნები“ გვახსენებს წარსულს და ბრძოლის, გამარჯვების, ეროვნული და ერთიანობის სიმბოლოდ გვევლინება. კოლექტიური მეხსიერების გააქტიურება, წარსულზე მინიშნება და მისი შედარება აწმყოსთან, მარტივი მანიპულაციაა, თუმცა ძლიერი გავლენის მქონე ნარატივია.

„საქართველოს ჯანსაღი ნაწილის აქცია რუსთაველზე პარლამენტის წინ …. !!! დიდება უფალს!!! ჩვენ გავიმარჯვეთ!!! ბრძოლას ყოველთვის ააქვს აზრი …. ✊✊✊❤❤❤❤❤❤ …… საქართველო არასდროს არ იქნება „ბარიგების“ და მამათმავლების ქვეყანა …!!!!“ [2018-05-14 13:26:36]

„ქვეყანაში მშვიდობიანი გარემოს მიზნით „ქართული მარში“ გააუქმებს 17 მაისს დაგეგმილ ყველა აქციას თუ მამათმავლები უარს იტყვიან გეი-აქციაზე! ჩვენ შევუერთდებით ლოცვას ტაძრებში და საპატრიარქოს ღონისძიებებს! თუ ლგბტ-ბი უარს იტყვიან ამ შეთავაზებაზე, მაშინ დადასტურდება რომ ესაა პროვოკაცია და პოლიტიკურად ანგაჟირებული აქტი! ყველა პასუხისმგებლობა დაეკისრება პროვოკაციული აქციის ორგანიზატორებს!“ [2018-05-16 20:05:36]

„პარლამენტთან ხალხი იკრიბება!!! „ქართული მარშის“ 8 ლიდერი დაპატიმრებულია,,პიდარასტების გამო დაპატიმრებულია ყველა ეროვნული ლიდერიც!!“ [2018-05-17 8:34:34]51

მეხსირების ეპიზოდზე მინიშნებით (თავისუფლებისთვის ბრძოლა ან დამოუკიდებლობის აღდგენა) ჯგუფი ნაციონალისტურ სენტიმენტებს აღძრავს. ლგბტ თემი წარმოჩენილია როგორც უცხო, მტერი და ეროვნული საფრთხე, რაც აძლიერებს მომავლის, „გადაგვარების“ შიშს.

51 მოცემული სამივე ციტატა აღებულია „ქართული მარშის“ ფეისბუკ გვერდიდან. განცხადებები ეხება 2018 წლის 12 მაისს კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“ სპეცრაზმის რეიდის შემდეგ გამართულ აქციებს. კლუბ „ბასიანთან“ პოლიციის დამატებითი დანაყოფები მოიყვანეს [LIVE]“; http://netgazeti.ge/news/275986/ [ბოლო ნახვა: 25/05/2019]

რელიგია

ორგანიზაცია საპროტესტო აქციებსა[52] და ფეისბუკ გვერდის ნარატივში რელიგიური სიმბოლოები, თარიღები, მართლმადიდებელი ეკლესია და პატრიარქი ხშირად გამოიყენება მობილიზაციისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის საშუალებად.

„ქართული მარში“ გილოცავთ კვირაცხოვლობას !!! კვირაცხოვლობა,სვეტიცხოველი. ჩვენ იმაზე ძლიერნი ვართ, ვიდრე ვიყავით!!!“ [2018-04-15 7:06:30]

სანდრო ბრეგაძე, საქართველოში ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირის, პატრიარქის სიტყვებს ციტირებს და ორგანიზაციის წევრების პატიმრობას უკავშირებს:

„მართალია ბრძანა პატრიარქმა,ასეთი მძიმე ჟამი ქართველ ერს დიდი ხანია არ დადგომია. ყველა სფერო ოკუპირებულია ქვეყნის მოღალატეების მიერ, ერთადერთი პოლიტპატიმრები არ ჰყავდა სისტემას და უკვე 7 პოლიტპატიმარი ჰყავს, პოლიტპატიმრები, რომლებიც მხოლოდ ღმერთის სიყვარულის გამო სხედან ციხეში“.53 [2018-04-24 13:54:02]

„ქართული მარში“ საკუთარ წევრებს წარმოაჩენს მსხვერპლებად, გმირებად, ღირებულებებისთვის მებრძოლ მოქალაქეებად. ბრძოლა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტია, სადაც მებრძოლი ყოველთვის გამართლებულია თავდაცვისა და გადარჩენის ბუნებრივი მოტივის გამო. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ბრეგაძე საუბრობს „ეროვნულ ნარატივთან“ დაპირისპირებულ ჯგუფებზე.

„შეხედეთ ტელევიზიებს, საბჭოთა დიქტატურა მამათმავლურ-ლიბერასტულმა დიქტატურამ შეცვალა ,ტელეწამყვანები ღიად და დაუფარავად მიუთითებენ კარისკენ არასასურველ რესპოდენტებს და მასობრივი საინფორმაციო საშუალების ყველა გზას უხშობენ. თუ არ ხარ მამათმავლობის მაქებარი, თუ არ აძაგებ ეკლესიას,თუ არ ემონები სოროსს- მაშინ შენს აზრებს ხალხთან არ მიგატანინებენ, მოსახლეობას გმირს მოღალატედ დაუსახავენ, პატიოსანს თაღლითად, კაცთმოყვარეს კაცთმოძულედ, ყველაფერს წმინდას და ჭეშმარიტს ფეხქვეშ გათელავენ და გასაოცარი უტიფრობით თეთრზე დაამტკიცებენ რომ შავია“. [2018-04-24 13:54:02]

„ქართული მარში“ ლგბტ თემის, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის[54] სახით მტრის ხატს ქმნის. მათ ნარატივში ლიბერალური ღირებულებები ეწინააღმდეგება რელიგიასა და კაცთმოყვარეობას. ბრეგაძის განცხადებები პოპულისტურია. ამ განცხადებების მიხედვით, საზოგადოებაში არსებობს მდიდარი, ელიტური ჯგუფები და ისინი „უბრალო ხალხს“ უპირისპირდებიან.

---

52 Pertaia, luka. Who was in and who was out in Tbilisi’s far-right March of Georgians [Analysis], OC-media, 17 July 2017 https://bit.ly/2HH0mIN

53 2018 წლის 19 მარტს „ქართული მარშის“ წევრებმა ტელეკომპანია „რუსთავი 2-თან“ აქცია გამართეს, მათ მიაჩნდათ, რომ ტელეწამყვანმა გიორგი გაბუნიამ, გადაცემა „P.S.-ში“ იესო ქრისტეს ჯვარცმაზე საუბრისას მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფა მიაყენა. აქციის მონაწილეებმა ავტომობილი, რომელშიც გაბუნია იმყოფებოდა, ალყაში მოაქციეს და მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ინციდენტის შედეგად, შსს-მ „ქართული მარშის“ 6 წევრი დააკავა. „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტებზე თავდასხმას „ქართული მარშის“ აქტივისტების დაკავება მოჰყვა“. [ბოლო ნახვა 20/05/2019] https://old.civil.ge/geo/article.php?id=32089

54 ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების დიდი ნაწილი „არასამთავრობ ორგანიზაციად“ არის რეგისტრირებული.

„მეორეს მხრივ გაზულუქებული კლასი-კოლექტიური საგანელიძეები-ხალხში ქმნიან ცრუ შიშს-თუ ხმას ამოიღებენ,მაშინ სტაბილურობა დაინგრევა და ქვეყანა უსასრულო ქაოსში ჩაიძირება. არადა ვის უნდა ასეთი ჭაობის სტაბილურობა???მხოლოდ კარგად გამძღარ კლასს,რომელიც ბედნიერად ცხოვრობს,რომელიც ყოველდღე სისხლს გვწოვს,რომელიც უკიდეგანოდ მდიდრდება და ჩვენთვის ლუკმა-პურის გადმოგდებაც კი ენანება. მშიერი კაცისთვის სტაბილურობა არაფრის მომტანია,ის მშიერია დღესაც და მშიერი იქნება ხვალაც, ხოლო თუ ხმა ამოიღო მის შიმშილს შესაძლოა წერტილი დაესვას,ამ დროს გამაძღარნი კვლავ ჩასჩიჩინებენ-სტაბილურობა არ დაარღვიო,ხმა არ გაიღო!!! სამწუხაროდ დაჩაგრულიც იძულებულია ჭაობში მშიერად ცხოვრებას შეეგუოს იმ იმედით, რომ კოლექტიური საგანელიძე ოდესმე კეთილი გახდება და რაღაცას ოდესღაც გადმოუგდებს“. [2018-04-24 13:54:02]

განცხადებაში, ზვიად გამსახურდიას მთავრობის გარდა, ყველა ხელისუფლება გაკრიტიკებულია ლიბერალური იდეოლოგიის გამო. ბრეგაძე მოწოდებით ასრულებს მიმართვას და იყენებს 2012 წლის „საპროტესტო აქციების“[55] მთავარ ლოზუნგს – „სისტემა უნდა დაინგრეს“.

მოწოდება

„ქართული მარშის“ ფეისბუკ გვერდზე ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სახის პოლიტიკურ და სამოქალაქო მოწოდებებს.

„[...] ვაცხადებთ რომ მამათმავლების და ნარკორეალიზატორების პარპაში აღარ იქნება თბილისის ცენტრში. ორშაბათს 18 საათზე ვიკრიბებით ფილარმონიასთან და მივდივართ პარლამენტისკენ!!! ყველა ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილს ვთხოვ შემოგვიერთდეს!!!“ [2018-05-12 16:05:06]

„ვინც მხარს უჭერთ ამ ახალგაზრდების გათავისუფლებას-გთხოვთ like-დაუწეროთ ამ ფოტოს და გააზიარეთ !!!“ [2018-04-26 10:26:03]

„ქართული მარშის“ ყველა წევრს. დღეს 18 საათზე ვიკრიბებით რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ!!! პროტესტი სიწმინდეების შეურაცხყოფას!!!“ [2018-04-19 5:05:22]

„გთხოვთ გააზიაროთ !!! ვინც მხარს უჭერთ უდანაშაულო ბიჭების გათავისუფლებას, გთხოვთ გააზიაროთ !!!“ [2018-04-18 8:12:48]

„მოვუწოდებთ ყველა პატრიოტულ ძალას, ყველა ქართველს, ვისთვისაც სამართლიანობას, ღირსებას და უფლის ერთგულებას ფასი არ დაუკარგავს და ყავლი არ გასვლია, ვისთვისაც ,,ენა, მამული, სარწმუნოება'' საფიცარი წმინდა სამებაა, შემოგვიერთდეს და ერთად დავიცვათ ჩვენი ეროვნული ღირსება და წინაპართა მიერ გენეტიკური კოდით გადმოცემული მართლმადიდებლობა! საქართველოში სოროსიზმი ვერ გაიმარჯვებს! საქართველოში მხოლოდ ქართული ეროვნული იდეა იხარებს! თავისუფლება პოლიტპატიმრებს! ქართული საქართველოსთვის! ჩვენთან არს ღმერთი!“ [2018-04-30 14:34:21]

55 ქევანიშვილი, ეკა „სისტემა უნდა დაინგრეს“ – სტუდენტების ერთიანი ლოზუნგი“, რადიო თავისუფლება, 24 სექტემბერი, 2012 https://bit.ly/2MCV0Tx

კვლევის განმავლობაში „ქართული მარშის“ ფეისბუკ გვერდი რამდენჯერმე გაუქმდა ან მიუწვდომელი იყო. გამოქვეყნებული განცხადებები რადიკალური ენითა და გაუგებარი კონტექსტით გამოირჩევა. პოსტები შეიძლება დაიყოს ორ მთავარ კატეგორიად: პირველი, რომლებშიც საუბარია მიმდინარე მოვლენებზე, და მეორე, რომლებშიც მიმდინარე მოვლენები შეპირისპირებულია წარსულთან ან რელიგიასთან, ხოლო მათ ფონზე აწმყო საგანგაშო და ტარგიკულია. მისთვის, ვინც არ ადევნებს თვალს მიმდინარე მოვლენებსა თუ ორგანიზაციის საქმიანობას, კონტექსტი რთული გასაგებია, რადგან გვერდი აქტიურად იყენებს სიტყვებს „ეროვნული“, „სამშობლო“, „რელიგია“ და ა.შ., პოსტების მორე ნაწილი ნაციონალისტურ სენტიმენტებს, ემოციას და განწყობას იწვევს მკითხველში. შესაბამისად, რჩება განცდა, რომ ჯგუფის აუდიტორიისთვის სანდო იქნება ნებისმიერი ინფორმაცია, სწორედ აღნიშნული ლექსიკონის გამოყენების გამო.

2017 წლის ნოემბერში „ქართული მარშის“ ლიდერმა გაავრცელა ინფორმაცია ორგანიზაციის დაშლის შესახებ.

„ჩემი აზრით, საზოგადოება, რომელიც იმსახურებს ბოკერიას, გვარამიას, რესპუბლიკურ პარტიას და მსგავსებს, არ იმსახურებს „ქართულ მარშს“, ამიტომაც ის უნდა დაიშალოს. აზრს ვერ ვხედავ მან გააგრძელოს ფუნქციონირება. მე ამ საკითხს დავაყენებ, თუმცა ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რას იზამს. თუ მარში მაინც დარჩება, მე დავტოვებ მას“.[56]

2019 წლის აპრილში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქართული მარშისა“ და „არმიის კონტროლის სამოქალაქო ჯგუფის“, მოძრაობა „ეროვნულებისა“ და რამდენიმე სახალხო ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნება ახალი „მემარჯვენე ნაციონალისტური იდოლოგიის მატარებელი მოძრაობა“, პირობითი სახელწოდებით „ეროვნული ფრონტი“[57].

ქართული ძალა

„ქართული ძალა“ 2015 წლის 24 ივლისს დარეგისტრირდა არასამეწარმეო იურიდიულ პირად, ხოლო 2015 წლის 8 დეკემბერს დაიწყო ორგანიზაციის გაუქმების[58] პროცესი. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია აგრძელებს საქმიანობას, როგორც ვირტუალურ, ასევე ფიზიკურ სივრცეში. ამჟამად, „ქართულ ძალას“ ფეისბუკზე აქვს სამი გვერდი.

„ქართული ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი 2015 წლამდე ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტის“ წევრი იყო პოლიტიკურ პარტია „ქართული იდეის“ წევრთან ერთად. ორგანიზაციის დამფუძნებელი წესდების მიხედვით, მათი ძირითადი პრიორიტეტებია, „ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების, თვითმყოფადობის და თავისთავადობის დაცვა-შენარჩუნებას, გააღრმაოს სამშობლოსთან მათი კავშირ-ურთიერთობები და მოამზადოს ნიადაგი მათ სამშობლოში დასაბრუნებლად“.[59]

56 ორგანიზაცია „ქართული მარში“ 2017 წელს გამოჩნდა საჯარო სივრცეში. https://bit.ly/30huot9

57 „ეროვნული ფრონტის“ სახელწოდებით, უკვე ფუნქციონირებს ორგანიზაცია 2013 წლიდან

58 ორგანიზაციის გაუქმება უკავშირდება სხვა ორგანიზაციასთან დაპირისპირებასა თუ კონფლიქტს.

59 ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განცხადება # 1007980, რეგისტრაციის ნომერი B15153547

ძირითადი ფეისბუკ გვერდის აღწერაში ვკითხულობთ, რომ „ქართული ძალა“ არის „მემარჯვენე ნაციონალისტური/კონსერვატიული იდეოლოგიის პლატფორმა“. გვერდზე ვხვდებით 500-ზე მეტ ფოტოსა და მიმს. ქართული ძალის ფეისბუკ გვერდის აღწერისას, ინფორმაცია სამ ძირითად ნაწილად იყოფა: ტექსტები, ფოტო და ვიდეო მასალა.

„ქართული ძალის“ წევრები ახალგაზრდები არიან. მათ ფეისბუკ გვერდზე ნარატივის მთავარ წყაროდ ინტერნეტ-პოპ-კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელი „მიმები“ გამოიყენება. გვერდის მეშვეობით ჯგუფი ავრცელებს საკუთარ შეხედულებებს ფემინიზმთან, ლგბტ თემთან, ისტორიულ კონტექსტებთან, სამხედრო-მილიტარისტულ ისტორიასთან და მიგრანტებთან დაკავშირებით. არანორმატიული ენა, ირონიული, ცინიკური გამომსახველობები და ვიზუალური მასალა არის მთავარი განმასხვავებელი ელემენტი, სხვა ჯგუფებისა თუ ორგანიზაციებისგან. გარდა ამისა, „ქართული ძალა“ არ გამოირჩევა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ გამოხატული პრეფერენციებით. ისინი აკრიტიკებენ მთავრობას და პოლიტიკურ პარტიებს ლიბერალური იდეოლოგიისა თუ სხვა საკითხების გამო.

„ქართული ძალის“ საჯარო სივრცეში საქმიანობა, ძირითადად, საპროტესტო აქციებით[60] შემოიფარგლება და ჯგუფის საქმიანობა არ მოიცავს ინსტიტუციურ, საპარლამენტო ან საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობას. „ქართული ძალის“ მოთხოვნებს შორის გვხვდება ისტორიული ფიგურების ძეგლების აღმართვა, მიგრაციის რეგულირება და სიმბოლური თარიღების აღნიშვნა. ჯგუფის დემონსტრაციები პერფორმანსის ელემენტებს შეიცავს, ხშირად მონაწილეები ატარებენ მილიტარისტულ სამოსს და ბალაქლავას, რომლითაც სახეს იფარავენ და აქვთ სინქრონიზირებული შეძახილები. აქციების ვიდეო და ფოტო დოკუმენტირება მნიშვნელოვანია – მათ შემდეგ ფეისბუკზე აქვეყნებენ, რითაც ისინი აგრძელებენ ციფრულ პერფორმანსს.

ქალთა საკითხები/ფემინიზმი

ორგანიზაცია „ქართული ძალა“ ფეისბუკ ნარატივში ფემინიზმსა და ქალებთან დაკავშირებით ქმნის ორ საპირისპირო კატეგორიას, დადებითსა და უარყოფითს, „ლამაზსა“ და „მახინჯს“. ფემინისტი ქალები წარმოჩენილნი არიან „უშნო“, ხოლო „არაფემინისტი“ ქალები, პირიქით, ლამაზი სხეულის მქონე, ბუნებასთან ჰარმონიაში მყოფ ადამიანებად. გვერდი ამ ნარატივის განსამტკიცებლად იყენებს „ლამაზი“ (გამხდარი, ქერათმიანი...) და „უშნო“ (ჭარბწონიანი, მოკლედ შეჭრილი თმებით) ქალების კონტრასტულ ფოტოებს.

„დაკომპლექსებული მარქსისტი ფემინისტები კერძო საკუთრების და კაცების წინააღმდეგ vs. ძლიერი, ლამაზი, განათლებული ნაციონალისტი გოგო კონსერვატიული ღირებულებებით“. [2018-05-29 10:20:13]

„ქართული ძალა“ ასევე იყენებს ჰეშთეგს (საძიებო სიტემას) #ფემინიზმიკიბოა, რომელიც, სავარაუდოდ, თარგმანია „feminism is cancer“-ისა და მესამე ტალღის ფემინიზმს ეხება. ჯგუფი აკრიტიკებს აბორტის უფლებას. ამტკიცებს, რომ ფემინისტებისთვის ცხოველთა უფლებები ადა-

60 ჯგუფმა აქციები გამართა სხვადასხვა საკითხის წინ წამოსაწევად. პირველად საჯარო სივრცეში გამოჩნდნენ ბათუმში, ასევე აქცია გამართეს თბილისში, სოხუმის დაცემის დღეს (29.09/2015), გიორგი მაზნიაშვილის ძეგლის დადგმის მოთხოვნით (29/11/2018), სირიის სამოქალაქო ომიდან მიგრანტების მიღების საწინააღმდეგო აქცია (3/04/2016), ოჯახის სიწმინდის დღეს აჭარაში, ბათუმში(17/05/2016).

მიანის უფლებებზე უფრო მნიშვნელოვანია. ჯგუფი ისე წარმოაჩენს, თითქოს ფემინისტ და „ლამაზ არაფემინისტ“ ქალებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ აბორტისადმი (ლამაზი ქალის ფოტო, წარწერით „აბორტი არ გაუკეთებია. #თოთხმეტისიტყვა“ და ფემინისტი „მკვლელობის მომხრე“ ქალების სურათები). „ქართული ძალა“ მიიჩნევს, რომ ფემინისტები სქესობრივი ნიშნით შერჩეულ აბორტებზე დუმან:

„დაუბადებელი ბავშვის მუცელშივე უმიზეზოდ მოკლვა უფლება და პროგრესია. ლაპარაკობენ ქალთა უფლებებზე და იმ 20 000 გოგოზე ხმას არ იღებენ ყოველ წელს მუცელში რომ კლავენ მხოლოდ იმიტომ რომ გოგოები იქნებიან და არა ბიჭები, მხოლოდ ამ მაგალითიდანაც შეიძლება დავინახოთ რამდენად გულახდილები არიან ისინი. პირზე მხოლოდ თავისუფლება აწერიათ სინამდვილეში კი როგორც შეედავები პასუხი მზად აქვთ! სექსისტი, ჰომოფობი, რასისტი! მაგრამ იცოდეთ რომ ნაციონალისტი (ქალიც და კაციც) ბევრად უფრო თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი მოქალაქეა!“ [2017-11-19 11:03:57]

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქალთა გარეგნობას. ქართველი ქალი ხშირად წარმოჩენილია ბუნების ფონზე – მთაში, თავშლით და გრძელი თმით ან ნაწნავით, კეთილშობილი ქალის იმიჯით. ასეთ ფოტოებს თან ერთვის ლექსები ან ამონარიდები სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებიდან. „ქართული ძალა“ ყურადღებას ასევე ამახვილებს ქართველი ქალის მებრძოლ, მეომრულ ბუნებასა და სიძლიერეზე (ვიზუალური მასალისთვის იყენებენ მოკრივე ან მებრძოლი ქალის ფოტოებს).

„მოჩხუბარი ლიანა ჯოჯუას ახალი ფორმა. ჯერ კიდევ არავინ რომ არ იცნობდა ამ გოგოს მაშინ დავდეთ ჩვენ მასზე ვიდეობი :) #ძალა“ [2018-03-05 16:04:35]

„ნუთუ სერიოზულად მეტყვი რომ კარგი ქართველი გოგო აღარ დარჩა? რომ არაფერს აზრი არ აქვს, რომ ნიგერთან და მონგროლთან გაითქვიფება ყველა? ესე გაამართლებ შენს უმექმედობას? ჰაი ჰაი რომ კიდევ ყავს იბერიას ასულები, სადღაც არსებობს გოგო რომელიც შენ გელოდება, რომელიც ჩაგთვლის ღირსად რომ შენი გენეტიკა გაამრავლოს, იყოს შენი მეგობარი და თანამებრძოლი. ამისთვის საჭიროა ბრძოლა. ამიტომ ჩაები ამ ცხოვრების ბრძოლაში, ნუ წუწუნებ რომ სამყარო ისე დაბინძურდა, რომ შენნაირ სუფთა და შემოქმედ ადამიანს ვერავინ ვერ გაუგებს“. [2018-04-08 1:00:01]

უახლესი ისტორია, გმირები და კოლექტიური მეხსიერება

წინაპრების ხატი სხვა დანარჩენ კულტებს შორის ყველაზე ძლიერია, ყველაზე ლეგიტიმური, რადგან წინაპრებმა შეგვქმნეს იმად, რაც ვართ. გმირული წარსული, დიადი პიროვნებები – ეს არის ის სოციალური კაპიტალი, რომელსაც ეროვნული იდენტობის იდეა ეფუძნება, აღნიშნავს კრიტიკული თეორიის წარმომადგენელი ჰომი ბაბა.

ამ თვალსაზრისით, ულტრანაციონალისტური ინტერნეტჯგუფები გარკვეულწილად ქმნიან მნემონიკურ ერთობას. მათ სურთ ისეთი სოციალურ-კულტურული მთლიანობის კონსტრუირება, სადაც არსებობს ურთიერთგაზიარებული და შეთანხმებული წარმოდგენები საკუთარ წარმოშობასა და წარსულზე. სწორედ ამ წარმოდგენათა საფუძველზე ხდება საკუთარი უნიკალურობის ხაზგასმა და სხვა ჯგუფებზე ისტორიული უპირატესობის მტკიცება.

„ქართული ძალის“ ფეისბუკ გვერდი ითავსებს კოლექტიური მეხსიერებისა და ბიოგრაფიის შექმნის სივრცეს, სადაც მოთხრობილია ამბები ომის მონაწილეებისა თუ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი გმირების შესახებ.

„ფოტოზე „ციტრუსა“ და ცუგა არიან აფხაზეთიის ფრონტზე, ქართულ მიწაზე. ნეტა როგორი საქართველოსთვის წავიდა, როგორი საქართველოსთვის მოკვდა ეს ქართველი ბიჭი? ან ვინც დაბრუნდა იმას უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ თუ ტრანსებს? დაფიქრდით აბა. დილამშვიდობისა!“ [2017-12-14 23:56:20]

„ზურაბ იარაჯული ბოლო გაფრენის წინ გადაღებული ფოტო. შეიწირეს აფსუა „ძმებმა“. მაგრამ კავკასიელები არიან აფსუები და უნდა გვიყვარდეს ამის მკვლელიც! ბარემ ბოლომდე ტოლერანტები ვიყოთ“. [2018-01-13 13:54:04]

ტექსტებში გვხდება აფხაზეთის შესახებ განწყობები. მაგალითად, აფხაზეთის ომის ვეტერანის ფეისბუკ სტატუსი და მას ერთვის „ქართული ძალის“ ინტერპრეტაცია:

„გამთენიისას ჩამეძინა...ახალ ათონში ვიყავი....გუგუტა შემხვდა მალანია, კი არ შემხვდა იქ იყო მოლბერტი ედგა... ჩვეულებრივი ფანქრით ხატავდა, მარა ულამაზესი ფერები იყო... არა და ჩვეულებრივი უბრალო ფანქრით... თითქოს სადღაც მეჩქარებოდა... იარაღიც არ მქონდა და ვწუხდი სად წავიღე... გამეღვიძა გულდაწყვეტილს“ – ეს სტატუსი 10 საათის წინ ვნახე აფხაზეთის ომის ვეტერანის ზაზა დავლაძის პროფილზე. ჰაი ჰაი, რომ დღეს სიზმარში კიდე გვესიზმრება ჩვენი მიწა და ერთხელაც მთიულურს ვიცეკვებთ აფსუების და ოსების გვამებზე“. [2017-12-01 13:38:27]

გვერდის მფლობელები და მომხმარებლები თბილისში აღმაშენებლის გამზირზე მსვლელობით ან რუსთაველის გამზირზე შეკრებით აღნიშნავდნენ სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს. ბოლო წლებში კი, ინტერნეტს იყენებენ ამ თარიღის სიმბოლიზებისათვის.

გვერდი იყენებს უახლესი ისტორიის, განსაკუთრებით 1990-იანი წლების მოვლენებს, პერსონაჟებსა და თარიღებს. ზვიად გამსახურდია არის ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც ჯგუფის ლეგიტიმაცია აქვს. ის მოიხსენიება „თავისუფლების მომტან პრეზიდენტად“. „ქართული ძალის“ კალენდარში აღნიშნულია მნიშვნელოვანი თარიღებიც: ეროვნული გვარდიის დაარსება, დამოუკიდებლობისა და სოხუმის დაცემის, არმიის დღეები.

„რას ვგულისხმობ როცა გეუბნებით რომ უპრინციპოები ვართ? თავისუფლების მომტანი პრეზიდენტი მოვკალით, მისი მკვლელი ავირჩიეთ, მერე მისი მკვლელის გამოზრდილი შვილები, მერე ამ შვილების და მკვლელის დამფინანსებელი, მერე ამ დამფინანსებლის ხათრით ეს პლასტენინი. სანამ ვერ ჩამოვყალიბდებით ჩვენს ღირებულებებში მანამდე ყველა ჩვენზე გაიწმინდავს ფეხებს“. [2017-12-07 12:45:49]

„1956 წელი... ზვიად გამსახურდია მეგობრებთან ერთად, საბჭოთა კავშირის მიერ უნგრეთში სისხლიანი ინტერვენციის დამგმობ პროკლამაციებს აკრავს თბილისის ქუჩებში“. [2018-05-28 9:25:48]

„გეზეიმებათ, იზეიმეთ, თუ არა მიაყენეთ. დამოუკიდებლობის დღესაც ვერ აღნიშნავენ უკვე ზედმეტი დემაგოგიისა და ფილოსოფიის გარეშე. ყველა ბრძენი გახდა ბოლო დროს. კარგად ვხედავთ ჩვენს სიტუაციას, მაგრამ დღევანდელი დღე მაინც სიხარულის და ჩვენი პოტენციალის გაანალიზების დღეა! კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ!“ [2018-05-26 12:26:30]

„1990 წლის, 20 დეკემბერს დაარსდა საქართველოს ეროვნული გვარდია. ეროვნულ გვარდიას ვუსურვებთ გახდეს ერთ ერთი უძლიერესი და ელიტური დანაყოფი“. [2017-12-20 1:49:33]

„1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც ზვიად გამსახურდიას გადაგდებით და მოკვლით დასრულდა. მას შემდეგ ქვეყანას მართავს მოქალაქეთა კავშირი“. [2017-12-22 12:30:46]

მსოფლიო ისტორია, ფაშისტურ გერმანიასთან დამოკიდებულება

ფაშისტურ გერმანიასთან კავშირების ძიება ჯგუფის მნიშვნელოვანი ნარატივია. ჰიტლერი წარმოჩენილია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის მხარდამჭერად მე-20 საუკუნის დასაწყისში მიმდინარე ომებისა და აჯანყებების დროს.

„თურმე ჰიტლერს დაუბარებია ნოე ჟორდანია და მომიხაზე თუ ძმა ხარ თქვენი რუკა, სადაა ნიკოფსია და დარუბანდი ვერ გავიგეთ, კავკასიის რაიჰსკომისარიატი უნდა შევქმნა ცენტრით თბილისში, აგერ ჩვენი ძმა, არნო შიკედანცი იქნება უფროსი და არც მაგან იცის საზღვრებიო. ნოეს მიუხედ-მოუხედია, მოიკრიფა გამბედაობა და აგერაა ნიკოფსია და დარუბანდიცო (იხილეთ რუკა) ... კარგიო ჰიტლერმა, მადლობა დიდიო! ზოგი კიდევ სტალინმა მიწები შემატა საქართველოსო .. ვაი ვაი ...

ქართველი ნაციონალისტების, გრუპენფიურერ ივან სანოძის (1919-1945) და რიგით გიორგი სამადაშვილის (1920-1945) საფლავის ქვები გერმანიაში. იბრძოდნენ მოხალისედ ვერმახტის რიგებში“. [2017-12-06 14:26:30]

მსოფლიო ისტორია და საქართველოს კონტექსტი: სტალინი vs ჰიტლერი

მსოფლიო ისტორიის მნიშვნელობა საქართველოს კონტექსტში ვლინდება დაპირისპირებაში – „სტალინი თუ ჰიტლერი?“, რომელი უფრო „ბოროტი“ იყო და რომელმა უფრო დააზიანა საქართველო? ჯგუფის შეფასებით, ეს იყო სტალინი, რომელიც ხოცავდა „ჩვენს ბაბუებს“.

*„ჰიტლერი რომ ხოცავდა ჩვენს ბაბუებს, ამის გამო ის დამპალი ნაბი*ვარია და ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვის. სტალინი რომ ხოცავდა ჩვენს ბაბუებს... ჰმ... რას ვიზამთ ასეთი დრო იყო, ღმერთმა გაანათლოს მისი სული. წმინდა კაცი იყო, წმინდა!“ [2017-12-05 2:48:25]*

მიგრაცია/უცხოელთა უფლებები

2016 წლის დეკემბერში, თბილისში, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ორგანიზაცია „ქართულმა ძალამ“ და სხვა ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა („ედელვაისმა“, „ულტრასებმა“) გამართეს აქცია უცხოელი ლტოლვილების მიღების წინააღმდეგ[61]. აქციის მთავარი სლოგანი იყო „Refugees not welcome“; „დიდება ერს, სიკვდილი – მტერს!“[62].

აქციის რამდენიმე გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოში უცხოელი ლტოლვილების მიღებას და მხარს უჭერენ ადგილობრივ ლტოლვილებს/დევნილებს. აქციაზე შეგროვდა ტანსაცმელი საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად.

ბოლო წლებში პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში აქტიურად განიხილება საიმიგრაციო პოლიტიკის, უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭების წესის გამკაცრებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხები, ამ პროცესს თან სდევს ტერორიზმის საფრთხით გამოწვეული ანტიმუსლიმური განწყობები[63].

უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვის საკითხს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური მიზნებით სხვადასხვა ჯგუფი იყენებდა. სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა-გასხვისების მარეგლამენტირებელი ნორმები და მათი შინაარსი 2011 წლიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა. 2018 წლის 16 დეკემბრიდან ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სამეურნეო მიწა „განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსად“ გამოცხადდა და მასზე საკუთრების უფლება უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვის შეიზღუდა.

„ქართული ძალა“ მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით, პერიოდულად აზიარებს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრის, ემზარ კვიციანისა და „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ის“ დირექტორის, ზვიად ტომარიძის საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაციას.

მაგალითად, 2018 წლის 21 ივლისს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც გამკაცრდა საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესი. უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებისას არსებული ხუთწლიანი უწყვეტად ცხოვრების ვადა გაიზარდა ათ წლამდე. ცვლილებების ინიციატორი იყო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. თუმცა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში იგივე შინაარსის ცვლილების შეტანას „დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით“, 2017 წელს ემზარ კვიციანი და ზვიად ტომარაძეც ითხოვდნენ (07-3/88, 05.09.2017). „საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს როგორც კაცობრიობის ერთ–ერთ ნაწილს, აქედან გამომდინარე, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონმდებლობაში, რათა საქართველოში ქართველები არ ვიქცეთ უმცირესობად“ – აღნიშნული იყო

61 ნეტგაზეთი „დღეს საქართველოში დაახლოებით 1400-მდე თავშესაფრის მაძიებლის მქონე პირი ცხოვრობს. საქართველომ თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დაცვის ვალდებულება 1999 წელს აიღო, როდესაც „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციას მიუერთდა“. 2016 წელი; http://netgazeti.ge/news/164251/

62 ლოზუნგს ფართო გამოყენება აქვს სხვადასხვა ნაციონალისტურ, ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფების აქცებსა თუ მსვლელობებზე. https://itv.ge/?m=16&CID=52485

63 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია, უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 11 აპრილი, 2019 https://bit.ly/2TUIVaF

კანონპროექტის განმარტებით ბარათში[64]. 2018 წელს, ემზარ კვიციანმა კანონპროექტი გამოითხოვა, რადგან საკანონმდებლო ცვლილება მისი კანონპროექტის ზოგიერთ დებულებას უკვე ითვალისწინებდა.

„ქართული ძალა“ ავრცელებს ტომარაძის (კანონპროექტის ავტორის) სტატუსს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით:

„სასიხარულო ინფორმაცია!!! ....შარშან 30 მაისიდან მოყოლებული მე და ემზარ კვიციანი კანონპროექტით ვითხოვდით, რომ უცხოელებითვის გამკაცრებულიყო საქართველოს მოქალაქეობის მიღება. [...]
ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!!!
გააზიარეთ!“ [2018-07-20]

რელიგია

„ქართული ძალის“ დისკურსში რელიგია გამოიყენება „სხვებისგან“ გამიჯვნისა და დასავლურ ცივილიზაციასთან გამაერთიანებელ ნარატივად. მართლმადიდებლობის როლზე მინიშნებით, ჯგუფი აჩვენებს მსგავსებას დასავლურ ქრისტიანულ ცივილიზაციასთან და ემიჯნება ისლამს, როგორც მისთვის ისტორიულად მიუღებელ „უცხოს“. [65]

ნაციონალისტები

სხვა განხილული გვერდებისგან განსხვავებით, „ნაციონალისტების“ გვერდი აღარ ფუნქციონირებს. სავარაუდოდ, იგი გაუქმდა მომხმარებლების მიერ ფეისბუკისთვის გაგზავნილი საჩივრების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მან საკუთარი მიზანი, გარკვეულწილად, შეასრულა, არსებობის პერიოდში მოახერხა მხარდამჭერების მობილიზება და სასურველი ნარატივის გავრცელება. სახელიდან გამომდინარე, ჯგუფი საკუთარ თავს ნაციონალისტებს უწოდებდა.

„კარონჩე მიშისტებისთვის, ბიძინისტებისთვის, მხედრიონელებისთვის, ლიბერალებისთვის და ლგბტების გვერდი არაა ეს. ეს არის ნამდვილი ნაციონალისტების, ნამდვილი პატრიოტების გვერდი“.[2018-05-23 16:39:58]

კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიხედვით, დისკურსის წარმოების თვითმიზანი არის ძალაუფლებრივ ვერტიკალზე პოზიციის გამყარება. შესაბამისად, ამ პროცესის ლოგიკური ნაწილია როგორც გვერდის არსებობა, ასევე მისი საწინააღმდეგო საჩივრების მასობრივი გაგზავნა ფეისბუკის ადმინისტრაციასთან. ორივე პრაქტიკა საბრძოლო ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციულ ომში. „ნაციონალისტების“ პირველი პოსტი 2017 წლის 19 სექტემბრით თარიღდება, მონაცემების შეგროვების მომენტში გვერდს ჰქონდა 5375 მოწონება, ხოლო, საერთო ჯამში, მოვიპოვეთ 560 პოსტი. გვერდი ერთ-ერთია იმ მრავალი „სოკო-გვერდიდან“, რომლებსაც ხანმოკლე არსე-

64 საქართველოს პარლამენტი, განმარტებითი ბარათი: „მოქალაქეობის შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/157435?

65 Kobakhidze, Otari. „The Concept of Europe in the Narrative of Extreme-Right Nationalists during Europeanisation: a case of Georgia“, Central European University; 2017.

ბობის ციკლი აქვთ – იქმნებიან ფეისბუკზე, აქტიურად ავრცელებენ ნარატივს, მიაქვთ სათქმელი აუდიტორიასთან და შემდგომ იბლოკებიან, სანამ ხელახლა შეიქმნებიან განსხვავებული ან იმავე სახელწოდებით.

გვერდის გასაჩივრება, გაუქმება, კონტენტის გაქრობა აძლიერებს ამგვარი ჯგუფების იდენტობას – სხვა ჯგუფები მათ მიმართ სოლიდარობას და მხარდაჭერას გამოხატავენ – მათ საერთო იდეოლოგიური მტერი ჰყავთ და შემდეგი სამიზნე შესაძლოა თავად იყვნენ.

„ნაციონალისტები“ ხშირად აზიარებდა სხვა გვერდების მიერ გამოქვეყნებულ მულტიმედიურ მასალას, დანართის სახით, მცირე კომენტარით. ასეთია შეგროვებული მონაცემების მესამედი. ტექსტები ლაკონიურია, თითოეული პოსტი, საშუალოდ, 27 სიტყვას შეიცავს.

ფეისბუკ გვერდზე გავრცელებული ტექსტობრივი (პოსტები) თუ ვიზუალური მონაცემები (ფოტოები) კვლევის პროცესში თემატური კატეგორიებად დაჯგუფდა, რომლებსაც დომინანტი ნარატივების მიხედვით, ქვემოთ განვიხილავთ:

მიგრაცია

„ნაციონალისტების“ დისკურსში წამყვან ადგილს იკავებს მიგრაცია და რასობრივი საკითხები. შერჩევითად ზიარდებოდა ვიდეო და ფოტო მასალა, სადაც ევროპის ქვეყნების ქუჩებში არათეთრკანიანი ადამიანები ჩანან. აქცენტი კეთდებოდა არათეთრკანიანი მიგრანტების „ამორალურ ქცევაზე“, რაც აძლიერებს თეთრი რასის უპირატესობის შესახებ განწყობებს. შინაარსი აფრთხილებდა ქართველებს, რომ მსგავსი ბედი მოელის საქართველოს, თუკი არ შეიცვლება მიგრაციის პოლიტიკა.

„მიგრანტი ცემს ქალს უნგრეთში გააზიარეთ რომ ყველამ ნახოს რა მოყვება მიგრანტების შემოყვანას“ [2018-05-08 10:11:52]
„მიგრანტები უტევენ ფრანგულ ოჯახს“ [2018-05-05 8:01:24]
„მიგრანტთა შემოსევა ევროპაში და სრული აურზაური“[2018-04-26 12:57:33]
„მიგრანტები ტყიურებივით კვეთენ საზღვარს“ [2018-04-29 4:09:39]

ნაციონალური იდენტობა

ქართველი ერის იდენტობა ასევე მნიშვნელოვანი საკითხია „ნაციონალისტებისთვის“. ვხვდებით ჰეროიკულ ბალადებს, მისაბაძ ქცევებსა და მითებს ქართველების გამორჩეულობის, უნიკალურობის შესახებ. წარმოჩენილია საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური დეგრადაცია, ღირებულებების დაკარგვა. გვერდი განმარტავს, რომ ქართული იდენტობის ყველაზე დიდი მტერი არის ლიბერალური იდეოლოგია.

„როდესაც უფალი დედამიწას ხალხს შორის ყოფდა, ქართველებმა დაიგვიანეს. ყველაფერი განაწილებული იყო. ღმერთმა მათ დაგვიანების მიზეზი ჰკითხა. ქართველებმა აუხსნეს, რომ გზაში მოშივდათ, პური გატეხეს და ღვინით ღმერთის დიდება თქვეს. უფალს ეს სიტყვები ძალიან

მოეწონა- მე ჩემთვის პატარა სამოთხის ბაღი დავიტოვე და თქვენ მოგცემთო, ჩემს სადიდებლად მოუარეთო“. ეს ლამაზი ადგილი კი დღეს საქართველოა“. [2018-05-28 7:40:06]

„მომავალი თაობების აღზრდა ისე უნდა მოხდეს, რომ ისინი სრულებით დარწმუნდნენ საკუთარი ერის სიდიადესა და სიძლიერეში. ისინი უნდა აღიზარდნონ საკუთარი გმირების და ღირსეული მმართველების მაგალითზე. თითოეულმა ქართველმა უნდა შეიცნოს ისტორიის ნამდვილი არსი და გაიგოს თუ ვინ არის რეალური მოწინააღმდეგე“. [2018-04-30 5:37:23]

ლგბტ საკითხები

პოლარიზება თვალსაჩინოა საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე საუბრისას. სხვა შესწავლილი გვერდების მაგალითზე ვნახეთ, რომ ლიბერალური ღირებულებები, ფემინიზმი და ლგბტ პირთა უფლებები განსაკუთრებულად უარყოფით კონტექსტში გვხვდება. „ნაციონალისტების“ შემთხვევაში ფემინიზმზე აქცენტი არ კეთდება და მხოლოდ ლგბტ საკითხებია განხილული. ჯგუფის აზრით, ლგბტ თემის წევრები არ არიან ქართული საზოგადოების ნაწილი.

*„2013 წლის 17 მაისი, თარიღი როცა ქართველი ერი ისევ ერთსულოვნების მაგალითი იყო, და ლიბერალიზმით დაავადებული სოროსელები ***-ზე გაუშვა“. [2018-04-30 12:43:50]*

„ძველად ხალხი ნამდვილად არ იბრძოდა გარყვნილობებისთვის „ისინი უბრალოდ სიკვდილით ისჯებოდნენ“. ეს ქვეყანა შემონახულია იმისთვის ვინც ტრადიციებს პატივს სცემს,უყვარს ქვეყანა, დაიცავს მას და არის კაცი კაცი და ქალი ქალი“.[2018-05-31 3:02:30]

ეთნიკური უმცირესობები

ამ სახელწოდებით გამოიყო კატეგორია, რომელშიც გაერთიანებულია „ნაციონალისტების“ ნარატივი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და მეზობელი სახელმწიფოების შესახებ. გვერდი ეთნიკურ უმცირესობებს ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენს. ტექსტებით იქმნება შთაბეჭდილება და განწყობა, რომ ეროვნული უმცირესობები ეთნიკურ ქართველებს ჩაგრავენ. გაუცხოებული ჯგუფებისგან მოსალოდნელ საფრთხეს აძლიერებს მეზობელ სახელმწიფოებთან სხვადასხვა დროს არსებული კონფლიქტების ისტორიული გამოცდილება. მაგალითად, აჭარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე მუსლიმები ხშირად საფრთხის კონტექსტში განიხილებიან, რასაც ახლავს თურქოფობიური განცხადებები. ასევე გვხვდება არმენოფობიური ტექსტებიც.

„თურქების მუქარა ოსმალეთის ჰიმნის ფონზე ბათუმიდან – „საქართველო, ჩვენ უკვე მოვედით, წინაპრების მიწაზე დავაბიჯებთ““.“[2018-03-27 7:05:49]

„სომხეთი – ერთ ერთი ყველაზე გათახსირებული ერი (უმეტესობა ყველას არ ვგულისხმობთ) მინდა იცოდეთ რომ ეს ერი არ არის ჩვენი მეგობარი,უბრალოდ გვეტენებიან. მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი გზებით მიეწოდებათ ყველანაირი საჭმელი , სხვა გზა არა აქვთ ამისთვის. საქართველოს შეუძლია რომ გზები გადაუკეტოს და ერი შიმშილისთვის გაიმეტოს. აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ რას იზავდნენ ჩვენს ადგილას, გადაკეტავდნენ სავარაუდოდ და ფულსაც გა-

დაგვახდევინებდნენ. საერთოდ სომხებს არცერთი ერი არ უყვართ მაგრამ ქართველი 99% ერთ ერთი ყველაზე საძულველი ერია მათთვის. მიზეზი კი ისარის რომ ჩვენ გვაქვს ზღვა-მთები-ტყე-მდინარე და სხვა ბევრი რამ რაც მათ არ აქვთ. ტექნიკურად იქცევიან ვითომ ჩვენ გვერდით არიან არადა რამე შანსი რომ გამოუჩნდეთ ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლის 99%-ით წამოვლენ". [2018-05-26 13:11:26]

„ნაციონალისტების" გვერდი არაერთხელ აღნიშნავს და საზოგადოებას ახსენებს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებას. ჯგუფი უარყოფს ბრალდებებს რუსეთიდან და-ფინანსების შესახებ. „ნაციონალისტები" აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ერთად ჰერეთს და ლაზეთს იმავე მნიშვნელობის ოკუპირებულ ტერიტორიებად მიიჩნევენ.

„მაშინ როცა სამაჩაბლო და აფხაზეთი ოკუპირებულია. მაშინ როცა ჰერეთი წართმეულია, მაშინ როდესაც ლორე და ლაზეთი წართმეულია. მაშინ როცა ნარკომანებს სურვილებს დაუყონებლივ უსრულებენ. მაშინ როცა ვიღაც ირანელს მეტის უფლება აქვს საქართველოში, ვიდრე ქართ-ველს, მაშინ როცა აბორტი დაშვებულია, მაშინ როცა პლანის მოწევა დაშვებულია, მაშინ როცა ხალხს ისე აპატიმრებენ, თითქოს ქუჩაში მოწანწალე ცოფიანი ძაღლია. მაშინ როცა წითელი და ლურჯი ფერები შიშს უფრო თესავს ვიდრე იმის შეგრძნებას რომ დაცულია, მაშინ როცა პოლიცი-ელიც კი არასამართლიანად გექცევა, ვფიქრობ, გაერთიანების დროა". [2018-05-31 7:21:42]

მოწოდება

„ნაციონალისტებთანაც" ვხვდებით მოწოდებებს გამოფხიზლებისა და მობილიზებისკენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

„9 აპრილის მემორიალზე დგანან ეს ნარკომანი ხალხი ხვალ 15:00 საათზე დინამო არენაზე პაიჭაძის ძეგლთან მოდით და ერთად გავაპროტესტოთ ეს ყველაფერი. „ნარკომანი და ლგბტ ხალხი ვერ გვაჯობებს". [2018-05-12 14:28:16]

„მოგიწოდებთ ყველას რომ გავერთიანდეთ ყველა ერთი იდეის ქვეშ, რადგან სამუდამოდ მოვს-პოთ ეს უმსგავსობა და სოდომური წყობა ჩვენს ქვეყანაში, მოვსპოთ იმიტომ რომ ეს დავითის და თამარის ქვეყანაა,მოვსპოთ იმიტომ რომ ჩვენ მომავალი გვეზრდება, მოვსპოთ იმიტომ რომ ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი ღირსება და ჩვენი პატივი და ბოლოს მოვსპოთ, იმიტომ რომ ჩვენ ვართ ქართველები, მაშასადამე კავკასიელები. თქვენი იმედი გვაქვს 17 მაისს. აჰა სამოქმედო გეგმა. ახლა თქვენი მოქმედების დროა !!!!!" [2018-05-15 13:13:23]

ლექსიკონი

მოპოვებული ტექსტის პირველადი ანალიზისას, შინაარსის ლოგიკისა და კონტექსტის უკეთ გასააზრებლად კვლევაში ლექსიკონის კომპონენტის არსებობის საჭიროება გამოიკვეთა. სოციალურ ჯგუფებს ახასიათებთ კომუნიკაციის ელემენტები, რომლებიც მხოლოდ ჯგუფის წევრებისთვის არის სრულად გასაგები. საერთო ენა ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მანიშნებელია იმისა, რომ ადამიანებს საერთო კულტურა აკავშირებთ (Kuipers 2014). გამორჩეული ენა სხვა სოციალური სუბიექტებისგან გამოყოფის სიმბოლოა, იგი ამავდროულად მიუთითებს ჯგუფის შიგნით, ამ შემთხვევაში ფეისბუკ გვერდების აუდიტორიაში, არსებულ საერთო აღქმაზე. ყველა შესწავლილ გვერდს ახასიათებს საკუთარი კომუნიკაციის განსაკუთრებული სტილი, იქნება ის წარმოდგენილი ტექსტური თუ ვიზუალური ფორმით. სავარაუდოდ, კონტენტის მომზადებისას ავტორებს წარმოუდგენიათ, რომ ინფორმაციას სამიზნე აუდიტორიამდე ისე მიიტანენ, როგორც ეს თავდაპირველად წარმოედგინათ. ენა არა მხოლოდ ჯგუფის კულტურის სიმბოლიზებას ახდენს, იგი ქმნის იმ ჩარჩოსაც, რომელშიც კულტურა ვითარდება. თითოეულ ენაში არსებული გრამატიკა, სტრუქტურა და კატეგორიები გავლენას ახდენს მოსაუბრეთა მიერ რეალობის აღქმაზე (Whorf 1956). ქვემოთ მოცემული ტერმინები თარგმნილია ჩვენეული გაგებით, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ მათი ინტერპრეტაცია ახლოსაა პირველწყაროსთან.

აიდიზაცია – საქართველოს მთავრობის მიერ სტანდარტული პირადობის მოწმობების ID ბარათებით ჩანაცვლების აღმნიშვნელი პროცესი. „ქართული იდეა“ ერთ-ერთია იმ მოძრაობებიდან, რომელიც მოითხოვს მოქალაქეების მიერ ალტერნატიული, არაელექტრონული პირადობის მოწმობების აღების შესაძლებლობას.

გამოყენება: *„ქართული იდეა“ მხარს უჭერს და უერთდება ეკლესიის მამებს და მრევლს აიდიზაციის წინააღმდეგ და ალტერნატიული საბუთების მოთხოვნასთან დაკავშირებით! / სქემიღუმენ ზოსიმესთან ერთად.*

პოლიტიკანი – პირი, რომელიც პოლიტიკას პირადი სარგებლისთვის იყენებს; უპრინციპო პოლიტიკოსი[66]. გამოყენებულია დამამცირებელ კონტექსტში ქართული პოლიტიკური ჯგუფების აღსაწერად.

ცისფერი კომისრები – Zneoba.ge-ზე ვხვდებით განმარტებას, რომ გაფართოების საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულეს მოლდავეთში შეარქვეს „ცისფერი კომისარი“, რომელიც თავის მხრივ, „წითელი კომისრის“, საბჭოთა კომუნისტური არმიის პოლიტიკური განმანათლებლის ანალოგიაა. ტერმინი გამოიყენება ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკის კონტექსტში და, შესაბამისად, ამ პოლიტიკის განმახორციელებლები აღინიშნებიან ნეგატიური მნიშვნელობის ტერმინით.

ბარიგა – როგორც „ქართული იდეა“ განმარტავს, ტერმინი ნარკომოვაჭრის დამამცირებელი ფორმაა.

ბარიგების დამცველები – „ქართული იდეა“ იყენებს ტერმინს იმ ადამიანების აღსანიშნად, რომლებიც მონაწილეობდნენ თბილისის კლუბებში „ბასიანსა“ და „გალერიში“ 2018 წლის 12 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის პასუხად რუსთაველის ქუჩაზე გამართულ აქციებზე.

66 ურიდია, სამოსონ, „მოხელის სამაგიდო ლექსიკონ“, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004

ყანდურის მონები – ყანდური ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟია. იგი წარსულში ქურდობისთვის დააპატიმრეს, შემდგომ კი ეპისკოპოსის კარის მოძღვარი დაკავებული იყო სასულიერო პირისთვის შეუფერებელი საქმიანობისთვის.

გამოყენება: 2012 წლის სექტემბერში მედიაგამოცემა „საქართველომ და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მეუფე ყანდური“, რომელიც ფოთი-ხობის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლს მიეძღვნა. როგორც წერილის ავტორი განმარტავს, ტერმინი ყველა „უკეთური“ სასულიერო პირის აღმნიშვნელია.[67] ამ შემთხვევაში, მიემართება ჟურნალისტებს, რომლებიც სხვადასხვა სასულიერო პირის დავალებით აკრიტიკებენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ძმის შვილს, მეუფე დიმიტრის.

„[...]ამიტომ, ვინც მეუფე დიმიტრის მიმართ რაიმე სახის ეჭვებს აჩენს და ჭორებს ავრცელებს საზოგადოებაში (მარტო მოსყიდულ ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ, მართლაც ყანდურის მონებს...)“ [2017-02-22 15:29:19, „ქართული იდეა“]

ლიბერასტი – 1990-იან წლებში გაჩენილი რუსული ტერმინი, რომელიც მიღებულია „ლიბერალისა“ და „პედერასტის“ გაერთიანებით. აქვს უარყოფითი შინაარსი. ტერმინი მოიაზრებს ლიბერალური ღირებულებების მქონე ადამიანების დაკნინებას, აქტიურად გამოიყენება ინტერნეტ დისკუსიებში. რუსული „აკადემიკის“ ენციკლოპედიის მიხედვით, ტერმინის ავტორია რუსი პუბლიცისტი ილია სმირნოვი. [68]

გამოყენება: *„პირველი არხი, როგორ მალე დაგეტყოთ ნეობოლშევიკი ნინია კაკაბაძის ლიბერასტული ხელი“. [2018-04-07 8:49:05, ქართული იდეა]*

ლიბერო-ფემინისტი – გამოიყენება ნეგატიურ კონტექსტში, გულისხმობს ლიბერალური და ფემინისტური მოძრაობების თანხვედრას.

რედნექსი (rednex; rednecks) – ამერიკული სლენგი. გამოიყენება განათლების არმქონე ან ღარიბი, არაურბანული წარმოშობის თეთრკანიანის მიმართ. პირველად მეცხრამეტე საუკუნეში გვხვდება. მისი მნიშვნელობა დროისა და შტატის მიხედვით იცვლებოდა. მაგალითად, რედნექსს ჩრდილოეთ კაროლინაში თეთრ პროტესტანტებს უწოდებდნენ. ზოგიერთ შტატში ამ ტერმინით კომუნისტებს მოიხსენიებდნენ. ასევე, ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ მაღაროს მუშებს, რომლებიც 1920-იან წლებში წითელ თავსაკრავს ატარებდნენ ვირჯინიასა და პენსილვანიაში.

#თოთხმეტისიტყვა; 14/88 – „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ხალხის არსებობა და თეთრკანიანი ბავშვების მომავალი“[69]. სლოგანი ეკუთვნის ამერიკული თეთრი რასის აღმატებულობის მოძრაობის ლიდერს, დევიდ ლეინს. იგი ეხმიანება მოწოდებას, რომ აუცილებელია მოქმედება წმინდა, თეთრი რასის გადასარჩენად, რომელსაც გადაგვარების საფრთხე ემუქრება სხვა რასებთან სისხლის აღრევის გამო. 14/88 არის კოდური სლოგანი, მასში 14 აღნიშნავს თოთხმეტ სიტყვას, ხოლო 88 ლათინური ანბანის (აბეცედარიუმი) მე-8 ასო H-ის აღმნიშვნელია. ამ შემთხვევაში HH ნაცისტური მისალმების Heil Hitler-ის აბრევიატურაა.

---

67 www.geworld.ge „როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურები სიკვდილს პატრიარქისა“, http://geworld.ge/ge/9485/

68 წყარო:https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/98867

69 „We must secure the existence of our people and a future for white children“ – სლოგანში ჯამში 14 სიტყვაა გამოყენებული.

კალენდარი

კალენდარი სხვადასხვა მიზნისთვის დღეების ორგანიზების სისტემაა და მისი წარმოშობა, სხვა მოვლენებთან ერთად, ვალების გადახდას უკავშირდება. ძველ რომში ადგილობრივები ყოველი თვის პირველ რიცხვებში იხდინენ ვალებს. კალენდრის შემოღებას ვრცელი ისტორია აქვს და რელიგიურ, სახელმწიფო (საჯარო) და პირად თარიღებად აორგანიზებს ცხოვრებას. შესაბამისად, მასში აღნიშნული ნებისმიერი თარიღი მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას, ამავდროულად, იგი ცოცხალი ორგანიზმია და აღწერს კონკრეტული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს. რა საჭიროა კალენდარი და რომელი თარიღები ხდება გამორჩეული? რა გავლენას ახდენს ეს ადამიანთა თუ საზოგადოებების ცხოვრების წესზე? კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტი საქართველოს უახლეს ისტორიაზე გაკეთდა და შესაბამისად, ახალი დღესასწაულები და თანამედროვე კალენდარი აღვწერეთ.

კვლევის ამ თავში ყურადღება ეთმობა იმ თარიღებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ნაწილობრივ წინააღმდეგობრივია. ახალი თარიღები ჩნდება ადამიანის უფლებების, რელიგიური თუ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ბრძოლის, სიმბოლური თუ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად. ეს ჯგუფები ესწრაფვიან აღიარებას, ლეგიტიმაციას, კულტურული გავლენებისა და ადგილის მოპოვებას საჯარო სივრცესა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონკრეტული თარიღი ამ ჯგუფების ძალაუფლების დადგენასა და რეპრეზენტაციას უკავშირდება. შეიძლება ამგვარი მოვლენა ისტორიულ კანონზომიერებად იყოს განხილული, ვინაიდან ისტორიული და სადღესასწაულო თარიღების უმეტესობა ბრძოლის, მიზნის მიღწევის, დანაკარგისა თუ გამარჯვების შინაარსს ატარებს და განსაზღვრავს ჯგუფის, საზოგადოებისა თუ წარმოსახვითი ერთობის, იდენტობის, მეხსიერების ნაწილს. ქართულ კონტექსტში ამგვარი თარიღები ერთიანად ან არ შეფასებულა, ან მათი ანალიზი ფრაგმენტულია. წინამდებარე თავში მიმოხილული თარიღები შეიძლება არ წარმოადგენდეს საჯარო ან ოფიციალურ დღესასწაულებს, თუმცა მათი აღნიშვნა ფართო დისკუსიებს, ძალაუფლების დემონსტრირებასა და ზოგჯერ ერთი ჯგუფის მიერ მეორეზე ძალადობის გამოვლინებას უკავშირდება. ამ თარიღებს და მათ თანმდევ მოვლენებს მნიშვნელოვანი დისკუსიები მოჰყვა, რამაც გამოააშკარავა ძალაუფლების წყაროები თუ ძალაუფლების მიღმა დარჩენილი ჯგუფები. საქართველოს კონტექსტში ხსენებული სიმბოლური აღმნიშვნელები ცხადად უკავშირდება ურბანულ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს, კერძოდ, დედაქალაქს და კონკრეტულად, რუსთაველის გამზირს, პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის შენობებს, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიას, ქალაქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამკვიდრებული ეროვნული და ისტორიული თარიღები: 9 აპრილი (სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის დღე), 26 მაისი (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) საერთო სივრცეებს უკავშირდება. რუსთაველის გამზირი, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ნებისმიერ მოთხოვნასა თუ პროტესტს აუცილებლად ისტორიულ ლეგიტიმაციას სძენს და, შესაბამისად, ამ ადგილისთვის ბრძოლა ყველა ჯგუფისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს.[70] თუმცა

70 Chitanava, Ekaterine., Sartania Ketevan; Public Space: The battleground in the Revanchist City, The Foreign Policy Centre, July 28, 2018 https://bit.ly/2NChIf6

ახალი კალენდრის დადგენა ამგვარ მიდგომას არ გულისხმობს, ვინაიდან ეს უფრო ფართო და ისტორიული ძიების საგანია.

კვლევისთვის საინტერესოა უახლეს კალენდარში შემავალი თარიღების მიღების, აღიარებისა და აღნიშვნის პროცესი. ვინ და როდის ადგენს ამ თარიღებს და ვის წინააღმდეგ? ამ შეკითხვებზე საპასუხოდ საჭიროა რამდენიმე მსგავსი თარიღის მოხმობა და მათი დროითი თანმიმდევრობის ჩვენება.

ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე (IDAHO) – 17 მაისი

- 2011 წლის 17 მაისიდან იწყება საქართველოში ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.[71] ეს თარიღი 1990 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო დაავადებათა კლასიფიკაციიდან ჰომოსექსუალობის ამოღებას უკავშირდება. 2012 წელს ამ დღის აღნიშვნას თბილისში მსვლელობის სახე ჰქონდა. აქცია რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა, რომელსაც გზა გადაუღობეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „ვახტანგ გორგასლის კავშირის“ წევრებმა.[72] აქციაზე მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილიც იმყოფებოდა. 2013 წელს თარიღის აღნიშვნას მოჰყვა მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილისა და მათი მხარდამჭერების ძალადობრივი კონტრდემონსტრაცია. ლგბტ აქტივისტებმა, უფლებადამცველებმა და მათმა მხარდამჭერებმა რუსთაველის გამზირი ავტობუსებითა და პოლიციელების კორდონის თანხლებით დატოვეს.

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე საქართველოში – 17 მაისი

2014 წლის 17 მაისიდან აღინიშნება „ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე საქართველოში“. ეს თარიღი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, ილია II-მ ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა.[73] 2013 წლის 17 მაისის შემდეგ, აღნიშნულ დღეს მრევლი და სასულიერო პირები ვარდების მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრამდე მსვლელობით აღნიშნავენ, გაივლიან სწორედ იმ ადგილს, სადაც 2013 წელს იმავე დღეს (17 მაისს) ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე კონტრდემონსტრანტების თავდასხმის შემდეგ დაიშალა. ამავე მსვლელობაზე (ოჯახის სიწმინდის დღეს) ითხოვდნენ ანტიდისკრიმინაციული კანონიდან სიტყვების „გენდერული იდენტობის“ და „სექსუალური ორიენტაციის“ ამოღებას.[74]

2016 წლის 17 მაისს ოჯახის მსოფლიო კონგრესს უმასპინძლა „დემოგრაფიული საზოგადოება XXI-მა“ და მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან ვასაძემ. კონგრესისა და დღესასწაულის ფარგლებში მრევლის მსვლელობას ვარდების მოედნიდან სამების ეკლესიამდე აწ-

71 Equality Movement/თანასწორობის მოძრაობის Facebook გვერდი , 2011 წელი https://bit.ly/2xBJvkR

72 რადიო თავისუფლება, დაპირისპირება ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღისადმი მიძღვნილ აქციაზე, 17 მაისი, 2012 https://bit.ly/2QxkwYK

73 Youtube არხი „მართლმადიდებლური ვიდეოები“ – პატრიარქის ქადაგება, 17 მაისი, 2014 https://www.youtube.com/watch?v=2eq6uJB7rlE

74 ნეტგაზეთი, მღვდლების და მრევლის აღლუმი – 17 მაისი, 2014 http://netgazeti.ge/news/31797/

ყურის ღვთისმშობლის ხატი მიუძღვოდა. სამების ეკლესიაში კი მათ პატრიარქი ილია II დახვდათ და პარაკლისი გადაიხადეს.[75]

ეროვნული სამოსის დღე – 18 მაისი

2016 წლიდან, საინიციატივო ჯგუფი ცდილობს, რომ 18 მაისი გამოცხადდეს ეროვნული სამოსისა და ოფიციალურად დასვენების დღედ. ჯგუფმა ხელმოწერებიც შეაგროვა პარლამენტში წარსადგენად. დღესასწაულის მთავარი მიზანი „ქართული კულტურის პოპულარიზაციაა“,[76] რაც „მოიზიდავს ტურისტებს და გააცოცხლებს ტრადიციებს“. ერთ-ერთი ორგანიზატორის თქმით, ეს თარიღი შეირჩა პოლიტიკური დამოუკიდებლობის თარიღთან მიმართებით – „18-დან 26 მაისამდე, დამოუკიდებლობის დღემდე, ერთი კვირაა და რაც მთავარია, ეს მუზეუმების მსოფლიო დღეა“.

ეროვნული სამოსის დღის თანაორგანიზატორები არიან „შავფაროსნები“[77] და ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია (2011 წელს დაარსდა, თუმცა 2000 წლიდან არსებობდა, როგორც კავშირი, „ქართული საბრძოლო ხელოვნება“). საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდზე კი ვკითხულობთ, რომ „საქართველოში Check in Georgia-ს ფარგლებში ეროვნული სამოსის დღე 20-ზე მეტ ქალაქში აღინიშნება“.[78]

დიდგორობა – 12 აგვისტო

2011 წლიდან ვხვდებით ინტერნეტში დიდგორობის დღესასწაულად აღნიშვნის შესახებ ინფორმაციას. დღესასწაულის ორგანიზატორი ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტია.[79] ეს არის სახალხო დღესასწაული, რომლითაც 1121 წელს მომხდარ ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებას აღნიშნავენ. პარლამენტის წევრებს, ემზარ კვიციანსა და ნუკრი ქანთარიას, ჰქონდათ ინიციატივა 12 აგვისტოს უქმე დღედ გამოცხადების შესახებ. ასევე, 2018 წლის 12 აგვისტოს ულტრანაციონალისტური ჯგუფების ნაწილმა დიდგორობის აღსანიშნავად აღმაშენებლის გამზირზე მსვლელობა მოაწყო.

სოხუმის დაცემის დღე

უკავშირდება აფხაზეთის ომს და 1993 წელს მომხდარ მოვლენებს. 2015 წლის 27 სექტემბრიდან აღინიშნება ულტრნაციონალისტებად თვითიდენტიფიცირებული ჯგუფების ნაწილის მიერ, რომელთა მსვლელობა გაიმართა აღმაშენებლის გამზირზე ლოზუნგით „დიდება ერს, სიკვდილი მტერს“.[80]

---

75 პირველი არხი, 17 მაისი საქართველოში ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეა, 17 მაისი, 2016 https://bit.ly/2L3CTVr

76 კვირის პალიტრა, „ეროვნული სამოსის დღე“ – ახალი დღესასწაული, 2 მაისი, 2016 https://bit.ly/2NDzgHM

77 „ამბიონი“, „შავფაროსნები“ – საბრძოლო ხელოვნებით გამორჩეული მებრძოლები, 24 ნოემბერი, 2011 https://bit.ly/2LDSjz3

78 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, „ეროვნული სამოსის დღე“ https://gnta.ge/ge/8413/

79 „ამბები.გე“, დღეს დიდგორობა აღინიშნება, 12 აგვისტო, 2011 https://bit.ly/2L7giqZ

80 REG TV-ს YouTube არხი, „დიდება ერს, სიკვდილი მტერს“ – ნაციონალისტური მსვლელობა თურქულ რესტორნებთან, 30 სექტემბერი, 2016 https://www.youtube.com/watch?v=X32tC7EuTvk

თამარობის დღესასწაული

14 მაისს აღინიშნება და თამარ მეფის სახელს უკავშირდება. თამარ მეფე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და, შესაბამისად, 14 მაისი რელიგიური თარიღია. დღესასწაულს კალენდარში ვხვდებით 1917 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია, თუმცა 2018 წლის 12-13 მაისის „ბასიანის მოვლენების“ შემდეგ „ქართულმა მარშმა“ სცადა 14 მაისის, თამარ მეფის ხსენების დღის გამოყენება იმ საჯარო სივრცის დასაკავებლად, რომელიც უკვე ჰქონდა დაკავებული სხვა ჯგუფს.[81]

ჩამოთვლილი დღესასწაულები, მათი სიმბოლური მნიშვნელობები, თარიღები, გეოგრაფიული ადგილები, სადაც დღესასწაულები აღინიშნება, აჩვენებს ჯგუფების მცდელობას, მოიპოვონ დომინირება საჯარო სივრცეზე, სადაც ისინი ისაუბრებენ ქართველი ხალხის, ისტორიის, წინაპრების, ეროვნული ღირებულებებისა თუ რელიგიის სახელით. ჯგუფების მცდელობები (ინტუიციური, არაფორმალური, სიმბოლური), შექმნან საკუთარი დღესასწაულები ან გააააქტიურონ კოლექტიურ მეხსიერებაში არსებული სიმბოლური აღმნიშვნელები, აჩვენებს ცხოვრების ორგანიზების ახალი წესისთვის ბრძოლას.

ახლად დაარსებული თუ გააქტიურებული დღესასწაულები რელიგიურ ან ისტორიულ თარიღებს უკავშირდება. ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე საქართველოში 2013 წლის 17 მაისის ძალადობრივი მოვლენების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივით დაარსდა. თამარობის დღესასწაული კი ქართულმა მარშმა 2018 წლის მაისში, ღამის კლუბ „ბასიანის“ 12-13 მაისის დარბევის შემდეგ, საკუთარი შეკრების საკრალიზაციისთვის გამოიყენა. ეროვნული სამოსის დღე, 18 მაისი, კულტურულ და ეკონომიკურ დატვირთვას ატარებს, რომლის ორგანიზებაშიც სახელმწიფო და ტურიზმის განვითარების სააგენტოა ჩართული. დღესასწაული ნაციონალური, ეროვნული მოტივით ახდენს კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების პოპულარიზებას. დიდგორობის დღესასწაული დიდი ხანია აღინიშნება საქართველოში. მისი ბოლოდროინდელი აქტუალიზება უკავშირდება პარლამენტის წევრების ინიციატივას, აღნიშნული დღე უქმედ გამოცხადდეს. 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, სხვა სოციალურ ჯგუფებთან ერთად ულტრანაციონალისტებად თვითიდენტიფიცირებული ჯგუფების ნაწილიც აღნიშნავს მსვლელობით, რუსთაველის ან აღმაშენებლის გამზირზე. თარიღების გამოყენება მეხსიერების პოლიტიკაში მიზნად ისახავს მოვლენათა ინტერპრეტაციას (Verovšek, 2016). კალენდარზე გავლენის მოპოვება „გულისა და გონების დაპყრობის“ პროცესის ნაწილია, რაც, თავის მხრივ, ძალაუფლებრივ ველზე ადგილისათვის ბრძოლას უკავშირდება. კალენდრის პოლიტიკაში მონაწილე ძალაუფლების მქონე ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ახალ თარიღებს, აქტუალიზებას უკეთებენ ძველს და ქმნიან ახალ დღესასწაულებს, ამ პროცეში საუბრობენ ერისა და ეროვნული ღირებულებების სახელით. ისინი ხდებიან ექსკლუზიური მოპასუხეები შეკითხვაზე, „ვინ ვართ ჩვენ?“.

81 „14 მაისს, 18 საათზე ფილარმონიასთან, ერი და ბერი გამოვა და მთელ რუსთაველის გამზირს, ვიდრე თავისუფლების მოედნამდე, შეავსებს, წმინდა თამარ მეფის დღესასწაულის – თამარობის აღსანიშნავად!“ – ნათქვამია განცხადებაში. https://bit.ly/2xBb0uU

12 მაისი, ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე

საქართველოს საპატრიაქროს ინიციატივის საპასუხოდ[82], საქართველოს პარლამენტმა 12 მაისი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ 2019 წლის 8 მაისს რიგგარეშე სხდომაზე[83] დაჩქარებული წესით გამოაცხადა[84]. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის აღსანიშნავად და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 900 ათასამდე ლარი გამოიყო[85]. მთავრობის კიდევ ერთი განკარგულებით კი დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა, რომლის მიხედვითაც, თბილისსა და რეგიონებში აღნიშნულ თემატიკაზე ლექციები, ლიტერატურული საღამოები, კონფერენციები, კინოჩვენებები, სპექტაკლები, ფოლკლორული ანსამბლების ტურნეები დაიგეგმა. საქართველოს შრომით კოდექსში შეტანილ ცვლილებებს პარლამენტში 96-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი[86], წინააღმდეგ არავინ წასულა. აღნიშნულ ინიციატივამდე, 12 მაისი, ოფიციალური კალენდრის თანახმად – ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, მანამდეც უქმე იყო.

მოცემული თარიღებიდან უმეტესობა რელიგიას უკავშირდება, ხოლო კალენდარული დღეების თვალსაზრისით, გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონს.

82 პირველი არხი, 12 მაისი საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ დადგინდა და ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა, 28 დეკემბერი, 2018 https://bit.ly/2K56dKA

83 საქართველოს პარლამენტი, რიგგარეშე სხდომა,6 მაისი, 2019 https://bit.ly/30mg4zU

84 ლიბერალი, პარლამენტმა 12 მაისი, რომელიც აქამდეც უქმე დღე იყო, წილხვდომილობის დღედ გამოაცხადა, 8 მაისი, 2019 https://bit.ly/2Xu1KIt

85 ტაბულა, მთავრობამ ღვთისმშობლის წილხვდომილობის სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის 694 000 ლარი გამოყო, 10 მაისი, 2019 https://bit.ly/2XuqKiU

86 პირველი არხი, 12 მაისი საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ დადგინდა და ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა, 28 დეკემბერი, 2018 https://bit.ly/2K56dKA

ინტერნეტკულტურა და მიმები

ინტერნეტმა შეცვლა სოციალური მობილიზაციის გზები და მეთოდები. ინტერნეტის გავლენა ძლიერდებოდა პოლიტიკური პროცესების პარალელურად. „არაბული გაზაფხულიდან“ „ვოლ სტრიტის მოძრაობამდე“ ინტერნეტი იმედის მომცემი სივრცე ჩანდა, რადგან მას ახასიათებდნენ როგორც ჰორიზონტალურ სივრცეს, რომელსაც ლიდერი არ სჭირდება. ამ პროცესს თან სდევდა პროტესტის ვიზუალიზაცია – საპროტესტო განწყობის მქონე ადამიანებით სავსე მოედნები, საჯარო სივრცეები. ფოტოები და ვიდეოები სწრაფად ვრცელდებოდა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. მოვლენების ინტენსიური გაშუქება და ინფორმაციის გავრცელების სისწრაფე ქმნიდა განცდას, რომ ციფრული მომავალი თანასწორობას, დემოკრატიულობასა და ღიაობას, გამჭვირვალობას მოიტანდა, ხოლო ტექნოლოგიების მეშვეობით, ადამიანები უფრო მეტად დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

რა არის მიმი?

მიმი არის ინტერნეტ-კულტურისთვის დამახასიათებელი ვიზუალური მასალა, რომელიც შეიცავს გამოსახულებას, ტექსტს და სიმბოლოების კოლაჟს. მიმი შეიძლება იყოს ყველაფერი, რასაც გააჩნია მიბაძვის, მიმსგავსების, სიმბოლოს, მნიშვნელობის დამატების უნარი სწორედ ამ შინაარსის, მთავარი მესიჯის, გზავნილის შეცვლის გარეშე.

სხვადასხვა ჟანრის მიმები შინაარსისა და სტილის მიხედვით განირჩევა. მიმების ძირითადი ენა იუმორი, ირონია და ცინიზმია. მიმები ყვებიან ამბებს სიმბოლოების მეშვეობით. ერთი მიმი ზოგჯერ რამდენიმე ამბავს აერთიანებს. ამბები შეიძლება იყოს სხვადასხვა ეპოქიდან, ისტორიული თუ კულტურული კონტექსტიდან დაშორებული. ისინი ხვდებიან ერთ მიმში სწორედ ირონიის, ცინიზმის ან აბსურდის გამო. მიმებს არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი. ის ინტერნეტში გავრცელების შემდეგ ხდება უავტორო და სახალხო, რომლის შეცვლა, იმიტირება, დამატება და განვრცობა ნებისმიერს შეუძლია. სწორედ ამ მახასიათებლის გამო, მიმები დემოკრატიულები ჩანან. თუმცა, რადგან იგი მთავარ იდეას ინარჩუნებს, მიმი სტრუქტურულად ავტოკრატიული ბუნების რჩება (სტეფკა ჰრისტოვა, 2014)[87]. მაგალითად, თუ მიმი შექმნილია რომელიმე სოციალური ჯგუფის დასაცინად, ყველა შემდეგი ცვლილება და დამატება ამ მიმში, კი არ ცვლის, არამედ მხოლოდ აძლიერებს და აზვიადებს პირველად შინაარსს.

ციფრულ კულტურულ ომში (ანგელა ნეიგელი, 2017) ულტრამემარჯვენე ჯგუფები მიმების წარმოებით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებენ. ნეიგელი ამ მოვლენას ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდის დასაწყისს და რამდენიმე ამერიკულ ვებ-გვერდს უკავშირებს[88].

მიმების მიმზიდველ მხარეს წარმოადგენს გართობა, ანონიმურობა, იუმორი, ირონია და იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა, რომელსაც შეუძლია მიმის საშუალებით დაშიფრულ შინაარსებს მიხვდეს. 1976 წელს რიჩარდ დოვკინსმა ტერმინი „მიმი“ გამოიყენა იმიტაციის აღსაწერად,

87 Hristova, stefka., Visual Memes as Neutralizers of Political Dissent, TripleC, 2014 https://bit.ly/2XyPI0z

88 4chan 2003 წელს დაარსებული ინგლისურენოვანი ინტერნეტ პლატფორმაა ფოტოების ასატვირთად. საიტი დაკავშირებულია ინტერნეტ სუბკულტურებთან და ანონიმურ ჯგუფებთან, მათ შორის ულტრამემარჯვენე ნაციონალისტურ გაერთიანებენთან. ვებგვერდს უკავშირდება მიმკულტურის პოპულარიზება.

რომელიც სხვადასხვა კულტურის ელემენტებს აერთიანებს. მიმების შინაარსი რამდენიმე, ხანდახან ერთმანეთისგან განყენებულ მესიჯს ატარებს.

მიმები – „ქართული ძალის“ მაგალითი

ქართულ ინტერნეტ-სივრცეში მიმები არ წარმოადგენს უნიკალურ გამოვლინებას. ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ შექმნილი მიმები იმეორებს გლობალურ ქსელში არსებულ მახასიათებლებს. ადგილობრივ კონტექსტში მათი შინაარსი ქალისა და ქართველი კაცის როლის დეგრადაციას; ლგბტ ადამიანებისა და ფემინისტების, ქალი პოლიტიკოსების გაშარჟებას; რასისტულ, ანტიისლამურ განწყობებს, ქართული ბუნების რომანტიზაციას, საქართველოს ისტორიიდან ბრძოლის ეპიზოდებს მოიცავს.

„ქართული ძალა“ იყენებს სამ ფეისბუკ გვერდს მიმების გასავრცელებლად. მათგან ერთი წარმოადგენს ოფიციალურ გვერდს, დანარჩენები გამოიყენება ამ გვერდის მიერ წარმოებული შინაარსის გავრცელებისთვის. თუ გვერდი დაიბლოკება, სხვა გვერდები სათადარიგო ფუნქციას ასრულებენ. მიმი არ არის ქართული კონტექსტისთვის უნიკალური მოვლენა და ამიტომ, სხვადასხვა კულტურის გავლენით ქართულ ინტერნეტთან ადაპტირებული ვერსიები გვხვდება. „ქართული ძალის“ მასალები ამერიკული ულტრაკონსერვატიული ჯგუფების და ინტერნეტის ძლიერ გავლენას განიცდის. გვერდის მიერ გავრცელებული მასალები ხშირად ხასიათდება ამერიკული კონტექსტისთვის დამახასიათებელი და ქართულ რეალობაში გაუგებარი შინაარსით, თუმცა, მიუხედავად ამისა, აუდიტორია ამ პროცესში მაინც აქტიურად მონაწილეობს.

მიმი #1

ფოტო (მიმი #1) ამერიკის ისტორიის კონტექსტს შეიცავს. გადსდენის დროშა (The Gadsden Flag), უკავშირდება მე-18 საუკუნის ამერიკის კოლონიებს, მათი თავდაპირველი სლოგანი იყო „გაერთიანება ან სიკვდილი“ (Join or Die).

„ქართული ძალა“ ყველა სხვა მსგავსი ინტერნეტ გვერდისგან სწორედ მიმების სიუხვით გამოირჩევა. სტრატეგიული კომუნიკაციის ეს გზა ჯგუფის ბუნების განმსაზღვრელადაც იქცა – ვიზუალური სასაუბრო ენა, სიმბოლოები, კულტურული სიმბოლოების შერევა, მიმდინარე თუ წარსულის მოვლენების (რე)კონტექტუალიზაცია მიმების მეშვეობით ადვილად გასავრცელებელ შინაარსს ქმნის. მემე კულტურა ინტერნეტის ახალგაზრდა მომხმარებელში ისედაც პოპულარულია, მასში სასურველი ნარატივის დამატება გაცილებით ადვილია, ვიდრე მხოლოდ ტექსტური მასალით მომხმარებლების მხარდაჭერის მობილიზება.

„მედია სპექტაკლი“ (ანჯელა ნეიგელი, 2017), რომელიც მიმების გარშემო ტრიალებს, გლობალური მოვლენაა და ულტრამემარჯვენეებად ან ულტრანაციონალისტებად თვითიდენტიფიცირებული ჯგუფებისთვის დამახასიათებელია როგორც ამერიკაში, ისე ევროპასა და საქართველოში. განხვავებულია კონტექსტი, სიმბოლოები, სტილი, ენა და მიმების დამზადების ტექნიკა, თუმცა სტრუქტურა და მთავარი მესიჯები მსგავსია (ტრანსგრესია; მილიტარისტი მიმერები; ,,პატრიოტი“ მიმერები; კონსერვატორი მიმერები). ქართული ენისთვის რთულია ინტერნეტის ტერმინებთან და ენასთან ადაპრიტება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ინგლისურიდან, ინტერნეტის სლენგიდან, გლობალური დისკურსიდან და მიმებისთვის დამახასიათებელი დიალექტიდან ერთდროულად ხდება ქართულად თარგმნა და მისი კონტექსტუალიზება.

მიმების ანალიზი

მიმების კვლევისა და ანალიზის ფაგრლებში გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, გამოიყო მთავარი კატეგორიები, ანუ ის თემატური მახასიათებლები, რომელიც ქართული ძალის მიმებში ყველაზე ხშირად მეორდება. „ქართული ძალის“ მიერ შემოთავაზებულ მიმებში ისტორიული, კონსერვატიული, ეთნონაციონალისტური, მილიტარისტული, კულტურული ჟანრი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ქართულ ეთნოსზე, გარეგნობაზე, სისხლსა და ბუნებაზე. მილიტარისტული, ეთნონაციონალისტური და კონსერვატიული შინაარსები გამოხატულია ისტორიული ჟანრის ფილმებით, ომის მონაწილეთა ფოტოებით, ქართული ეთნოსის გარეგნობით – „ქართული ოჯახის“ ფოტოებით, ხშირად ხაზგასმულია ეთნიკური კუთვნილება, მაგალითად, „კახელი კაცი“, „მეგრელი გოგო“, „ქართული ოჯახი“.

ფოტოებს თან ახლავს წარწერები და ადმინისტრატორის განმარტება, თუ როგორ უნდა გაიგოს ადრესატმა/აუდიტორიამ აღნიშნული ფოტო. ფოტოებისთვის დამახასიათებელია ირონიული და იუმორისტული ტონი, რომელიც სიძულვილით, შეურაცხმყოფელი ან ქსენოფობიური ენით არის გაჯერებული. ამგვარი „პარტიზანული კომუნიკაციის“ დროს აუდიტორიას არ აქვს ინტერპრეტაციის თავისუფლება.

„ქართული ძალა“, 12 ივლისი, 2018

„ისტორიული რემიქსი“

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა და აფხაზეთის ომში მონაწილეთა ფოტოები, ქალები ან ბავშვები იარაღით, სხვადასხვა ისტორიული ფრაგმენტის კონტექსტუალიზაცია ერთ ფოტოში – „ჰიპსტერული“ ფოტო ფილტრების, გაბუნდოვანების ეფექტის, ფერების თამაშის, პოპ-არტ კულტურის ესთეტიკის გამოყენება ფოტოებს მიმზიდველს ხდის ახალგაზრდა მიმდევრებისთვის.



ფოტო #1 – კონტექსტუალიზებულია მარაბდის ბრძოლა
2 ივლისი, 2018[89]

ქართული ძალის ფეისბუკ გვერდის ფოტო#1-ზე წარმოდგენილია მარაბდის ბრძოლა, რომელიც 1625 წელს ქართლ-კახეთისა და ირანის შაჰის ჯარებს შორის მარაბდის ველზე გაიმართა. ფოტოზე ჩანს ცხენზე ამხედრებული შუბმომარჯვებული მებრძოლი, ფონად მინდორზე დარაზმული ცხენოსანი ჯარისკაცებით, რაც ბრძოლის ველის ასოციაციას იწვევს. ფოტო დამუშავებულია და კინოკადრს მოგვაგონებს.

სწორედ ამ ემოციებით, მოდერნული ელემენტებითა და წარსულის საკრალური მაგალითებით პოულობს თანამედროვეობასთან კავშირს და ახალგაზრდული კულტურისთვის აქტუალური ხდება ფოტოში ნაგულისხმევი შინაარსი.

89 რიჟენკო, პ., „ბერ პერესვეტის გამარჯვება“, 2005. https://bit.ly/2XsrgsF

„ქართული ძალა“, 20 ივნისი, 2018

ისტორიული რემიქსის ფოტოების წყარო არ არის მხოლოდ ქართული კონტექსტის ისტორიული მეხსიერება. ის იკვებება მსოფლიო ისტორიიდან მოხმობილი ფრაგმენტებითაც. ხშირად ახსენებენ ისრაელის მილიტარისტულ პოლიტიკას – საქართველოსაც, თუ სურს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, მსგავსი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. სწორედ ამგვარი ნარატივით გვხვდება იარაღიანი ქალებისა და ბავშვების ფოტოები. ერთი მხრივ, გვაქვს ქალის, როგორც სილამაზის, სინაზის, მორჩილების განმასახიერებელი სურათები, მეორე მხრივ კი, ფილმებიდან ან სხვა წყაროებიდან იქვე ჩნდებიან მებრძოლი ქალები, რომლებიც სამშობლოს ან ოჯახს ემსახურებიან. შესაბამისად, ახალგაზრდული გვერდი ქალის როლის ორგვარ კონცეპტუალიზიას გვთავაზობს – ოჯახის, სათნოების, სილამაზის სიმბოლოს ალტერნატივა მილიტარისტი ქალის იმიჯია.

ქართველთა გარეგნობა

ფიზიკური, გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლები „ქართული ძალის“ მიმებში მნიშვნელოვანი თემაა. ეთნიკური, რასობრივი ნიშნით დახასიათებული უცნობი თუ საჯაროდ ცნობილი ადამიანების ფოტოები ჯგუფის ფეისბუკ გვერდზე შესაბამისი ტექსტით გვხვდება. ქალების შემთხვევაში ხაზგასმულია კანისა და თმის, თვალების ფერი, აღნაგობა, მოკრძალებული ჩაცმულობა ან ტრადიციული ქართული ნაციონალური სამოსი. ქალები უმეტესად ბუნების ან ცხოველების ფონზე არიან, რაც ველური რომანტიზმის, წარსულისა და ქალის ტრადიციული როლისადმი ნოსტალგიის ასოციაციას იწვევს. ასევე ჩანს ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება, როგორც ხელოვნურისა და ბუნებრივის კონტრასტი, ამ კონტექსტში ქალი წარმოდგენილია ბუნების ფონზე, სოფლად და, შესაბამისად, „ბუნებრივ მოვლენად“.

„ქართული ძალა“, 2 ოქტომბერი, 2018

მეორე მხრივ, ამ კატეგორიაში ნაჩვენები არიან უფლებადამცველი, პოლიტიკოსი ან საჯარო სივრცეში აქტიური ქალები, როგორც „მახინჯები“. გენდერის მკვლევარი მარიამ ჭანჭალეიშვილი „უშნო ქალის ხიბლის“ შესახებ ფემინისტი და პოლიტიკოსი ქალების მაგალითზე, ფეისბუკ დისკურსის გამოყენებით, წერს, რომ ქალის „უშნოდ ქცევა“ არის მისი არადამყოლობის გამოძახილი. პატრიარქალური საზოგადოება გამუდმებით ცდილობს, „დასაჯოს“ ასეთი ქალები, ალაგმოს საფრთხე, რომელიც პრივილეგიების შესაძლო დაკარგვიდან მომდინარეობს. კვლევის მიხედვით, ფემინისტი და პოლიტიკოსი ქალის სახეები მათი ფემინურობის ტრადიციულად აღიარებული გაგებისგან გადახვევით აიგება. ფემინისტი ქალი მიუღებელი და „უშნო“ ხდება, რადგან ფემინისტი აქტივისტია, ხოლო პოლიტიკოსი ქალის გაკრიტიკების არგუმენტი კი მისი გარეგნობაა, როდესაც კომპეტენტურობაზე მიმდინარეობს მსჯელობა. მიმებში უფლებადამცველი, ფემინისტი ქალების

ფოტოების გამოყენება და მათ გარეგნობაზე დამცინავი, ირონიული საუბარი მიმების სტრატეგიაა. წონა, სახის ნაკვთები, ჩაცმულობის სტილი, მამაკაცურობა არის ის მახასიათებლები, რომლის გამოც ონლაინ სივრცეში ფემინისტ ქალებს „უშნოს“ უწოდებენ (მარიამ ჭანჭალეიშვილი, 2016).

„ქართული ძალის“ შემთხვევაში ამგვარი მიდგომა „ქართულ სისხლსა“ და „ქართულ გენეტიკასთან“ კონტრასტს ქმნის. რჩება განცდა, რომ ქართველი ქალი, მისი გარეგნობა, მორჩილება და ოჯახის ან სამშობლოსთვის თავგანწირვა ფემინისტი ქალისთვის უცხოა. გვხვდება გარეგნობაზე ქილიკი და შეურაცხმყოფელი კომენტარები.

„ქართული ძალა“, 13 ივნისი, 2018

ამავდროულად ნაჩვენებია ქართველი კაცის იმიჯი, სადაც ის მებრძოლი, შვილების მამა, ოჯახისა და სამშობლოს დამცველი მეომარია. გვერდი სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა ბიჭების ფოტოებით ან ვარჯიშის ამსახველი სცენებით ჯანმრთელ სხეულს წარმოაჩენს. ხშირად ქვეყნდება მოკრივეებისა თუ სხვა სპორტსმენების წარმატების გამომსახველი ფოტოები. ხშირად ჩანს სახელმწიფო დროშა და სხვა ეროვნული სიმბოლოებიც, რითაც ხდება სპორტში ძალის, სიჯანსაღისა და ბრძოლის სიმბოლიზება. ასეთი შინაარსი აუდიტორიისთვის ეროვნულობისა და ნაციონალიზმის განცდას უნდა ქმნიდეს.

„ქართული ძალა“, 22 სექტემბერი, 2018

თუ „ქართველი ქალის“ საპირისპირო პოლუსი ფემინისტი ქალია, ქართველი კაცი ანტიგმირები ნარკომომხმარებლები და ალკოჰოლზე დამოკიდებული ახალგაზრდები არიან. ამგვარ ინტერპრეტაციაში ნარკოდამოკიდებული მამაკაცი სუსტი და უძლურია, რომელიც ვერ შეასრულებს თავის უმთავრეს ვალდებულებას – ომის შემთხვევაში სამშობლოს ვერ დაიცავს.

ბუნება და ცხოველები

ბუნებისა და ცხოველების ფოტოები, „ქართული ძალის“ შემთხვევაში, ჰარმონიის, ნოსტალგიის, ბუნებრიობის, არახელოვნურის, მიწის, ტერიტორიის უნიკალობის და ეროვნულობის იდეაზე მიანიშნებენ. გვერდი ხშირად აქვეყნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნების ესთეტიკურ ფოტოებს და ამგვარად ამტკიცებს ქართული მიწის, ხალხის აღმატებულობასა და უნიკალურობას. აქვე გვხვდება აფხაზეთის ფოტოები, საქართველოს მთიანი რეგიონები, მთის ხალხი და მათი სილამაზე, რომელსაც თან ახლავს დაცლილი მთიანი სოფლების ნოსტალგია და მიწის დაკარგვის შიში.

სხვა მიმები

„ქართული ძალის“ მიერ გამოქვეყნებული მიმები შეიცავს გზავნილებს, რომლებიც ღიად უპირისპირდება ისლამს, ფემინიზმს, ლგბტ თემს, მიგრაციას, ევროკავშირს და კულტურაში არსებული სიმბოლოების, საკრალური ნიშნების კომბინირებით აწარმოებს დისკურსს, რომ ის, რაც არ არის მილიტარისტული, გამოკვეთილად რადიკალურ-ნაციონალისტური, განსხვავდება ქალისა და კაცის ტრადიციული როლებისგან, შეიძლება შეირაცხოს ანტიეროვნულად.

„ავსტრალიელ აბორიგენელებს დღესაც სჯერათ რომ მზე ცაში გასროლილი კვერცხია, ასევე აქვთ „უძველესი“ მითი აქლემი როგორ გააჩინა ღმერთმა. (სინამდვილეში 1800-იან წლებში ჩაიყვანეს თეთრებმა). ავსტრიელი აბორიგენელების საშუალო ინტელექტუალური მაჩვენებელი (IQ) არის 64, როცა აფრიკელების 73-ია და თეთრების 100.

ყველა ადამიანი, ადამიანია, ყველა რასას აქვს არსებობის უფლება. ყველა ერს აქვს უფლება შეინარჩუნოს იდენტობა“.

„ქართული ძალა“, 14 აგვისტო, 2018

ანტისაიმიგრაციო ნარატივი

12 ნოემბერი, 2018

დასკვნა

წინამდებარე თავში განხილული ვიზუალური მასალა მხოლოდ ერთი ჯგუფის, „ქართული ძალის“ ფოტოებს ეყრდნობა. ცხადია, ერთი ჯგუფის მაგალითზე რთულია ზოგადი დასკვნების გაკეთება, თუმცა გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა შესაძლებელია.

მიმების კულტურა პოპულარული ხდება. მიმებით ინფორმაციის გავრცელება მარტივია, რადგან ერთ ფოტოში მოქცეულია რამდენიმე გზავნილი, რომელსაც ვიზუალური მასალა და ირონიული ან იუმორისტული შინაარსი აქვს, რაც მის აღქმასა და დამახსოვრებას აადვილებს. „ის, ვინც ამ მიმებზე იცინის, ნაწილობრივ იზიარებს მის შინაარსს“, ვკითხულობთ გერმანულ მასალაში „სახელმძღვანელო მედია პარტიზანებისთვის“, რომელიც კარგად აღწერს ულტრანაციონალისტური თვითიდენტიფიცირებული ჯგუფების მიმების მიზანს და ცხადყოფს მათ შინაარსს. ირონია და იუმორი მთავარი იარაღია მედია მიმერებისთვის. ეს ჯგუფები პოსტმოდერნული ესთეტიკით აკავშირებენ ისტორიულ ნარატივს თანამედროვე სტილთან, ხელს უწყობენ მილიტარიზმის, ხალხოსნობისა და რასისტული განწყობების ესთეტიზაციას და იუმორის მეშვეობით მათ დამკვიდრებას. ქართულ კონტექსტში მიმები ქმნის ბუნდოვანებას, სადაც არეულია ეპოქა, ქვეყანა და მოვლენა, თუმცა ნარატივის წარმოებაში მკაცრად თანმიმდევრულია.

თუ სხვა ქართული ულტრანაციონალისტური გვერდებისთვის დამახასიათებელია შიშის ბრაზად გარდაქმნა, მიმკულტურა შიშს გარდაქმნის იუმორად, ციინიზმად, ირონიად და ამგვარად ცდილობს მასთან გამკლავებას. ის ცდილობს, დასცინოს იმას, რისგანაც შიში და განადგურების საფრთხე მოდის. ამგვარად იქმნება ახალი, ჯგუფური იდენტობა, რომლის მიხედვითაც, რომელიმე ახალგაზრდა ქართველი რადიკალი ნაციონალისტი გაბრაზებული კი არ არის, არამედ ონლაინ კულტურაში კარგად გარკვეული ინტერნეტ-პარტიზანი ენთუზიასტია, რომლის მთავარ იარაღს მიმების მეშვეობით გამოხატული სიძულვილის ენა და ციინიზმი წარმოადგენს.

ინტერპრეტაცია – ანალიზი

თეორიული ჩარჩო

წინამდებარე ანალიზის მეთოდოლოგია, ტექსტის წარმოების პროცესიდან, საკვლევი პრობლემიდან და მიზნებიდან გამომდინარე, დაეფუძნა კრიტიკული დისკურსის ანალიზს (CDA) (Van Dijk 1993, Chouliaraki & Fairclough 1999). შეგვიძლია გამოვყოთ ანალიზის სამი ძირითადი ეტაპი – ტექსტის ანალიზი(1), ტექსტის წარმოების პროცესის ანალიზი(2) და სოციალურ-ისტორიული კონტექსტის ანალიზი. სოციალური პროცესი შეგვიძლია დავინახოთ როგორც ურთიერთქმედება(3) სოციალური რეალობის სამ დონეს შორის: სოციალური სტრუქტურები, პრაქტიკა და მოვლენები. სოციალური პრაქტიკა ახდენს მედიაციას ზოგად, აბსტრაქტულ სოციალურ სტრუქტურებსა და კონკრეტულ სოციალურ მოვლენებს შორის (Chouliaraki & Fairclough 1999). სწორედ მისი დახმარებით არის შესაძლებელი ტექსტში დაფარული ძალაუფლებრივი ბრძოლის იდენტიფიცირება, აღწერა და ახსნა (Van Dijk 1993, Van Dijk 2012) როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. ბრძოლა, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ველზე სივრცისათვის, ტრიბუნისათვის და, მეორე მხრივ, ღირებულებებისთვის მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ორიენტირი გულისხმობს საზოგადოებაში არსებული კულტურული ღირებულებების და ისტორიული ფრაგმენტების თავმოყრას, მათ ეროვნულად, უნივერსალურად, საყოველთაოდ და ერთადერთ ჭეშმარტ დისკურსად წარმოჩენას. სწორედ ამ აზრით ხდება კულტურული ღირებულებების ისტორიულ ფრაგმენტებთან დაკავშირება და ისეთი ირაციონალური მახასიათებლებით განმტკიცება, როგორიცაა „ქართული სისხლი“, „ქართული სული“, „ქართული გენი“. საბოლოოდ, კულტურული კონსერვატიზმის ეს ფორმა პოპულისტურ ელემენტებს იძენს, რადგან ის არ გთავაზობს არაფერს, გარდა საუბრისა „უბრალო ხალხის“ სახელით.

სოციოლოგიური ხედვით, დისკურსი მოიცავს ნებისმიერ პრაქტიკას, რომლითაც ინდივიდები სოციალურ რეალობას ანიჭებენ მნიშვნელობას. ამ შეხედულებით, დისკურსი ფართო გაგებისაა, ის სოციალური პროცესია, ტექსტი ერთ-ერთი ინსტრუმენტია, ამასთან, შესაძლებელია, ნებისმიერი პრაქტიკა თუ სოციალური საგანი, საბოლოო ჯამში, ტექსტად ვაქციოთ.

ამ შემთხვევაში ვკონცენტრირდებით სპონტანურ დისკურსზე. მის ავტორებს ჰქონდათ კონკრეტული, კვლევის მიზნებისგან განსხვავებული განზრახვები და არ უფიქრიათ წინამდებარე კვლევაში წვლილის შეტანაზე.

კვლევაში აღწერილი ულტრანაციონალისტური ნარატივების გასაგებად მედიატიზაციის თეორიული ჩარჩო გამოვიყენეთ. საკვლევი ფეისბუკ გვერდები და მათ მიერ გამოყენებული წყაროები საკუთარ თავს ახალ/ალტერნატიულ მედიად განსაზღვრავენ. ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ ტრადიციული მედია განხილულ ჯგუფებს პლატფორმას არ უთმობს/უზღუდავს. ჩვენ მიერ აღწერილ დისკურსში ვლინდება პროცესი, იკვეთება ძალაუფლების კონტურები. ჯგუფების მიერ ალტერნატიული მედიის შექმნა საკუთარი იდეებისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებაა (Wodak, 1990). აღნიშნული მეთოდი აჩვენებს ძალაუფლებრივ სემიოტიკურ მნიშვნელობებს, რაც პოზიტიური „ჩვენისა“ და ნეგატიური „სხვების“ რეპრეზენტაციის გზით ვლინდება (Forchtner, Krzyzanowski, Wodak; 2013).

დისკურსის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია შევისწავლოთ კონტექსტი, რადგან იგი აღიქმება სივრცედ, სადაც დისკურსმა აქტუალობა და მნიშვნელობა შეიძინა. იმისათვის, რომ მოვახერხოთ

შეგროვებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი, ყველა დისკურსი ჩანერგილია იმ სიმბოლურ და კულტურულ სამყაროში, რომელშიც იგი იძენს მნიშვნელობას.

სოციალური ძალაუფლების გადანაწილების ველზე, სადაც საკუთარ პოზიციებს იკავებს ამ რეალობაში მყოფი სოციალური ჯგუფები, იერარქია პლატფორმებზე ხელმისაწვდომობაში გამოიხატება. პლატფორმა (ალტერნატიული სივრცე) არის ერთადერთი გზა დისკურსის საჯარო სივრცეში გადმოსატანად. არაფორმალური სოციალური ჯგუფების შემთხვევაში, თანამედროვე ქართულ კონტექსტში, ასეთ პლატფორმად ინტერნეტი და სოციალური ქსელი იქცა. სოციალური ქსელი რიგი საზოგადოებების შემთხვევაში, პოლიტიკური მოვლენების გათამაშებისთვის მთავარ სცენად ჩამოყალიბდა. ის, გარკვეულწილად, საჯარო სივრცის ფუნქციებს ითავსებს.

ულტრამემარჯვენე თუ ულტრანაციონალისტებად თვითიდენტიფიცირებულმა ჯგუფებმა წარმატებით აითვისეს ფეისბუკი. იგი მათთვის ინფორმაციის გავრცელების მთავარი პლატფორმაა. ასევე შეიმჩნევა ახალი ტიპის ორგანიზაციული ნიშნები ონლაინ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით. ამ ტიპის ორგანიზაციები ქმნიან ფეისბუკ გვერდებს, მათ არ გააჩნიათ ორგანიზაციის ვებგვერდი, სწორედ ფეისბუკის მეშვეობით ავრცელებენ ოფიციალურ განცხადებებს, ფოტო და ვიდეო მასალებს, აქვთ პირდაპირი ჩართვები ინტერნეტსა და მის გარეთ მომხდარი პოლიტიკური და სოციალური ამბების კომენტირებისთვის. ამ ტიპის აქტივობის მიზანი თანამოაზრე აუდიტორიის ჩართვა, შენარჩუნება და გაზრდაა. „ხელმისაწვდომი ტრიბუნა“, დისკურსის წარმოების პრივილეგია და მასშტაბი სოციალური ძალაუფლების პირდაპირპროპორციულია. ამ იერარქიულ კონტინიუმზე ერთიანდებიან როგორც სახელმწიფო მართვაში ჩართული პოლიტიკური სუბიექტები, ასევე ყველა სხვა სახის სოციალური ინსტიტუცია, ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფები და ინდივიდები, რომლებიც ძირითადად, ყველაზე დაბალ საფეხურზე, დამსწრეებისა და მსმენელების რანგში გვევლინებიან.

ჯგუფები ცდილობენ აზრის პოლარიზებას, ხდება ნეგატიური ან პოზიტიური მოვლენების გაზვიადება იმ დონემდე, რომ ერთი კონკრეტული მაგალითია წარმოჩენილი, როგორც მთელი ჯგუფის, ან ერის სახე. აღნიშნული ჯგუფების მიერ კონკრეტული ფაქტების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელსაც ღიად ან ფარულად მოსდევს მოწოდებები – „ჩვენ ვიჩაგრებით, ჩვენ ვართ მსხვერპლები“ – დომინანტური პოზიციის და სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრივილეგიების შენარჩუნებას ემსახურება (Van Dijk, 1993). ამგვარად, ფეისბუკი ყალიბდება, ან დროებით ითავსებს საჯარო სივრცის იმ ფუნქციას, სადაც ,,ეროვნული იდენტობის“ შესახებ კვაზი-დისკუსია მიმდინარეობს.

იდენტობა

საქართველოში არსებული ულტრანაციონალისტური ჯგუფები საკუთარ იდენტობას ლიბერალური ჯგუფებისა თუ პოლიტიკის საპირისპიროდ აგებენ. ნარატივის კონსტრუირება ხდება, ერთი მხრივ, მიმდინარე მოვლენების უწყვეტი ინტერპრეტაციით და, მეორე მხრივ, წარსულიდან, ისტორიიდან და საერთაშორისო პოლიტიკიდან გამოხმობილი ცალკეული, ფრაგმენტული ამბებით.

განხილული ჯგუფები წარმოადგენენ ანტილიბერალურ, ანტიდასავლურ, პრორუსულ, ზოგჯერ ანტირუსულ, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის იდეის საწინააღმდეგო, ანტიდემოკრატიულ,

ფსევდოპატრიოტულ, რიგ შემთხვევაში ნაციონალ-სოციალისტურ, (ულტრა)კონსერვატიულ, მილიტარისტულ, კონტრკულტურულ, ხულიგნურ, ფაშისტურ თუ ნაცისტურ იდეებს. ამ ფლანგზე არსებული ჯგუფების ნაწილი სხვადასხვა პერიოდში არსებობდა, შემდეგ ქრებოდა ან იშლებოდა, თუმცა დაშლის შემდეგ ახალ ჯგუფებად გვევლინებოდა. ამგვარი დაყოფის მიზეზი შეიძლება იყოს მათი განახლებული სტრატეგიები, შიდა კონფლიქტები ან ახალი გამოწვევები.

ჯგუფების მიერ მკვეთრად გამოხატული უკმაყოფილების ნარატივი იდენტობის კონსტრუირების სტრატეგიის ნაწილია და პოლიტიკური აგენტის როლის მოსაპოვებლად გამოიყენება. ამ პროცესის ფრაგმენტული, თუმცა დასაკვირვებლად ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება არის ინტერნეტი და სოციალური ქსელი – ფეისბუკი, ხოლო ინტერაქციის ინსტრუმენტებია, ერთი მხრივ, ოფიციალური საჯარო გვერდები და, მეორე მხრივ, შიდა, ნახევრად-ღია ან დახურული ჯგუფები.

შესწავლილი ჯგუფების ფეისბუკ აქტივობა შეგვიძლია შევადაროთ სცენაზე განვითარებულ პერფორმანსს (გოფმანი, 1956). ვირტუალურ სივრცეში მოქმედი სოციალური ჯგუფები მათი არამდგრადობისა და სწრაფად ცვალებადობის გამო, სტრუქტურირებულ აღწერას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ზედაპირულად აღიწეროს ჯგუფების იერარქია და გამოიყოს სამი მთავარი აქტორი: ავანგარდი, მხარდამჭერები და მაყურებლები. ჯგუფის ამორფული ხასიათი გამო წევრების მიზნებზე საუბარი რთულია.

ავანგარდს შეიძლება ჰქონდეს იდეოლოგიური, ფინანსური თუ სხვა სახის მოტივაცია. მისი ფუნქციებია: რეკრუტირება, იდეებისა და ჯგუფის მთავარი შინაარსის წარმოება, აუდიტორიის გაფართოება, ჯგუფის სტრატეგიის შემუშავება და სხვა ჯგუფებთან ურთიერთობის წესების განსაზღვრა.

მხარდამჭერები წარმოადგენენ ბირთვს, რომელიც ავანგარდის სტრატეგიაში აერთიანებს საშუალებასა (მიზნის მისაღწევად) და მიზანს. მათი მთავარი ფუნქცია შექმნილი ნარატივის აღიარება (like), კვლავწარმოება (comment) და გავრცელებაა (share).

მაყურებლები ამ პროცესში გარე აქტორები არიან, რომლებიც ინტერესდებიან, თუმცა მათი განწყობები და მოტივაცია ნათელი არ არის. მაყურებლები შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოტენციური მხარდამჭერები და ქსელში მყოფი ენთუზიასტები.

ონლაინ სოციალური მოძრაობები (ოსმ) – მათი მთავარი ფოკუსი ჯგუფს შიგნით კოლექტიური იდენტობის აგება, შენარჩუნება და კვაზი-თანამონაწილეობითი დისკუსიის გამართვაა. ონლაინ სოციალური მოძრაობები ინტერნეტის უნიკალურ თვისებას გეოგრაფიულად იზოლირებულ ჯგუფებთან მუშაობისთვის იყენებენ, ქმნიან ანონიმურობას ან მის ილუზიას მათთვის, ვინც საკუთარი შეხედულებების გამო სტიგმატიზებულად მიიჩნევს თავს.

ონლაინ სოციალური მოძრაობები (ოსმ) შედგება ინდივიდების, ქსელისა და ჯგუფებისგან. მათ აერთიანებთ საერთო ბაზისი, მიზნები, ქმედებები და კოლექტიური იდენტობა, რაც ჯგუფის წევრებს სთავაზობს მეინსტრიმული ჯგუფის საპირისპირო საერთო ინტერესებს (Taylor, Whitter 2002). კოლექტიური იდენტობა შეიძლება დახასიათდეს სამი ნიშნის მიხედვით:

1. საზღვრები პიროვნებას და ჯგუფს შორის.
2. ჯგუფის ინტერესების გამოკვეთა.
3. სიმბოლოები, რომლებიც ემსახურება ჯგუფის მიზანს.

განხილული ჯგუფებისთვის დამახასიათებელია თვითიდენტიფიცირება, თვითგანსაზღვრულობა თეთრი რასის, ერის, ნაციის, ქრისტიანული კულტურის გადარჩენაზე ფოკუსირება და მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენა მათში, ვინც ამ განცდის ძიებაშია.

ოსმ-ს აქვს სამი ძირითადი ფუნქცია, რომელსაც სთავაზობს ჯგუფის მხარდამჭერებს და მაყურებლებს:

1. თავისუფალი სივრცე (Polletta 1999).
2. კულტურული თავშესაფარი (Hirsch 1990).
3. დაცული სივრცე (Gamson 1996).

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ჯგუფების მაგალითზე, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ელიტის გულგრილობა, დისტანცირება ყოფითი პრობლემებისგან და ცინიზმი იწვევს დაუცველობისა და შიშის განცდას, რომელიც შესაბამის გარემოში შეიძლება ბრაზად გარდაიქმნას. ამ შემთხვევაში ბრაზი არ წარმოაგენს ფსიქოლოგიურ ასპექტს, იგულისხმება ბრაზის პოლიტიკური განზომილება, რომელსაც აქვს ორგანიზებისა და წინააღმდეგობის რესურსი. ორგანიზებული ბრაზი, თავის მხრივ, აწარმოებს უკეთესი მომავლის იმედს და მიზნის მისაღწევ ერთადერთ გზად ირჩევს არაინკლუზიურ ბრძოლას. ჯგუფების ნარატივი აჩვენებს, რომ ამ ბრძოლაში ყველას ადგილი არ არის.

შესწავლილ ტექსტებში ხშირად ვხვდებით ტერმინს – „პოლიტიკანი“ (politican; политикан)[90], რომელიც მოგვაგონებს იტალიურ ტერმინ „La Casta“-ს (კასტელსი, 2012); მოიაზრებს პრივილეგირებული პოლიტიკოსების კლასს, რომლებსაც აკლიათ მორალი და პასუხისმგებლობის განცდა ნაკისრ ვალდებულებებთან (Rome: Saggi Italiani, 2007).

ქართულ რეალობაში, პოლიტიკანი არის პოლიტიკოსი, რომელიც საზოგადოების ინტერესებზე მაღლა პირად მიზნებს აყენებს და ვერ აკმაყოფილებას საზოგადოების მიერ აღიარებულ ღირებულებითი სისტემას. ქართული ულტრანაციონალისტი ჯგუფების ნაწილი ცდილობს, თავი შორს დაიჭიროს პოლიტიკური ჯგუფებისგან. ისინი ცდილობენ საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების ექსკლუზიურ რეპრეზენტაციას, ნაციონალიზმის, ეროვნულობის სახელით, მის გაღვივებასა და შენარჩუნებას.

კვლევის პროცესში აღწერილი ულტრანაციონალისტური ნარატივი დისტანცირებულია უშუალოდ ჯგუფებისგან და მათი პოლიტიკური თუ სოციალური მიზნებისგან. იგი წარმოადგენს ქართულ კოლექტიურ, ზეპირსიტყვიერ დისკურსში არსებული განწყობებისა და რწმენა-წარმოდგენების ნაწილს. თუმცა კონკრეტული ჯგუფის მიერ საჯარო სივრცეში ამ ნარატივის რეპრეზენტაცია ხშირად კარიკატურული და მისი შინაარსის საპირისპიროა. მაგალითად, „ქართული მარშის“ ნარატივის რეპრეზენტაცია ეყრდნობა მხოლოდ სახელდებებს, კერძოდ, რელიგიას, ეროვნულობას და ისტორიას, თუმცა მათ მიღმა არ იკითხება შინაარსი. „ქართული ძალის“ ნარატივი უკავშირდება გლობალურ მოვლენებს და მათ კონტექსტუალიზაციას საქართველოში – მიგრანტების, მუსლიმების, ფემინისტური და ლგბტ ჯგუფებთან მუდმივ ციფრულ კონფრონტაციას. ჯგუფი, ფეისბუკის მეშვეობით, ხშირად მიმართავს ხსენებული სოციალური ჯგუფების დამამცირებელ ფოტო მონტაჟს,

90 მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] – თბ., 2004

ღალატში ადანაშაულებს და ქართულ რეალობაში „უცხო სხეულად“ წარმოაჩენს მათ. „ქართული იდეა“ კი პრორუსული განწყობების პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც რელიგიური, მონარქიული თუ თეოლოგიური პერსპექტივიდან ახდენს საკუთარი ნარატივის ინტერპრეტაციას.

კვლევის შედეგად წარმოდგენილ სურათში არსებობს ძალაუფლების ველი, რომელიც არ არის ჰორიზონტალური, არ გააჩნია გამოკვეთილი ვერტიკალი და იტევს ყველა ტიპის პოლიტიკურ აქტორს. ამ ველში თითოეული აქტორი საკუთარი პოზიციის გამყარებაზე ზრუნავს, რაც ქმნის ნიშური პოლიტიკის პრეცენდენტს.

ცხადად გამოკვეთილ სამიზნე აუდიტორიისა და სასაუბრო ენის საშუალებით, ჯგუფები ცდილობენ, შეაღწიონ პოლიტიკური სპექტრის წინასწარ განსაზღვრულ არეალში. მათი მიზანი შესაბამისი ნიშის დაკავება, საწყისი პოზიციის მოპოვება და შემდეგ გაფართოებაა.

ამგვარად, იდენტობის შექმნის პროცესი მოიცავს ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ დისკურსში არსებული ნარატივების სინთეზს, რაც ქმნის განცდას, თითქოს ჯგუფები ფართო საზოგადოებას წარმოადგენენ. ისინი საზოგადოების ნაწილისთვის პოლიტიკურად მიმზიდველები ხდებიან საკუთარი არაფორმალურობით, უშუალობით, სახალხოობიის ილუზიით, არანორმატიული ქცევითა და ენით. აღწერილი ჯგუფები ექვემდებარებიან პოპულიზმის შემდეგ განმარტებას: ისინი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ირგებენ რიგითი მოქალაქის ინტერესების დამცველის მანტიას და ყურადღებას ამახვილებენ ხალხის „საერთო ნებაზე“, სადაც ადგილი „სხვისთვის“ არ რჩება.

დისკურსი, ენა, ნარატივი და იდეოლოგია

კვლევის პროცესში გამოკვეთილი მონაცემების მიხედვით, დისკურსი წარმოადგენს საერთო ველს, სივრცეს, რომელშიც ყალიბდება ერთგვარი იერარქია ტექსტს, სიმბოლოებს, ენას, ნარატივსა და იდეოლოგიას შორის. ტექსტი და სიმბოლოები არის შინაარსი, მასში გამოხატულია საყოველთაოდ გაზიარებული ღირებულებები და მისწრაფებები, აღბეჭდილია საერთო წარსული და მომავლის საერთო პროექტი. იგი კარნახობს განსხვავებას ქართველსა და არაქართველს, მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელს შორის, ანუ წარმოადგენს ერთგვარ, ბინარული ოპოზიციებისგან შემდგარ სტრუქტურას (ჩვენ და ისინი). რაც შეეხება ენას, ეს არის საშუალება, რომლითაც გამოიხატება კულტურაში არსებული და წარმოებული შინაარსები. ენა ყოველთვის არ არის ერთგვაროვანი. ის წარმოადგენს კოლექტივის ან ერის შიგნით არსებულ სოციოლექტებს (სოციალურ დიალექტს, ენის სახესხვაობას), რომლის მიხედვითაც იქმნება განსხვავებები ერთი ენის შიგნით არსებულ ჯგუფებს შორის: ენის გამომსახველობითი საშუალებები, ინტონაციები, სლენგი და ჟარგონი, ენის არქაული მნიშვნელობების რეკონსტრუქცია და ა.შ. ენა წარმოადგენს ძალაუფლების ერთგვარ ველს, ჯგუფები იყენებენ, ერთი მხრივ, არქაული ტიპის ენობრივ კატეგორიებსა და ფორმებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნიან ახალ ლექსიკას. ქართულ ენაში არსებული კონსტრუქციები, რომლებსაც არქაულს ვუწოდებთ, წარმოადგენს საყოველთაოდ გაზიარებულ შინაარებს, როგორიც არის სამშობლოსთან, რელიგიასთან, ტრადიციულ გენდერულ როლებთან და სხვა კულტურულ მახასიათებლებთან დაკავშირებული მნიშვნელობები. ჯგუფები ნარატივის წარმოებისას აქტიურად იყენებენ პოლისემიურ ტერმინებს, რომლებსაც, კონტექსტის მიხედვით, შესაძლოა, ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობები ჰქონდეს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ულტრანაციონალისტური ჯგუფების შემთხვევაში ინტერსუბიექტური გაგება უკავშირდება ტერიტორიას, რომელიც შეიძლება იყოს ერთდროულად ფიზიკურიც და ვირტუალურიც. მეტაფიზიკური საქართველო შედგება საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა და ეთნიკური ქართველებისგან, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ საქართველოში, ასევე მათგან, ვინც იმყოფება ემიგრაციაში და მათგან, ვისაც ოდესმე უცხოვრია ამ მიწაზე (წინაპრები, ვის მიწაზეც გრძელდება ცხოვრება). ენის ეს არქაული ფორმა გამოიყენება ფართო ჯგუფებთან სასაუბროდ, იმ მოლოდინების და განწყობების გასაღვიძებლად და გასააქტიურებლად, რომელიც კულტურაში თავისთავად არსებობს და არ საჭიროებს რაიმე სპეციფიკური განათლების ან ცოდნის მიღებას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ არსებული წარმოდგენა სამშობლოსა და ერის შესახებ სწორედ ენობრივი კონსტრუქტებისა და სიმბოლოების მეშვეობით იქმნება. ენის ამ ფორმის გამოყენება, თავის მხრივ, უკავშირდება ისტორიულ პერსონაჟებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს (ჯგუფების მიდგომა სელექციურია და კონტექსტიდან ამოგლეჯილი), ხოლო ახალი ტიპის ლექსიკა უკავშირდება ინტერნეტს, გლობალურ პროცესებს და მასთან ადაპტირებულ ქართულ შესატყვისებს. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები დამახასიათებელია ავანგარდისთვის, მათთვის, ვინც პირველი იყენებს ახალ ენობრივ კატეგორიებსა და მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში ენის მთავარი ფუნქცია და მიზანი არის დაგროვილი უკმაყოფილების არტიკულირება და ცვლილებების წახალისება.

ჯგუფების პოლიტიკური იდეოლოგია არასრული და ფრაგმენტულია, რიგ შემთხვევებში გაუგებარია მათი ეკონომიკური და სოციალური ხედვები. მათი იდენტობა ეფუძნება მტრის ხატის წარმოებას, საპირისპირო პოლუსის შექმნას და მის საწინააღმდეგოდ პროექციას, შესაბამისად, ჯგუფები ხასიათდებიან რეაქციონიზმით.

კატეგორიზების ანალიზი

ზემოთ აღწერილი ვან დაიკის სქემის მიხედვით, შეგვიძლია მოკლედ დავახასიათოთ მოდელები, რომლებსაც შესწავლილი ჯგუფები ულტრანაციონალისტური ნარატივების წარმოებისას იყენებენ.

- ხელმისაწვდომობა – პლატფორმის და აუდიტორიის აღწერა;
- თემები – რა თემებზე საუბრობენ ჯგუფები, როგორ აქცენტებს აკეთებენ და რამდენად ხედავენ კავშირს მოყვანილი ფაქტებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებს შორის. პრიმიტიული მაგალითი: არ დავუშვათ 17 მაისის აქცია, ეს ქართველობას წაგვართმევს! (პირდაპირი ბმა იდენტობასთან);
- არგუმენტირება: „ფაქტებს“ მოსდევს ნეგატიური შეფასება;
- რიტორიკა: „სხვების“ ნეგატიური და „ჩვენი“ პოზიტიური ქმედებების/თვისებების შეფასებისას ჰიპერბოლის გამოყენება. „ჩვენი“ ნეგატიური მოქმედების გაფერმკრთალება.
- ლექსიკონი: სიტყვების შერჩევა, რომლებიც ატარებენ ნეგატიურ ან პოზიტიურ კონოტაციას და ამავე დროს, ეხმიანებიან ეპოქას, დროს, რომელშიც ვცხოვრობთ;
- ავტორიტეტული პირების ციტირება.

თემატური კატეგორიების ინტერპრეტაცია და დასკვნა

ქართული იდენტობის ინტერპრეტაცია შეიძლება წარმოვადგინოთ გადარჩენის ნარტივით. მისი წარმოებისას ვხედავთ სტრატეგიას, რომ ნეგატიურ კონტექსტში განხილული მოვლენები საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას. ის მკითხველში აჩენს შიშს, შიში კი უნდა გარდაიქმნას აგრესიად, ბრაზად და ცვლილების საფუძვლად იქცეს. ანთროპოლოგი თამთა ხალვაში ამბობს, რომ *„ეს ჯგუფები არა მხოლოდ რაღაც პრობლემის გადაჭრის გარშემო მობილიზდებიან, იქნება ეს რელიგიური იდენტობა თუ როგორი სახელმწიფო უნდა გვქონდეს მომავალში, არამედ რა არ უნდა ვიყოთ და რისი უარყოფა გვინდა“.* ჯგუფების მიერ წარმოებული ულტრანაციონალისტური ნარატივი და მათზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქართველობის იდეა ბოროტისა და კეთილის, უცხოსა და ნაცნობის, „ჩვენ“ და „ისინი-ს“ დიქოტომიაში ფორმირდება.

კვლევის ფარგლებში გამოიყო ძირითადი კატეგორიები: ქალთა საკითხები (ფემინიზმი), ლგბტ, რელიგია, საქართველოს ისტორია (ძველი), საქართველოს ისტორია (უახლესი), მსოფლიო ისტორია, ადგილობრივი საინფორმაციო სიახლეები, გლობალური საინფორმაციო სიახლეები, რასიალიზმი, ეთნოსი, კულტურა, მიგრანტები, ევროპა, ამერიკა, რუსეთი, თურქეთი, ნარკოპოლიტიკა, იდენტობა, მოწოდება. აღნიშნული თემატური კატეგორიებსა და პოსტებში გამოთქმული შინაარსების გაგება შეუძლებელია გლობალური, საერთაშორისო პოლიტიკისა და ისტორიის ცოდნის ან გაგების გარეშე.

კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებული კატეგორიები დროებითი და ცვალებადია, ისინი არსებობს აქ და ახლა და შეიძლება ჩაანაცვლოს სხვა თემებმა, ეს კი დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე. ჯგუფების ნარატივის ერთიანი აღქმა ქმნის ილუზიას, რომ ჯგუფებმა იციან, რა არის და რა არ არის ქართული იდენტობა. მათ ნარატივებში აღწერილ სამყაროში ისინი არიან ამ ცოდნის ერთადერთი მატარებლები, რაც ქმნის წარმოდგენას, თითქოს ჯგუფები გარკვეულ ძალაუფლებას ფლობენ. ყოველდღიური მოწოდებები ფეისბუკის მეშვეობით, აჩვენებს მათ მიერ შექმნილ იმიჯს, სადაც მხოლოდ ისინი არიან საკმარისად ფხიზლები (woke) და თამამები, რომ არსებულ „ელიტებს“, „პოლიტიკანებს“ შეეწინააღმდეგონ და „სიმართლე“ გაავრცელონ. ზემოთქმული ქმნის ვირტუალურ უსაფრთხო სივრცეებს თანამოაზრეებისთვის, სადაც ავანგარდი და მხარდამჭერები მაყურებლებს ეპატიჟებიან.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ჯგუფები აწარმოებენ ერთ მეტანარატივს, რომელიც ანალიზის პროცესში, პირობითად, დავყავით კატეგორიებად. ისინი კვეთენ და ფარავენ ერთმანეთს.

ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ამ პროცესის აღსაწერად შეიძლება გამოვიყენოთ მოწოდების, ლექსიკონის, ავტორიტეტების ციტირება და ამბის თხრობის სტრატეგიები. მოწოდების კატეგორია გულისხმობს გამოფხიზლების საჭიროებას და კონკრეტულ დროს უკავშირდება:

„თქვენ გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს! დაიცავით საკუთარი შვილების მომავალი და პედოფილების გარემოს ნუ შეუქმნით მათ!.. დროა ვირტუალურ საზღვრებს გასცდეს ქართველი „პატრიოტების პათეტიკა“ და რეალური ქმედებებით წერტილი დავუსვათ სოდომისტების ლიბერალურ ტირანიას საქართველოში!“

ამ ტიპის მოწოდებებში ლექსიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს განწყობის შესაქმნელად. „სოდომისტების ხელით განხორციელებული ლიბერალური ტირანია“, ერთი მხრივ, მოიაზრებს რელიგიურ შინაარსს და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ იდეოლოგიას აკრიტიკებს. იქმნება ღირებულებითი დაპირისპირება – რაც ლიბერალურია, ის ვერ იქნება ქართული და პირიქით.

ჯგუფები ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა არხს ფლობენ. მათ სახელთან პირდაპირ და ირიბადაა დაკავშირებული ფეისბუკ გვერდები, ჯგუფები, იუთუბ არხები, ვებგვერდები და ინტერნეტ ტელევიზიები. ჩამოთვლილი წყაროებიდან ერთი და იმავე ინფორმაციის ერთდროულად გაზიარება ქმნის სანდოობის განცდას, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა. შესაბამისად, იქმნება ილუზია, თითქოს ეს ინფორმაცია რეალურია, სიმართლეს შეესაბამება და უფრო მეტიც, საგანგებო მდგომარეობის განცდას აჩენს, რომლის დროსაც მთავარი მოქმედებაა – მიღებული ინფორმაციის გავრცელება. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის სინქრონულად, ერთდროულად გაზიარება, რათა შეიქმნას ერთიანი დროითი განზომილების განცდა. ინფორმაციისა და დროის თანხვედრა ამ ადამიანებს ვირტუალური ერთიანობის, ჯგუფურობის განცდას უღვივებს და სხვების თვალშიც ამგვარად – ერთ ჯგუფად – წარმოჩნდებიან.

ნებისმიერი მოვლენა, მომხდარი ისტორიულ წარსულში თუ დღეს, ერთნაირად მნიშვნელოვანია, ის ცოცხლდება აღნიშნული ჯგუფების/გვერდების კონტექსტში; შეესაბამება აუდიტორიის წინასწარ მოლოდინს და მნიშვნელობა ეკარგება მის ვალიდურობას. მას აკომპენსირებს ქსელური ძალისხმევა, ანუ რამდენიმე ადამიანის მიერ ერთი ქცევის (შინაარსის) ერთდროული გამეორება. გვერდებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ წარსულში ან დღეს მომხდარი (ან არმომხდარი, მაგრამ წარსულთან დაკავშირებული) მოვლენა, თანაბრად აქტუალურია.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შიდა განსხვავებები და ჯგუფები იყენებენ განსხვავებულ ენას, სამიზნე აუდიტორიის მიხედვით, ისინი საუბრობენ ერთსა და იმავე თემაზე და იმყოფებიან ერთი ნარატივის ფარგლებში. შესაბამისად, აღიქმებიან ჰომოგენურ ჯგუფად.

საკვლევის ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივის მიხედვით, „ქართველობა“ წარმოადგენს კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიასთან დაკავშრებულ იდენტობას, რომელიც გააჩნია ქართულ ენაზე მოსაუბრე ხალხს. მათ აერთიანებთ დაუწერელი, ზეპირსიტყვიერი თანხმობა ქართველობის, ეროვნულობის, პატრიოტიზმისა და ისტორიის შესახებ. ეს იდენტობები „ღვთისგან ბოძებულია“, შესაბამისად, თანდაყოლილია და უკავშირდება დაბადებას და ადგილს. ქართველს არ უწევს შრომა, რათა გახდეს ქართველი, მაგრამ მისმა წინაპრებმა ბრძოლის და სისხლის ფასად მოახერხეს ქართველობის, როგორც ღირსების შენარჩუნება. ეს საჩუქარი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომ ქართველობა „ხელშეუხებელად“ გადაეცეს მომავალ თაობას.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი კატეგორიები, პირობითად, ორ მთავარ სტრუქტურულ ჯგუფად გამოიყო და დაჯგუფდა პოზიტიური და ნეგატიური შინაარსის კატეგორიებად. მაგალითად, რელიგიისა და ისტორიის კატეგორიები პოზიტიური შინაარსის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ჯგუფები კონტრასტულად წარმოაჩენენ დღევანდელ რეალობასთან მიმართებით: წარსული იყო კარგი, აწმყო არის ცუდი და, შესაბამისად, საჭიროა ბრძოლა მომავლისთვის. შესწავლილ ნარატივებში ნეგატიურ კატეგორიებად არის წარმოდგენილი ლგბტ საკითხები, ლიბერალური იდელოგია და ევროკავშირი. ეს სამი ძირითადი თემა წარმოჩენილია როგორც ისტორიის, ქართული იდენტობისა და რელიგიისთვის საფრთხის შემცველი.

არგუმენტების გასამყარებლად ჯგუფები ხშირად ციტირებენ ავტორიტეტებს. რელიგიური ლიდერების, პოლიტიკური, ისტორიული პერსონაჟების და საზოგადო მოღვაწეების ფრაგმენტული ციტატები ყველა შესწავლილ ჯგუფთან გხვდება, ეს არის საკუთარი ნარატივისა თუ იდეის ლეგიტიმაციის საშუალება. ჯგუფების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ადრეც არსებობდა, შესაბამისად, იქმნება ისტორიული უწყვეტობა, ერთგვარი მემკვიდრეობითობის განცდა.

გარდა მსგავსებებისა, ჯგუფების ნარატივს ჰყავს განსხვავებული სამიზნე აუდიტორიები. „ქართული ძალის“ სამიზნე აუდიტორიას ახალგაზრდები წარმოადგენენ, რადგან საუბრის ენასა და სიმბოლოებს (მიმებს) უმეტესად ინტერნეტის ახალგაზრდა მომხმარებლები იცნობენ. „ქართული მარშის“ ნარატივის სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა რთულია, რადგან ამ ჯგუფს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკური ან სხვა სახის იდეოლოგია, გარდა პოპულისტური ნარატივისა. რაც შეეხება „ქართულ იდეას“, ამ ჯგუფს ახასიათებს მართლმადიდებლობის დამახინჯებული ინტერპრეტაცია და ანტიდემოკრატიული, მონარქიული მისწრაფებები. გვერდი ხშირად ციტირებს რუს სასულიერო მოღვაწეებს, რაფაელ კარელინს, სერაფიმ საროველსა და სერბ პაის ათონელს. „ქართული იდეის“ ნარატივი რთული გასაგებია თეოლოგიური განათლების არმქონე ადამიანისთვის, გამოქვეყნებული ტექსტი მოცულობითია და გამოყენებული ენა არქაული, ამავე დროს, გვერდი საუბრობს უნივერსალურ ღირებულებებსა და ფასეულობით კატეგორიებზე.

ჯგუფების ნაწილი მხარს უჭერს რელიგიური, თუ სხვა არგუმენტებით რუსეთთან სიახლოვეს და პრორუსულ პოლიტიკას, ჯგუფების ნაწილი კი ანტირუსულ განწყობებს გამოხატავს. ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენეებად თვითიდენტიფიცირებული ჯგუფების ნაწილთან ღიად შეიძლება არ ჩანდეს რუსული პოლიტიკის მხარდამჭერი განცხადებები, ეს ჯგუფები ირიბად მაინც იზიარებენ ,,რუსულ ნარატივს“[91].

ვინაიდან, ნარატივი იქმნება ახლა, რთულია კატეგორიული დასკვნების გაკეთება დისტანცირების გარეშე. კვლევაში განხილული ყველა საკითხი რელევანტურია აქ და ახლა და მიმდინარე პროცესის შემადგენელი ნაწილია. წარმოდგენილი ჯგუფების ნაწილისთვის, მაგალითად, „ქართული მარშისთვის“, ნარატივს პრაგმატული დანიშნულება აქვს, ლიდერები მას პოლიტიკური ბრძოლის იარაღად – ძალაუფლების მობილიზაციის სტრატეგიად – იყენებენ. წარმოდგენილი კატეგორიების ნაწილი დასავლეთში არსებული ულტრამემარჯვენე ჯგუფების ნარატივის იმიტაციას წარმოადგენს („მიგრანტების ტალღამ გადაუარა ევროპულ ცივილიზაციას“ „და ჩვენც იგივე გველის“). საუბრის მარტივი ფორმა, ეროვნული და ნაციონალური მნიშვნელობით დატვირთული ლექსიკა ამ იმიტაციას მშობლიურს, გასაგებს და მარტივად დასაჯერებელს ხდის.

საბოლოო ჯამში, კვლევა ავლენს დისკუსიისა და განგრძობადი კვლევის საჭიროებას, რომელშიც ჩართულნი იქნებიან სამეცნიერო თუ აკადემიური წრეები, სამოქალაქო ჯგუფები, სტუდენტები, საერთაშორისო მკვლევრები, სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლები და სხვა აქტორები.

91 OC Media, Analysis | Georgia’s far right are anti-Russian but share Russian narratives, 2 April, 2019. https://oc-media.org/analysis-georgia-s-far-right-are-anti-russian-but-share-russian-narratives/?fb_comment_id=2269447133078155_2471824486173751

გამოყენებული ლიტერატურა

Armborst, Andreas. „Thematic Proximity in Content Analysis“. *SAGE Open* 7, no. 2 (2017): 215824401770779. doi:10.1177/2158244017707797.

Castells, Manuel. *Networks of Outrage and Hope: Social Movements in the Internet Age*. Cambridge, UK: Polity, 2013.

Chouliaraki, Lilie, and Norman Fairclough. *Discourse in Late Modernity: Rethinking Critical Discourse Analysis (Critical Discourse Analysis)*. Edinburgh University Press, 1999.

Dijk, Teun A. Van. „Principles of Critical Discourse Analysis“. *Discourse & Society* 4, no. 2 (1993): 249-83. doi:10.1177/0957926593004002006.

Dolata, Ulrich. *Social Movements and the Internet: The Sociotechnical Constitution of Collective Action*. Stuttgart: University of Stuttgart, Institute for Social Sciences, Organizational Sociology and Innovation Studies, 2017.

Friese, Susanne. *Qualitative Data Analysis with ATLAS.ti*. Los Angeles: SAGE, 2014.

Goffman, Erving. *The Presentation of Self in Everyday Life*. London: Penguin Books, 2007.

Hsieh, Hsiu-Fang, and Sarah E. Shannon. „Three Approaches to Qualitative Content Analysis“. *Qualitative Health Research* 15, no. 9 (2005): 1277-288. doi:10.1177/1049732305276687.

Jones, Stephen Francis. *Georgia: A Political History since Independence*. London: I.B. Tauris, 2013.

Kuckartz, Udo. „Qualitative Text Analysis: A Guide to Methods, Practice & Using Software“. 2014. doi:10.4135/9781446288719.

Nagle, Angela. *Kill All Normies: The Online Culture Wars from Tumblr and 4chan to the Alt-right and Trump*. Winchester, UK: Zero Books, 2017.

Rizzo, Sergio, and Gian Antonio. Stella. *La Casta: Così I Politici Italian Sono Diventati Intoccabili*. Milano: Rizzoli, 2007.

Verovšek, Peter J. „Collective Memory, Politics, and the Influence of the Past: The Politics of Memory as a Research Paradigm“. *Politics, Groups, and Identities* 4, no. 3 (2016): 529-43. do i:10.1080/21565503.2016.1167094.

Volkan, Vamik D. „Transgenerational Transmissions and Chosen Traumas: An Aspect of Large-Group Identity“. *Group Analysis* 34, no. 1 (2001): 79-97. doi:10.1177/05333160122077730.

WHORF, Benjamin Lee. *Language, Thought, and Reality. Selected Writings of B.L. Whorf. Edited and with an Introduction by John B. Carroll, Etc.* Pp. Xi. 278. Technology Press of Massachusetts Institute of Technology; John Wiley & Sons: New York; Chapman & Hall: London, 1956.

Taylor, Verta and Nancy E. Whittier. „Collective identity in social movement communities: Lesbian feminist mobilization“. (1992): 105, 110.

Mediatization, right-wing populism, and political campaigning : the case of the Austrian Freedom Party. / Forchtner, B.; Krzyzanowski, M.; Wodak, Ruth.

Media talk and political elections in Europe and America. ed. / Andrew Tolson; Mats Ekström. Basingstoke : Palgrave Macmillan, 2013. p. 205-228.

Verovšek, Peter J. „Collective Memory, Politics, and the Influence of the Past: The Politics of Memory as a Research Paradigm“. *Politics, Groups, and Identities* 4, no. 3 (2016): 529-43. do i:10.1080/21565503.2016.1167094.

Kuipers, Giselinde. „Schadenfreude and Social Life: a Comparative Perspective on the Expression and Regulation of Mirth at the Expense of Others“. Chapter. In *Schadenfreude: Understanding Pleasure at the Misfortune of Others*, edited by Wilco W. van Dijk and Jaap W. Ouwerkerk, 259–74. Cambridge: Cambridge University Press, 2014. doi:10.1017/CBO9781139084246.022.